

ISSN 1987-5789

**ეკონომიკა  
და ბიზნესი**



**ECONOMICS and BUSINESS  
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС**

ივლისი-აგვისტო  
JULY-AUGUST  
ИЮЛЬ-АВГУСТ

2010

იზანდი ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის  
სამართლის რეფერირებადი და რევიზირებადი  
საზიხმირ-პრაქტიკური ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета  
имени Ив. Джавахишвили



გაზიდი 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №1,  
თსუ მადლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16  
ebfjournal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეჯი

რედაქციის მისამართი – მთავარი რედაქტორი,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენ-  
ტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ვლადიმიერ პაპავა, ლეო ჩიკავა,  
დავით ბერიძე, დეო ზაქაძე.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: იური ანანიშვილი,  
საიო ბაკაშვილი, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, გოჩა  
თუბერძიძე, არაკლი კოვანიძე, პაატა კოგუაშვილი, ეკა ლეკაშვილი, რენო მანველი-  
ძე, მურიან მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, ნუგზარ პაიჩაძე, მურიან გურაია, მარ-  
იან გუბაშვილი, ეთერ ხარაბიძე, ელენე ხარაბიძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხა-  
დური, ღარსია ყორღანიშვილი, თემურ შენგელია, გიორგი შიხაშვილი, ჯამლეთ ჯან-  
ჯგავა, ემზარ ჯგერენაია, ჟიქრია წიწკოლაური.

## EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.  
Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of  
Economic Sciences: Vladimir Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.  
Doctors of Economic Sciences, professors: Iuri Ananiashvili, Niko Bacashvili,  
Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Paata Koguash-  
vili, Larisa Korghanashvili, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Rezo Manvelidze,  
Elguja Mekvabishvili, Nugzar Paichadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Fikria  
Totskolauri, Gocha Tutberidze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Elene Khara-  
badze, Eter Kharashvili, Temur Shengelia, Giorgi Shikhashvili, Jamlet Jamjgava,  
Emzar Jgerenaia.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохиа – главный редактор, доктор экономических наук, профессор.  
Члены – корреспонденты Национальной Академии наук Грузии – Владимир  
Папав, Автандил Силагадзе, Лео Чикава.  
Доктора экономических наук, профессора: Юрий Ананишвили, Никол  
Бакашвили, Симон Гелашвили, Реваз Гвелесани, Джамлет Джанджгавა,  
Ираклий Ковсанадзе, Паата Когуашвили, Лариса Корганашвили, Ека  
Лекашвили, Муртаз Маградзе, Резо Манвелидзе, Элгуджа Меквабшвили,  
Нугзар Паичадзе, Нугзар Тодуа, Мурман Турава, Гоча Тутберидзе, Мирман  
Тухашвили, Темур Шенгелия, Георгий Шихашвили, Эмзар Джгеренаია, Етер  
Харашвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадура, Пикрия  
Цоцколаური.

სარედაქციო კოლეგიის უსსრული წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, იოჰან ციმერმანი – ბრემენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Johan Zimmerman – Professor Bremen University (Germany), Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Иоган Цимерман - профессор Бременского Университета (Германия), Тоомас Халдма - Декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

სარჩევი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

რევაზ გვალესიანი. შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და წარმატების სტრატეგია ..... 11
ღამნა კვარაცხელია. საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტის დანაკარგები ოუკენის კანონის მიხედვით ..... 27
გულთაგ ლაბარტყავა. ფულის არსისა და ფუნქციების საკითხისათვის ..... 37
ჯემალ შათირიშვილი, ლეონა შათირიშვილი. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა ..... 49
თამარ ლაგარიაშვილი. ოლიგოპოლიური ბაზრის ზოგიერთი თავისებურება ..... 59
ნანა აბსაჟა. მერიტოკრატის შუქ-ჩრდილები ..... 69

მაკროეკონომიკა

იოსებ გასურაშვილი. ვენჩურული ინვესტიციების მართვის ძირითადი მიმართულებები ..... 79
თემურ ჩალიბაშა. მობილური ანგარიშსწორება ინფორმაციულ ეკონომიკაში ..... 91
ურა გოგიშვილი. ეროვნული ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი და ევროინტეგრაცია ..... 103
ვახტანგ მყაენიშვილი. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში ..... 117

---

---

**მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი**

**სოლომონ კავლიაშვილი.** სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის ..... 129

**სოსო ვარლიშვილი.** თანამედროვე მენეჯმენტი და ქართული რეალობა ..... 137

**შოთა შაპურიანი.** ბიზნესის დაფინანსების ასპექტები დინამიკური ჭრილით ..... 149

**მარინე ლუღუაშვილი.** ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში ..... 156

**საერთაშორისო სავაჭრო  
ეკონომიკური ურთიერთობები**

**გიორგი ღოღონაძე, ანაბა კოლაშვილი.** ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის „დოქს რაუნდი“ ..... 165

**ეთერ სარჯველაძე, დანი ნუღია.** საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის ბარიერები ..... 177

**ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რეკონსტრუქციის  
აზრი?**

**მურმან ტურაძე.** დამწყებ ბუღალტერთა გზამკვლევი ..... 190

**ნინო კაკაჩაშვილი.** ინგლისური ენის დამხმარე სახელმძღვანელო საერთაშორისო ეკონომიკასა და ბიზნესში ..... 192

**სახელმწიფო ადამიანთა ბაზრები**

პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე – 70 ..... 196

---

---

**CONTENTS**

**ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLITICS**

**REVAZ GVELESIANI.** Controversies of labor market and employment policy and the strategy of success ..... 11

**DEMNA KVARATSKHELIA.** GDP losses to Oken's law ..... 27

**GULTAZ LABARTKAVA.** The Essence of Money its Functions ....37

**JEMAL SHATIRISHVILI, LEONA SHATIRISHVILI.** Local government reform ..... 49

**TAMAR LAZARIASHVILI.** Some peculiarities of oligopoly market ..... 59

**NANA ABSAVA.** Light and shade of meritocracy ..... 69

**MACROECONOMICS**

**IOSEB MASURASHVILI.** The basic directions of management of venture investments ..... 79

**TEMUR CHALIGAVA.** Mobil payment in the information economics ..... 91

**UCHA GOGISHVILI.** The Process of Formation of National Economic Order and Euro Integration ..... 103

**EKATERINE MEKANTSISHVILI.** The Particularities of State Regulation of Economy in the Countries of Transitional Economy ..... 117

---

---

## MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

<b>SOLOMON PAVLIASHVILI.</b> The major problems of the management in the state owned factories .....	129
<b>SOSO VARDISHVILI.</b> Modern management and the Georgian reality .....	137
<b>SHOTA SHABURISHVILI.</b> Business funding aspects dynamics development in Georgia .....	149
<b>MARINE GHUDUSHAURI.</b> Trends of tourism development in Georgia .....	156

## INTERNATIONAL TRADING ECONOMIC RELATION

<b>GIORGI DOGHONADZE, PAATA KOGHUASVILI.</b> World trade organization „Doha Round” .....	165
<b>ETER SARJVELADZE, DALI TSULAIA.</b> Free trade barriers between Georgia and European .....	177

## NEW BOOKS: WHAT ARE THE VIEWS OF PROFESSIONAL REVIEWERS?

<b>MURMAN TURAVA.</b> The reference book for beginning bookkeepers .....	190
<b>NINO PAPACHASHVILI.</b> English textbook for international business and economics .....	192

## GALLERY OF THE EMINENT PEOPLE

<b>Professor NUGZAR PAICHADZE - 70</b> .....	196
--	-----

---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<b>РЕВАЗ ГВЕЛЕСИАНИ.</b> Противоречия рынка труда и политики трудоустройства и стратегия успеха .....	11
<b>ДЕМНА КВАРАЦХЕЛИЯ.</b> Потери валового внутреннего продукта по закону Оукена в Грузии .....	27
<b>ГУЛТАЗ ЛАБАРТКАВА.</b> К вопросу о сущности и функции денег .....	37
<b>ДЖЕМАЛ ШАТИРИШВИЛИ, ЛЕОНА ШАТИРИШВИЛИ.</b> Реформа местного самоуправления .....	49
<b>ТАМАРА ЛАЗАРИАШВИЛИ.</b> Некоторые специфики олигополического рынка .....	59
<b>НАНА АБСАВА.</b> Светотени меритократии .....	69

### МАКРОЭКОНОМИКА

<b>НОСЕБ МАСУРАШВИЛИ.</b> Основные направления управления венчурных инвестиций .....	79
<b>ТЕМУР ЧАЛИГАВА.</b> Мобильный расчёт в информационной экономике .....	91
<b>УЧА ГОГИШВИЛИ.</b> Процесс установления национального экономического порядка и евроинтеграция .....	103
<b>ЕКАТЕРИНЕ МЕКАНЦИШВИЛИ.</b> Особенности государственного регулирования экономики в странах трансформируемой экономики .....	117

### МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

<b>СОЛОМОН ПАВЛИАШВИЛИ.</b> К совершенствованию управления государственных предприятий .....	129
--	-----

СОСО ВАРДИШВИЛИ. Современный менеджмент и грузинская реальность .....	137
ШОТА ШАБУРИШВИЛИ. Аспекты финансирования бизнеса в динамическом разрезе .....	149
МАРИНЕ ГУДУШАУРИ. Тенденции развития туризма в Грузии .....	156

**МЕЖДУНАРОДНЫЕ ТОРГОВЫЕ ЭКОНОМИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ**

ГЕОРГИЙ ДОГОНАДZE, ПААТА КОГУАШВИЛИ. „Раунд Дохи“ Мировой торговой организации .....	165
ЭТЕР САРДЖВЕЛАДZE, ДАЛИ ЦУЛАЯ. Барьеры свободной торговли между Грузией и Евросоюзом .....	177

**НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛ-РЕЦЕНЗЕНТОВ?**

МУРМАН ТУРАВА. Путеводитель для начинающих бухгалтеров .....	190
--	-----

НИНО ПАПАЧАШВИЛИ. Вспомогательный учебник английского языка в международной экономике и бизнесе .....	192
---	-----

**ГАЛЕРЕЯ ПРОСЛАВЛЕННЫХ ЛЮДЕЙ**

Профессору НУТЗАР ПАИЧАДZE - 70 .....	196
---------------------------------------	-----



**რეზუმე ბველესიანი**  
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი**

დასაქმების მაღალი დონე შესაბამის ეკონომიკურ საზოგადოებაში უშუალოდ უსაფრთხოებას, თავისუფლებასა და სამართლიანობას უწყობს ხელს. დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად პოლიტიკის ცალკეულ სფეროებს საკუთარი მიზნები გააჩნია. მიწოდების პოლიტიკის თვალსაზრისით შუალედური მიზანი არის ჩარჩო პირობების გაუმჯობესება, საიდანაც დასაქმების დადებით ეფექტებს ეკონომიკური ზრდის შედეგად საინვესტიციო საქონელზე მეტი მოთხოვნის გამო უნდა ველოდოდ. მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკა კი, პირიქით, საერთო ეკონომიკური აგრეგატების: მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო ხარჯების მართვაზე არის ორიენტირებული. სატარიფო ხელშეკრულების პოლიტიკით სამუშაო ძალაზე საწარმოთა მოთხოვნისათვის მნიშვნელოვანი ჩარჩო პირობები დგინდება. თუკი სატარიფო ხელშეკრულების შეთანხმებები საკმარისად მაღალ მოქნილობას გამოავლენს, ამით შეიძლება გაადვილდეს სტრუქტურული ცვლილებები და შემცირდეს რეგიონული განვითარების დისპროპორციულობა. ევროკავშირში ამ მიზანს, აგრეთვე, ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება ემსახურება.

მაკროეკონომიკურ დონეზე უნდა მივუთითოთ მიზანთა „კლასიკურ“ კონფლიქტზე, რომელიც სრულ დასაქმებასა და ფასების დონის სტაბილურობას შორის არსებობს. მიზანთა მნიშვნელოვანი კონფლიქტი შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ეკონომიკურ-თეორიული დასაბუთების დონეზე უნდა შევიცნოთ. ნეოლიბერალური წარმოდგენების შესაბამისად სახელმწიფო აქ რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს, რადგან ბაზარი პრობლემის გადაჭრის გზას თვითონ პოულობს. თუ მას უპირისპირდება ისეთი ინსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირებები, როგორცაა, სატარიფო ავტონომია და აქედან გამომდინარე, შეთანხმებები მინიმალურ ხელფასზე (რომლებსაც თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური მიზანიც გააჩნიათ), ამ შემთხვევაში ნეოლიბერალური პოზიციის წარმომადგენლები ალტერნატივას არ ავლენენ და თვით სატარიფო ავტონომიას ეჭვქვეშ აყენებენ. კეინზიანური კონცეფციის ფარგლებში, პირიქით, უმუშევრობის შემცირება მოთხოვნაზე ორიენტირებული პროგრამების საშუალებით არის შესაძლებელი.

სატარიფო ხელშეკრულების პოლიტიკის ფარგლებში მიზანთა სხვა კონფლიქტებიც არსებობს. წარსულში პროფკავშირები დასავლეთი ევროპის ქვეყნებში უპირატესობას ე.წ. ტერიტორიების მიხედვით სატარიფო ხელშეკრულებებს ანიჭებდა. დასაქმების კარგი მდგომარეობის მქონე და მაღალი მწარმოებლურობის სატარიფო რეგიონებში ამოქმედდა სახელფასო შეთანხმებები, რომლებიც შემდეგ სხვა რეგიონებმა და მხარეებმა გადაიღეს. ამით შეიძლება რეგიონული და დარგობრივი ძლიერი განსხვავებების გამო მაღალი დასაქმებისათვის საჭირო დიფერენცირებას ანგარიში არ გაეწიოს. პროფკავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებები სატარიფო ხელშეკრულებებს თავიანთი წევრებისთვის დებენ. თუ ამ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ანაზღაურება ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალია, რის შედეგადაც წევრთა თანხმობა ვერ მიიღწევა,

მაშინ პროფკავშირების და ამ გაერთიანების წევრთა შემცირება შეიძლება მოხდეს.

დამატებითი სახელფასო ხარჯების შემცირებას დასაქმების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მან შეიძლება იქამდეც მიგვიყვანოს, რომ საწარმოებმა მხოლოდ თავიანთი მოგება გაზარდონ. ამ შემთხვევაში კონფლიქტები სოციალური დაცვის შესაბამისი პოზიციების სისუსტიდან გამომდინარეობს. თუ სახელმწიფო შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისათვის მზად არის და ბიუჯეტის შეზღუდვის მიუხედავად შეუძლია სახსრები გაიღოს, მაშინ უნდა გადაწყდეს უმუშევართა რომელი ჯგუფისთვის უნდა გატარდეს ღონისძიებები (ახალგაზრდების უმუშევრობასთან ბრძოლას ენიჭება უპირატესობა თუ ყოფილ დასაქმებულთა შრომის ბაზარში რეინტეგრაციის საკითხების გადაწყვეტას).

უმუშევრობასთან დაკავშირებით ძირითადად სამი სტრატეგიული მიმართულება შეიძლება განვიხილოთ. სამივე მისწრაფვის იქითკენ, რომ უმუშევრობა შემცირდეს ან აღმოიფხვრას. პირველი სტრატეგია სატარიფო ხელშეკრულების პარტნიორებისაკენ არის მიმართული. თუ მინიმალურ ხელფასებზე, რომლებიც წონასწორულ ხელფასზე მაღალია, შეთანხმება მიღწეულია, მაშინ ზომიერი ხელფასის დადგენით შრომის მიწოდების სიჭარბე შეიძლება შემცირდეს (აღმოიფხვრას). ამ კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე ღონისძიებები, როგორც ღია ბაზრის (გახსნილობის) საგანგებო პირობა („სამუშაოზე ახალმოდებულთა ტარიფები“). ამის მიხედვით, დამსაქმებლებს ნება ეძლევათ დასასაქმებელნი დაასაქმონ სატარიფო ხელშეკრულებით დადგენილზე დაბალი ხელფასებით, შრომის ბაზრის პოლიტიკის ასეთ განვითარებასთან გვექნება საქმე, თუ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარებები (მაგალითად, უმუშევრების ფულადი დახმარება) შემცირდება. ამით სამუშაო ადგილის ძიების სტიმული ამადღდება, რომელიც უფრო მეტ

შემოსავალს მოიტანს, ვიდრე კანონიერი სოციალური დაზღვევის გამტარებლების მიერ დაწესებული მომსახურება. გარდა ამისა, ასეთი პოლიტიკა იმ საწარმოებს უადვილებს საქმიანობას რომლებიც სამუშაო ძალას დაბალი ანაზღაურების მქონე საქმიანობის სფეროში ასაქმებს.

პროფკავშირების მხრიდან ტარდება მეორე სტრატეგია, რომელიც სამუშაო დროის შემცირებაზე დაიყვანება. რამდენიმე წლის წინ პროფკავშირების მიერ დასავლეთი ევროპის ქვეყნებში წამოყენებული და ნაწილობრივ განხორციელებული მოთხოვნა 35 საათიანი სამუშაო კვირის შესახებ და სამუშაო დროის შემდგომი შემცირება აქ შეიძლება ნიმუშად დავასახელოთ. მთელი ცხოვრების მანძილზე სამუშაო პერიოდის დროით შემოკლებას (საპენსიო ასაკის დასაწყისი – 60 წელი) შრომის მიწოდების შემცირებამდე მივყავართ. ამით ახალგაზრდა დასასაქმებელთათვის თავისუფალი სამუშაო ადგილების დასაკავებლად გზა იხსნება. სამუშაოს მოცულობის სიდიდე ამ შემთხვევაში არ იზრდება, იგი სხვაგვარად ნაწილდება. სოციალური დაცვის სისტემის დაბალი დაფინანსების პრობლემები ყოველთვის და ყველგან არსებობს. არსებითად, დემოგრაფიული ვითარებისა და მოსახლეობის გაუარესებული ასაკობრივი სტრუქტურის საფუძველზე, სამუშაო კვირისა და ცხოვრების მთელი სამუშაო პერიოდის გახანგრძლივება საჭირო ხდება.

კეინზიანურად დასაბუთებული დასაქმების მაკროეკონომიკური პროგრამები (კრედიტით დაფინანსებული დამატებითი სახელმწიფო ხარჯები და/ან საშემოსავლო და კორპორაციის გადასახადების შემცირება), მესამე სტრატეგიას ეკუთვნის. სახელმწიფო ან კერძო მოთხოვნის ამადლებით საჭიროა უფრო მეტი სამუშაო ძალა, რის შედეგად შრომაზე მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. ეს ძალაშია, როდესაც სახელმწიფოს მიერ შრომაზე მოთხოვნის სუბსიდირება ხდება.

დაბოლოს, კერძო ეკონომიკური ინვესტიციების ჩარჩო პირობების გაუმჯობესება მიწოდების პოლიტიკის თვალსაზრისით შრომაზე მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას შეუწყობდა ხელს. თუმცა, დროითი ინტერვალის შედეგები აქ არსებითად უფრო არამტკიცეა, ვიდრე მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკის დროს. საბოლოოდ, ორივე კონცეფციის კომბინაცია წარმატებული უნდა იყოს.

ხშირად ამტკიცებენ, რომ დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში შრომის ბაზარს რეგულირების მაღალი ინტენსივობა გააჩნია. ამიტომ მას, თითქოსდა, აკლია მოქნილობა, რომ შედარებით სწრაფად და ქმედითად ახალ პროცესებს მიესადაგოს. ამით ჩვენ შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკას წესრიგის პოლიტიკის საზღვრებში ვეხებით. წესრიგის პოლიტიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა შრომის პირობების ფორმირების დონისძიებებს ენიჭება. ამასთან დაკავშირებით ნათლად იკვეთება მიზანთა კონფლიქტი. ერთი მხრივ, საქმე უმუშევართა დაცვას ეხება, რომელიც პროფკავშირების მიერ მრავალი ათწლეულის მანძილზეა მოპოვებული და დანერგილი, მეორე მხრივ, მათი მოკლე და საშუალო ვადიანი ყოვლისმომცველი დაცვა შრომის ბაზარზე ახალ პირობებთან ადაპტაციას ხელს უშლის.

პირველი ამოსავალი პირობა არის ხელფასის ტარიფების „ქვემოთკენ გაშლა,” რომელიც მოქნილობის უფრო მაღალ დონეს გვაძლევს. ამ გზით რამდენიმე მილიონი ახალი სამუშაო ადგილის მიღება შეიძლება. დამატებითი მოთხოვნა დაბალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე განსაკუთრებით მომსახურების სფეროში არსებობს. საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების ზრდა შრომის ანაზღაურების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში დასტურდება. იმავე მიმართულებით მოქმედებს ექსპერტიზის საბჭოს მიერ რეკომენდებული სატარიფო ხელშეკრულე-

ბებში ხელფასების ძლიერი დიფერენცირება (კვალიფიკაციის, რეგიონის თუ საწარმოს თვალსაზრისით). ტერიტორიულ (რეგიონულ) სატარიფო ხელშეკრულებებზე უარის თქმის შემთხვევაში მისი გატარება შესაძლებელი იქნებოდა.

კონტრაპოზიცია გვაფრთხილებს, რომ ევროკავშირში ეს სტრატეგია ყველგან არ ფუნქციონირებს და მას დროებითი უპირატესობა მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნისთვის მოაქვს. ეკონომიკური კვლევების გერმანული ინსტიტუტი ეჭვობს, რომ მსყიდველობითუნარიანობისა და ინვესტიციების დაცემა ხელფასების შემცირებით შეიძლება მოხდეს. საერთოდ, დარგის მწარმოებლურობაზე ხელფასის დონის ორიენტირებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

ის ფაქტი, რომ არსებობს ტარიფების მზარდი „ქვემოთ გაშლა“ და ხელფასების დაკლება, ნათელს ხდის, რომ ამ დონის ძიებებს განსაკუთრებით დაბალ სახელფასო თანრიგებში დასაქმებაზე არსებითად მასტიმულირებელი ზემოქმედების უნარი არ აქვს (განსაკუთრებით სრული დატვირთვის სამუშაო ადგილებზე). დაბალი სახელფასო სექტორის შემოღებით ნაკლებ კვალიფიცირებულებისთვის უფრო მეტი სამუშაო ადგილები არის მოსალოდნელი. ამავე დროს, ამით შეიძლება გამოვლინდეს ფენომენი, რომელსაც აშშ-ში, მაგალითად, Working-Poor (მომუშავე სიღატაკეს) უწოდებენ. დაბალი ხელფასები, მიუხედავად სრული სამუშაო დროით დასაქმებისა, ნორმალური არსებობის უზრუნველყოფელი არ არის; ადამიანები დასაქმების შემთხვევაშიც კი სიღატაკის ზღვარზე რჩებიან. სახელმწიფოს მიერ გატარებული ხელშემწყობი დონისძიებებით არსებობისათვის არამყარი დასაქმების სფეროებიც კი, მაგალითად, მომსახურების სფერო, შეიძლება იქნეს ათვისებული. ეს პირობა იქიდან გამომდინარეობს, რომ თუ მოხდება დაბალი ხელფასების კომბინირება დაბალ სოციალურ ხარჯებთან და საგადასახადო განაკვეთებთან, მაშინ საარსებო მინიმუმი უზრუნველყოფილი

იქნება. დასაქმებულებს დაუსაქმებელ დახმარების მიმდებრთ-ან მიმართებით ფინანსური უპირატესობები უნდა ჰქონდეთ.

წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით ასახული ორმხრივი მონოპოლია შრომის ბაზარზე საეჭვო ხდება. ამდენად, ძნელი უნდა იყოს კანონით განმტკიცებულ სატარიფო ავტონომიაში რაღაცის შეცვლა. გარდა ამისა, საკითხავია, საერთოდ სასურველია თუ არა სატარიფო ავტონომიის შეზღუდვა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ წარსულში სატარიფო ხელშეკრულების პოლიტიკის რეგულირების კომპეტენციის აღქმა სოციალური პარტნიორების მიერ მაღალი პასუხისმგებლობით ხასიათდებოდა. ფაქტობრივად უცვლელი სატარიფო ავტონომიის გამო არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ როგორც პოლიტიკოსების, ასევე ევროპული ცენტრალური ბანკის და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მორალურ რჩევებს, რომლებიც პროფკავშირებს „ზომიერი“ სახელფასო გადაწყვეტილებების მიღებას მოუწოდებს.

გარდაქმნის დონისძიებები მრავალ სფეროში უნდა გატარდეს. ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან ჩარჩო პირობები შემდეგი მიმართულებით უნდა გაუმჯობესდეს: ა) საგადასახადო რეფორმამ საგადასახადო კანონმდებლობა არსებითად უნდა გაამარტივოს და საგადასახადო ტვირთის შემცირება გამოიწვიოს (წინადადებები შემოსავლის დაბეგვრის რადიკალური ცვლილებების შესახებ); ბ) სოციალური დაცვის სისტემა უნდა გაჯანსაღდეს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოციალური დაზღვევის გამტარებელთა პრობლემების ერთი ნაწილი უმუშევრობითაც არის განპირობებული. რეფორმების მიზანი წარმოების პროცესში შრომის ფაქტორის გაიაფება უნდა იყოს; გ) დახმარებათა აშკარა შემცირება შემდგომშიც უნდა მოხდეს. საბაზრო ეკონომიკურ წესრიგში მას გამართლება ზოგადად მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში აქვს; დ) მრავალი წლის

მანძილზე მოითხოვდნენ სახელმწიფო რეგლამენტების მოშლას, რაც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. იგი ხშირად ინვესტიციების ხელის შემშლელ მიზეზად გვევლინება; ე) ასევე აღსანიშნავია დიდი ხნის მანძილზე დღის წესრიგში მდგომი ზოგადი და სპეციალური განათლების სისტემის რეფორმა. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის სახეობები მომავალში სწრაფად შეიცვლება. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი სპეციალური და უმაღლესი განათლების მოქნილი გადასამზადებელი კურსების პროგრამებში; ვ) სამუშაო დროის მოქნილობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მომსახურების სფეროსა (მაგალითად, მკურნალობისა და ზრუნვის) და გარემოს დაცვის სექტორში, შრომის გადანაწილება (მაგალითად, ზედმეტი საათების გაუქმებით), მეტი მუშაკის არასრული სამუშაო დროით დასაქმება, განათლების სფეროში კონსენსუსის მიღწევა (სწავლების შედეგად საწარმოში დასაქმების ადგილების გარანტია), ასევე განათლებისთვის მეტი ხელშეწყობა, განათლების სისტემის სპეციალისტთა საარსებო პირობების გაუმჯობესება და საინოვაციო პროცესების ხელშეწყობა, სატარიფო ფონდების შექმნა, რომლითაც ფინანსური ზარალი პენსიაზე გადაზე ადრე გასვლისას შემცირდება და ა.შ.

შემდგომში, ხელფასის ცვლილების სახელმძღვანელო მიმართულებების შესახებ დისკუსიას მკვეთრად უარყოფდნენ. ამით „შეთანხმებული მოქმედება“ ილუზიას დაემსგავსა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებათა მიღებას გრძელვადიან და სრულ დასაქმებაზე, ნორმირებულ სამუშაო დროსა და მის განაწილებაზე. გარდაქმნის პროცესის დაჩქარება აუცილებელია. საზოგადოებრივად სასურველი შრომა არამომგებიან სექტორსა და საქმიანობის ახალ სფეროებში დასაქმების თვალსაზრისით, საწარმოს მიერ ორგანიზებული შრომის პროცესის ფარგლებს გარეთ, მზარდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მხარდაჭერას საჭიროებს.

ევროკავშირს რეგიონული და სტრუქტურული პოლიტიკით შეუძლია შედარებით ჩამორჩენილ რეგიონებში შრომის ბაზრის მდგომარეობაზე გავლენა მოახდინოს. ეს დახმარებების გაწევით (სუბვენციები) ხორციელდება. ევროკავშირის სტრუქტურული პოლიტიკის მიზანია რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური და სოციალური ერთიანობა გააძლიეროს. განსხვავება სხვადასხვა რეგიონს შორის უნდა შემცირდეს.

ევროპული სოციალური ფონდის (ESF) ამოცანაა ევროკავშირის შიგნით ხელი შეუწყოს: სამუშაო ძალის დასაქმების შესაძლებლობებს, მათ პროფესულ გამოყენებას, ტერიტორიული და დარგობრივი თავისუფალი გადაადგილების უფლებას და სხვა. გარდა ამისა, ფონდის საქმიანობით ინდუსტრიული გარდაქმნის პროცესებთან და წარმოების სისტემების ცვლილებებთან ადაპტაცია უნდა გამარტივდეს (განსაკუთრებით ეს უნდა განხორციელდეს პროფესიული განათლებითა და კვალიფიკაციის სრულყოფით). გრძელვადიან უმუშევრობასთან ბრძოლა და ასევე ახალგაზრდობის შრომით საქმიანობაში ჩართვის გაადვილება ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

თავისთავად ცხადია, რომ კოორდინირებული პოლიტიკის მიზანი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ერთიან პროგრამებამდე ვერ მიიყვანს, რადგან სიმძიმის ცენტრი და ძირითადი პრობლემები მათთან განსხვავებულია. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში ცდილობენ დასაქმების პოლიტიკის სახელმძღვანელო მიმართულებები პრაქტიკაში სამუშაოს ძიების, დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამადლების ღონისძიებების სტიმულირებით განახორციელონ, მაშინ როდესაც სამუშაო ადგილების შექმნის სახელმწიფო პროგრამებზე უარს ამბობენ, მუშაობის დაწყების სტიმულს ანიჭებენ უპირატესობას. ყველა უმუშევარმა საკონსულტაციო გასაუბრებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. საფრანგეთი, პირიქით, მომხრეა სახელმწიფო პროგრამებისა, რომლებშიც დასაქმების პოლიტიკის გატარების გეგმებს ანიჭებენ

უპირატესობას. საზოგადოებრივ სექტორში, სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, მინიმალური ხელფასის გაზრდასა და სამუშაო დროის შემცირებას დიდი ყურადღება ექცევა. შრომის ბაზრის პოლიტიკა დანიაში პირველ რიგში მიმართულია დასაქმების უნარიანობის ზრდაზე კვალიფიკაციის ამაღლების მრავალმომცველი შესაძლებლობებითა და მოვალეობებით. ამ მიზნით შრომის ბაზრის პოლიტიკის აქტიური დეცენტრალიზაცია მოხდა. გარდა ამისა, დანიაში შრომის ბაზრის მოქნილობას დიდი ყურადღება ექცევა. სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით მცირედი დაცვა არსებობს, სახელმწიფო მხოლოდ სამუშაოდან მასობრივ განთავისუფლებებს აწესრიგებს. დროებითი დათხოვნები ფირმებს საწარმოო დატვირთვის (კონიუნქტურის) ხარისხის რყევებთან მოქნილი ადაპტირების საშუალებას აძლევს.

პრობლემებს, პირველ რიგში, შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის თეორიული საფუძველი ქმნის. პასუხები კითხვებზე, როგორცაა: ექვემდებარება თუ არა საბაზრო ეკონომიკა ენდოგენურად წარმოშობილ დასაქმების რყევებს, შესაძლებელია თუ არა ამოვიდეთ კერძო სექტორის სტაბილურობიდან (როგორც ამას ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა ვარაუდობს) და გამოიწვევს თუ არა კონიუნქტურულ ცვლილებებს ეკონომიკურ პროცესში სახელმწიფოს ჩარევა, დღემდე სადავო რჩება.

შრომის ბაზრის მოქნილობის შეზღუდულობა ან არარსებობა წარსულში ახალ მოთხოვნებთან უფრო სწრაფ შესაბამისობას ხელს უშლიდა. ეს წესრიგის პოლიტიკის პრობლემაა და მას ემატება შრომის ბაზრის ცნობილი არასრულყოფილება, რომელიც დასაქმებულთა ნაკლებ მობილურობასა და არასაკმარის ინფორმირებაში გამოიხატება. თუმცა, აქაც უნდა დაისვას კითხვა დასაქმების პრობლემის გადაჭრაში სახელმწიფოს რა ამოცანები ეკისრება. წარსულში გამოჩნდა, რომ ინსტრუ-

ქციების გამკაცრებამ შრომის ბაზარზე მდგომარეობა არსებითად არ გააუმჯობესა. შრომის ბაზრის პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური სუბიექტების ქმედებაზე დაიყვანება. განსაკუთრებით ეს იმ საწარმოებს ეხება, რომლებიც სამუშაო ძალის ახალ დასაქმებას ერიდება და ცდილობს არსებული შემადგენლობით – ზედმეტი სამუშაო საათებითაც – დასაქმების შიგა საწარმოო რყევები გაათანაბროს, ამას ემატება ისიც, რომ სამეწარმეო ეთიკაში სოციალური საზომი, როგორც ჩანს, ატროფირებულია.

დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება შეზღუდულია. ინსტრუმენტთა სიმრავლის მიუხედავად, რიგი მათგანი მაინც არ გამოიყენება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, სხვათა შორის, შრომის ბაზრის პოლიტიკის რეგულირებათა კომპეტენტური გამტარებლების დადგენა, მაშინ როდესაც სახელმწიფოს ჩარჩო პირობების დადგენა ევალება, ხოლო კონკრეტული სატარიფო ხელშეკრულების წესები პარტნიორებმა უნდა შეათანხმონ. პრობლემები ძირითადი კანონით განმტკიცებულ სატარიფო ავტონომიიდან წარმოიშობა. იგი არსებითად ზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობებს უშუალოდ განახორციელოს შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზნები. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებისას არსებული პრობლემები ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებზე არამკაფიო წარმოდგენით ძლიერდება. სტაბილურობის პოლიტიკის თვალსაზრისით, ეკონომიკაში წინა პლანზე ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტების გამოყოფა საეჭვო ხდება, როდესაც, ერთობლივი მოთხოვნის დაქვეითების ნაცვლად სტრუქტურული პრობლემები არსებობს. ეს არის დიაგნოზის ერთ-ერთი საკითხიც. არასაკმარისმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა და ზრდის შენელებულმა დინამიკამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება საჭირო გახადოს საშუალო ვადაზე ორიენტირებული მიწოდების პოლიტიკით. ამასთან, თავი უნდა აგარიდოთ მცდარ მოსაზრებას, რომ

მიწოდების პოლიტიკის გამოყენების შემთხვევაში მაკროეკონომიკური აგრეგატების კონიუნქტურულ ცვლილებას ვერ გამოვიწვევთ. მოთხოვნაზე ორიენტირებული პოლიტიკა ეკონომიკაში მიწოდების პირობების იმავდროულ გაუმჯობესებას არავითარ შემთხვევაში არ გამოირიცხავს. უფრო მეტიც, იგი საწარმოთა გასაღების გაუმჯობესებული შესაძლებლობების გამო ასეთი პოლიტიკის ელემენტებსაც მოიცავს. ამას ემატება ისიც, რომ ჩარჩო პირობების გაუმჯობესება დასაქმებაში შეიძლება მასტიმულირებელი იყოს, მაგრამ მისი უფრო სწრაფი ზრდა არ გამოიწვიოს.

დასაქმებისა და ფასების სტაბილურობას შორის მიზანთა კონფლიქტის დროს, როგორც ჩანს, ფასების სტაბილურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა იერარქიაში პრეფერენციები შეიცვალა. ევროკავშირის ცენტრალური ბანკის ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ იგი – მიუხედავად ევროკავშირის ხელშეკრულებაში არსებული ვალდებულებებისა – არ ესწრაფვის ფულადი პოლიტიკა დასაქმების სტიმულირებისათვის გამოიყენოს.

შრომის ბაზარზე არსებობს პარადოქსი, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, მეორე მხრივ, ბევრი სამუშაო ადგილი თავისუფალია (არ არის დაკავებული). ასეა მარტივია: საჭიროა კვალიფიციური მუშაკები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება მაღალი მოთხოვნის მქონე სამუშაო ადგილებს შეესაბამება. შრომისადმი საჭირო დამოკიდებულება და განათლება ბევრ ადამიანს არ გააჩნია. შრომითი შემოსავლები მათ მცირე მოცულობის ან დროებითი საქმიანობით შეუძლიათ მიიღონ. შრომისადმი ასეთი დამოკიდებულების ალტერნატივა უმუშევრობაა.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრაში პოლიტიკური სისტემაც დაბრკოლებას წარმოადგენს.

ხელისუფლების სათავეში მყოფმა მთავრობამ არა მარტო კარგი პოლიტიკა უნდა გაატაროს, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს სისტემაში გარკვეულ კომპრომისებზეც უნდა წავიდეს. მაგრამ, როგორც წესი, მთავრობა უფრო მეტად არა საკითხის წარმატებით გადაჭრაზე, არამედ ძალაუფლების შენარჩუნების სტრატეგიაზე არის ორიენტირებული. აღსანიშნავია, აგრეთვე, მზადყოფნა იმისათვის, რომ სხვა ქვეყნიებიდან და მათი წარმატებული შრომის ბაზრის პოლიტიკიდან რაღაც ისწავლონ, გერმანიაში მაინცდამაინც კარგად არ არის გამოკვეთილი. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა გერმანია ევროკომისიისაგან დასაქმების პოლიტიკაში არცთუ სახარბიელოდაა შეფასებული.

ევროინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესებით სხვა პრობლემებიც წარმოიშვა. ჩვენ უკვე მრავალჯერ ვახსენეთ ამ პროცესების შედეგად სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაში ავტონომიის შემცირების ტენდენცია. ლიბერალიზაციით შესაძლებელი გახდა სამუშაო ძალის მობილურობის ზრდა, რომელიც ხარჯების ეკონომიაზე არის ორიენტირებული. გარდა ამისა, დიდ როლს თამაშობს გავლენის ისეთი ფაქტორები, როგორცაა ახალი ბაზრის აღმოჩენა და მისი ათვისება, გასაღების ბაზართან ახლოს ყოფნა, გარემოს დაცვაში დიდ ხარჯებთან დაკავშირებული რეგულირების ნაკლები აუცილებლობა, საგადასახადო კანონმდებლობის უპირატესობები და ა.შ. ეს, მართალია, შეესაბამება თავისუფალი ვაჭრობისა და კაპიტალის სრული მობილურობის პრინციპს, მაგრამ დასაქმების შიგა სიტუაციას შეიძლება ტვირთად დააწვეს. ჩანს, რომ ზოგადად საუკეთესო ალოკაცია განაწილების კონკრეტულ (აგრეთვე შრომის) მიზანთან კონფლიქტში მოდის. ამას ემატება ისიც, რომ ევროს შემოღებით ხარჯების მდგომარეობა და მათი ზრდა წევრ ქვეყნებში ტრანსპარენტული და შედარებადი გახდა. ამ პროცესმა საშუალო ვადაში ევროპულ ბაზრებზე

(საქონლისა და მომსახურების ყიდვა, გაყიდვა, სატრანსპორტო სისტემა და ა.შ.) სტრუქტურულ ცვლილებებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ამასთან, შრომის ბაზრის პოლიტიკის სისტემები, რომლებსაც საკმაოდ დიდი მოქნილობა გააჩნია, ამ პროცესში წარმატებულად შეიძლება ჩავთვალოთ.

შრომის ბაზრის პრობლემის გადაწყვეტას დრო სჭირდება. ეკონომიკურ პოლიტიკას ხშირად თვალთახედვიდან რჩება, რომ ეს პრობლემები ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოიშვა. თუ რეაგირება ამ მიმართულებით ჩვეულებრივ ან მეტად დაგვიანებულია, მაშინ პრობლემებს უკვე პერმანენტული ხასიათი აქვს. ეს ვლინდება, მაგალითად, იმით, რომ უმუშევრობით ეკონომიკური და საზოგადოებრივი პოლიტიკის სხვა სფეროებში არასასურველი პროცესების ინდუცირება (შეტანა, გავრცელება) ხდება. თუ მარტო უმუშევრობის ფინანსურ ხარჯებს გავითვალისწინებთ, მაშინ პოლიტიკის პასიურობა გაუგებარია. დასაქმების დაბალი დონე არა მხოლოდ შრომის ფედერალური სააგენტოს, არამედ, აგრეთვე, სოციალური დაზღვევის სხვა გამტარებლების შემოსავლების (მოსახლეობის შენატანებით შექმნილი) შემცირებას იწვევს. არ უნდა გავივიკვირდეს, რომ მაშინ აქ ფინანსური სიძნელეები წარმოიშობა, რომლის გამოსწორებასაც მომსახურებათა შემცირებითა და შენატანების წილის გაზრდით შეეცდებიან. ეს შრომის ბაზრის პოლიტიკის თვალსაზრისით არასასურველია, რადგან ამით კვლავ სახელფასო დამატებითი ხარჯები მოიმატებს. საწარმოები რეაგირებენ ამ პროცესებზე და მოსალოდნელია ჩრდილოვანი ეკონომიკის გაფართოება. ამით ჩნდება ჯადოსნური წრე, რომლის გარღვევა მხოლოდ დასაქმებისა და შრომის ბაზრის პოლიტიკის სფეროში არის შესაძლებელი. ერთ-ერთი საწყისი პირობა არის რისკების დაზღვევის გადაყვანა პიროვნების კომპეტენციაში (ავადმყოფობის, ასაკის, უმუშევრობის და სხვა რისკის ინდივიდუალიზაცია), რაც სოლიდარული და დემოკრატიული სა-

ზოგადოების ვალდებულებათა შეზღუდვის თანაბარნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ALTHAMMER, Joerg, Erwerbsarbeit in der Krise? Zur Entwicklung und Struktur der Beschaeftigung im Kontext von Arbeitsmarkt, gesellschaftlicher Partizipation und technischem Fortschritt, Berlin 2002.
2. BUNDESREPUBLIK DEUTSCHLAND, Nationaler Beschaeftigungspolitischer Aktionsplan 2001, Berlin 2001.
3. DEUTSCHES INSTITUT FUER WIRTSCHAFTSFORSCHUNG, Beschaeftigung im Niedriglohnbereich. Probleme, Loesungssatze und wirtschaftspolitische Implikationen, Vierteljahreshefte zur Wirtschaftsforschung, 72. Jg. H. 1, Berlin 2003.
4. FRANZ, Wolfgang, Arbeitsmarktoekonomik, 5., ueberarb. Aufl. Heidelberg 2003.
5. KOMMISSION „MODERNE DIENSTLEISTUNGEN AM ARBEITSMARKT“ (HARTZ-KOMMISSION), Bericht der Kommission, Berlin 2002.
6. Koch Walter A. S., Christian Czogalla, Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart 2004.
7. SCHMID, Guenther, Wege in eine neue Vollbeschaeftigung – Uebergangsarbeitsmaerkte und aktivierende Arbeitsmarktpolitik, Frankfurt/main, New York 2002.
8. WAGNER, Thomas, JAHN, Elke J., Neue Arbeitsmarkttheorien, Duesseldorf 2004.
9. ZIMMERMANN, Klaus F., WAGNER, Gert. G, Arbeitsoekonomie, in: Neue Entwicklungen in der Wirtschaftswissenschaft, hrsg. v. Klaus F. ZIMMERMANN, Heidelberg 2002.

10. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I, თბ., 2008.

11. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი II, თბ., 2009.

**Controversies of Labor Market and Employment Policy and the Strategy of Success**

**R. Gvelesiani**

Restrictions of labor market flexibility or its complete lack in the past was an obstacle for meeting the new requirements. This is a problem of order policy and there is well-known labor market imperfection as well, which is reflected in less mobile employed people and not efficient communication. Important part of labor market problems are connected to the activities of economic subjects. This is especially characteristic to the enterprises, which try not to recruit new employees and to equalize enterprise fluctuations of internal employment with the personnel they have. What is more, it seems that social measurement in an enterprise ethics is atrophied.

When using tools of employment policy, the existing problems become even tougher because of not-clearly formed opinions about economic policy concepts. From the point of stability policy, when there are structural problems instead of drop in aggregate demand, it becomes questionable whether it is good to place aggregate demand components on the first place in economy. Not sufficient structural changes and slowing down of growth dynamics might cause the necessity to solve the problem by using supply policy oriented on medium-term. Demand oriented economic policy does not mean exclusion of simultaneous improvement of supply terms. What is more, improving of frame conditions in employment might be stimulating, though it cannot lead to the faster growth.



**საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტის დანაკარგები ოუკაინის კანონის მიხედვით**

**ლენა კვარაცხელია**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი დონის არსებობა, ვინაიდან იგი განაპირობებს პროდუქციის გამოშვების დაბალ დონეს და მის არსებით ჩამორჩენას პოტენციურთან შედარებით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების შემცირებას და მათი ცხოვრების პირობების გაუარესებას, სიღარიბის დონის ზრდას და სოციალური გარემოს მკვეთრ გაუარესებას.

შრომის ბაზარზე არსებული მონაცემების ანალიზისას უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ ეჭვს იწვევს დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემების ობიექტურობა (იხ. ცხრილი 1). განსაკუთრებით ეს შეეხება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობას. 1990 წელს ამ დარგში დასაქმებული იყო 697,2 ათასი კაცი, 2003 წელს კი – 994,9 ათასი კაცი, ანუ 287,7 ათასით მეტი. 2007 წლისათვის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია დააზუსტა, რაც აისახა მათი რაოდენობის შემცირებაში 910,1 ათას კაცამდე. ამასთან, 2008 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გაურკვეველი მოსაზრებებით არ ახორციელებს დასაქმებულთა განაწილების გაანგარიშებას ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით. ამიტომ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2008 წლ-

ისათვის გავიანგარიშეთ ექსპერტული შეფასებით, შემდეგი მარტივი გათვლების საფუძველზე: დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 2008 წლისათვის წინა წელთან შედარებით შემცირებულია 102,4 ათასი კაცით. იგივე სიდიდით შევამცირეთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაც, ანუ ჩავთვალოთ, რომ დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის შემცირება მოხდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემცირების ხარჯზე. ვინაიდან 2007 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 910,1 ათასი კაცი, 2008 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობა იქნება  $910,1 - 102,4 = 807,7$  ათასი კაცი. მიუხედავად ასეთი მკვეთრი შემცირებისა, 2008 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა აღნიშნული რაოდენობა 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელს მაინც აღემატება 110,5 ათასი კაცით. ამასთან, წინა 2002-2007წწ წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა უფრო მნიშვნელოვნად აღემატებოდა 1990 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა, მაინც წარმოუდგენლად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ასეთი მაღალი მაჩვენებლის არსებობა 2008 წლისათვის. ჩვენი სკეპტიციზმი განპირობებულია იმით, რომ 1990-2008 წლებში ქვეყნის მოსახლეობის 1055 ათასი კაცით შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული უმწვავესი კრიზისული ვითარების ფონზე, გაუგებარია სოფლად დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზები. სოფლის მეურნეობის პროდუქცია, 2008 წლისათვის 1990 წელთან შედარებით, შემცირებულია დაახლოებით 48%-ით<sup>1</sup>. 1990-2008 წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია დამუშავებული სახნავი მიწების (2,14-ჯერ), ჩაის პლანტაციების, ვენახისა და ხეხილის ფართობები. ასევე შემ-

<sup>1</sup> აღნიშნული მაჩვენებელი გაანგარიშებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ინდექსების საფუძველზე. **1990-96 წლების მონაცემები იხილეთ:** საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2001, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ.: 2002, გვ. 186. **1997-2008 წლების მონაცემები იხილეთ:** სტატისტიკური წელიწადეული 2009, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, გვ. 171.

ცირებულია მსხვილფეხა (1,21-ჯერ) და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (2,7-ჯერ) რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საეჭვოა, აღნიშნულ პერიოდში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის არნახული ზრდა.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, დასაქმება და მშპ 1990-2008 წლებში<sup>1</sup> ცხრილი 1.

	1990	1998	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის, ათასი კაცი	5424,4	4504,9	4371,5	4342,6	4315,2	4321,5	4401,3	4394,7	4382,1
მოსახლეობის ბუნებრივი მატება, ათასი კაცი	42,1	4,2	0,2	0,1	0,8	3,5	5,5	8,1	13,6
სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2763,3	2025,8	2104,2	2050,8	2041,0	2023,9	2021,8	1965,3	1917,8
მ. შ. დასაქმებული, ათასი კაცი	2763,3	1731,1	1839,2	1814,9	1783,3	1744,6	1747,3	1704,3	1601,9
უმუშევარი, ათასი კაცი		294,7	265,0	235,9	257,6	279,3	274,5	261,0	315,8
უმუშევრობის დონე, %		14,5	12,6	11,5	12,6	13,8	13,6	13,3	16,5
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	697,2		988,4	994,9	962,0	947,8	966,4	910,1	807,7 <sup>1</sup>
ნათესი ფართობი სულ (ათასი ჰა)	701,9	616,1	577,0	561,0	534,0	539,6	330,2	297,2	329,3
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების წილი დასაქმებულთა მიღიან რიცხოვნობაში, %	25,2		53,8	54,9	54,0	54,3	55,6	53,4	50,4 <sup>2</sup>
დაქრავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	2502,6	761,8	650,9	618,5	600,9	600,5	603,9	625,4	572,4
თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	260,7	969,3	1184,9	1195,2	1181,7	1143,3	1141,6	1078,8	1028,5
თვითდასაქმებულების წილი დასაქმებულთა მიღიან რიცხოვნობაში, %	9,4	56,0	64,4	65,9	66,3	65,5	65,3	63,2	64,2
მშპ მიმდინარე ფასებით, მლნ ლარი		5041	7456	8564	9824	11621	13790	16994	19070

<sup>1</sup> სტატისტიკური წელიწადეული 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი (1990 წლის მონაცემები იხ. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ.: 1999).

<sup>2</sup> ექსპერტული შეფასებით

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლის გამართლებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ 1990 წელთან შედარებით, დაბალია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის დონე. თუმცა, გასათვალისწინებელია ის, რომ სოფლად დასაქმებულთა რაოდენობის ოფიციალური მაჩვენებელი ეკონომიკური კრიზისის საწყის ეტაპზე იქნა ხელოვნურად ამაღლებული, ანუ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო არსებული ტექნიკა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრობლემა სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდშია, რომლის თანახმადაც დასაქმებულად ითვლება ყველა პირი, მ.შ. სოფლად მცხოვრებიც, რომლის მშობლებსაც გააჩნიათ საკარმიდამო ნაკვეთი და რომელმაც უკანასკნელი კვირის მანძილზე იმუშავა თუნდაც ერთი საათი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე ბევრად აღემატება ოფიციალურად გამოქვეყნებულ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, უმუშევართა რაოდენობამ 2008 წლისათვის შეადგინა – 315,8 ათასი კაცი, ხოლო უმუშევრობის დონემ – 16,5%. მხედველობაშია მისაღები ის, რომ 2008 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1990 წელთან შედარებით ხელოვნურად, თითქმის 110,5 ათასი კაციითაა გაზრდილი (წინა წლებში, მაგ.: 2000-2007 წლებში ეს მაჩვენებელი დიდად უფრო მასშტაბური იყო. მაგალითად, 2003 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 297,7 ათასი კაცი (მეტი 1990 წელთან შედარებით). ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დასაქმებულთა ეს კატეგორია უნდა დაემატოს უმუშევართა რაოდენობას, ანუ საქართველოში არანაკლებ 426,3 ათასი (315,8 ათასს + 110,5 ათასი) უმუშევარია.

უმუშევართა რეალური რიცხოვნობის გასაანგარიშებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2003 წლიდან 2008 წლამდე

დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1814,9 ათასიდან 1601,9 ათასამდე, ანუ 213 ათასი კაცით, ხოლო ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 80 ათასი კაცით. **ისმის კითხვა, სად წავიდა სამუშაოდან გამონთავისუფლებული 133 ათასი კაცი?** ეს შეიძლება აიხსნას სამუშაოდაკარგულთა ნაწილის უცხოეთში ემიგრაციით. მაგრამ თუ ისინი ემიგრაციაში წავიდნენ, მაშინ მოსახლეობა უნდა შემცირებულიყო, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან ბუნებრივმატებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, 2008 წელს მოსახლეობის რიცხოვნობა 2003 წელთან შედარებით, ანუ 5 წლის მანძილზე, გაზრდილია 40 ათასი კაცით (აქედან ბუნებრივი მატების ხარჯზე 31,5 ათასი კაცით, არადა მხოლოდ 1990 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 42,1 ათასი კაცი). ე. ი. გამოდის საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებისა და უმუშევართა რაოდენობის ზრდის ფონზე ქვეყანაში დაბრუნდა 8,5 ათასი ემიგრანტი. თუ მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ეს მონაცემები სწორია<sup>1</sup>, მაშინ გამოდის

<sup>1</sup> მოსახლეობის რიცხოვნობის სიზუსტის შესახებ გარკვეული დაჯგუფების საფუძველს იძლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია (იხ.: სტატისტიკური წელიწადი 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, გვ.: 22), რომლის თანახმადაც საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 1989 წელს შეადგინა 5400,8 ათასი კაცი, ხოლო 2002 წელს – 4371,5 ათასი, ანუ 1989 წელთან შედარებით 2002 წლისათვის მოსახლეობა შემცირებულია 1029,3 ათასი კაცით. ამასთან, 1989 წლისათვის ქვეყანაში ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 3787,4 ათას კაცს, ხოლო 2002 წლისათვის კი – 3661,2 ათას კაცს. ე. ი. 1989 წელთან შედარებით 2002 წლისათვის ქართველთა რაოდენობა შემცირებულია მხოლოდ 126,2 ათასი კაცით. აღნიშნული ინფორმაცია რეალური რომ იყოს ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, რეალურობისაგან ძალიან შორსაა, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი ასეული ათასი ქართველი ცხოვრების უკეთესი პირობების საძიებლად უცხოეთშია გასული. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ქართველთა რაოდენობა ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია (ამას ინფორმაციის დამალვა ვერ უშველის, პირიქით, საჭიროა გამჭვირვალობა და საქართველოში ქართული მოსახლეობის დასაბრუნებლად ადეკვატური სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავება), შესაბამისად დიდად ნაკლებია საქართველოს მოსახლეობაც.

რომ უმუშევრად დარჩენილმა 133 ათასმა კაცმა სამუშაოს ძიებაზე ხელი ჩაიქნია და შეავსო სამუშაოს შოვნისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ადამიანების მრავალათასიანი არმია, რაც მიუთითებს ქვეყანაში მკვეთრად არაჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების არსებობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში (მნიშვნელობა არა აქვს უმუშევრად დარჩენილები ემიგრაციაში წავიდნენ, თუ ხელი ჩაიქნიეს სამუშაოს შოვნაზე), მიგვაჩნია, რომ აღნიშნული 133 ათასი კაცი უნდა დაემატოს უმუშევართა რაოდენობას, ვინაიდან ისინი თუ გუშინ მუშაობდნენ, დღესაც იმუშავებდნენ სათანადო სამუშაოს არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, საქართველოში უმუშევართა რიცხვონობა შეადგენს  $426,3+133=559,3$  ათას კაცს<sup>1</sup>.

**ამრიგად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (დასაქმებულები და უმუშევართა რაოდენობის ჯამი)  $1601,9+559,3=2161,2$  ათასი კაცია. აქედან გამომდინარე, უმუშევრობის რეალური დონე შეადგენს 26%-ს და არა 16,5%-ს.**

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ი. არჩვაძის მოსაზრება (იხ.: ი. არჩვაძე. საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ.: „სოციალური ეკონომიკა“, 2010წ., №1). ქვეყანაში უმუშევართა აბსოლუტური დონის განსაზღვრისათვის იგი თვლის, რომ „აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიაზე უმუშევართა კონტინგენტს დაემატოს ქვეყნიდან გასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობაც“, ვინაიდან მისი აზრით „ეს უკანასკნელნი იმიტომ გახდნენ მიგრანტები, რომ საქართველოში ვერ იშოვეს სამუშაო“. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება სწორია. ამასთან მიგვაჩნია, რომ უფრო მეტ დაზუსტებას მოითხოვს ავტორის მიერ გაანგარიშებული შრომითი მიგრანტების რიცხვონობა, რომელიც მისი აზრით შეადგენს 800 ათას კაცს, რომლის დამატებაც უმუშევართა რაოდენობას მკვეთრად ზრდის. 2008 წელს, 1990 წელთან შედარებით, მოსახლეობა შემცირებულია 1055 ათასი კაცით. აქედან ოკუპირებული ქართული მხარის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დარჩენილია მოსახლეობის გარკვეული ნაწილი – 200-300 ათასი კაცის ოდენობით. ანუ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობა შემცირებულია დაახლოებით 800 ათასი კაცით და ყველა მათგანის შრომით მიგრანტად ჩათვლა მიზანშეუწონელია. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობისა და მისი ცვლილების შესახებ სტატისტიკური მონაცემების არასაიმედოების გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეისთვის ოფიციალურზე დიდად ნაკლებია და შრომითი მიგრანტების რაოდენობაც არანაკლებ 800 ათასია.

უმუშევრობით განპირობებულ სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებს<sup>1</sup> შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირება. ანუ უმუშევრობის დონესა და პროდუქციის გამოშვების დონეს შორის არსებობს უკუ დამოკიდებულება. კერძოდ, აშშ-ს ეკონომიკისათვის დადგენილია, რომ როცა ფაქტობრივი უმუშევრობის დონე აღემატება მის ბუნებრივ დონეს 1%-ით, მაშინ მშპ-ის მოცულობის ფაქტობრივი დონე 2,5 %-ით ნაკლებია მის პოტენციურ დონეზე<sup>2</sup> ზოგიერთ ნაშრომში მითითებულია თანაფარდობა 1 : 2<sup>3</sup>.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული ვითარების ანალიზისას, იმისთვის, რომ ტენდენციურობაში და ბუნებრივ დონესთან შედარებით უმუშევრობის 1%-ით ზრდასა და პროდუქციის გამოშვების შემცირებას შორის თანაფარდობის გადიდება-გაზვიადებაში არ დაგვდონ ბრალი, აღნიშნულ თანაფარდობას ავიღებთ 1 : 2-ის ტოლად. ამასთან, რა თქმა უნდა, მოცემული სტატია უფრო მოიგებდა პოსტსოციალისტური საქართველოს პირობებში აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის ზუსტი თანაფარდობის დადგენით<sup>4</sup>. ეს დამოკიდებულება ცნობილია ოუკენის კანონის სახელწოდებით და იგი გამოისახება შემდეგნაირად:

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით სოლიდური გამოკვლევა აქვთ ჩატარებული გ. წერეთელსა და ნ. ბაბილაშვილს ნაშრომში: პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები“. თბ., 2004.

<sup>2</sup> Mankiw N. L., Reis R. J., Weil D. N., 1992 p. 160.

<sup>3</sup> N. Mankiw. Macroeconomics, 1994 p. 87.

<sup>4</sup> საქართველოს ეკონომიკაში, განსხვავებით აშშ-ს ეკონომიკისაგან, შრომატევად დარგებზე მოდის წარმოებული მშპ-ის უდიდესი ნაწილი. შრომის კაპიტალშეიარაღების დაბალი დონის შედეგად, საქართველოში აშშ-სთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია შრომის ზღვრული პროდუქტი. ამიტომ, სრულიად მონალოდნელია, რომ საქართველოში ბუნებრივ დონესთან შედარებით ფაქტობრივი უმუშევრობის დონის 1%-ით ამაღლებამ გამოიწვიოს მშპ-ის პოტენციურ დონესთან შედარებით მისი ფაქტობრივი დონის ჩამორჩენა 2 %-ზე ნაკლები სიდიდით, ანუ ჩვენი აზრით, უმუშევრობის ზრდის უარყოფითი ეფექტი საქართველოში შეიძლება აღმოჩნდეს აშშ-ში არსებულზე ნაკლები. მაგრამ, ვინაიდან საქართველოში არ მოიპოვება სათანადო ინფორმაცია უმუშევრობის ზრდასა და პროდუქციის გამოშვების შემცირებას შორის თანაფარდობის შესახებ, ამიტომ, უმუშევრობით გამოწვეულ დანაკარგებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნის მიზნით, აღნიშნულ თანაფარდობა, ჩვენ პირობითად ავიღეთ აშშ-ის ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მინიმალურ – 1 : 2-ის ტოლ დონეზე.

$$(Y - Y_p) / Y_p = -\beta(U - U_e) \quad (1)$$

სადაც  $Y$  – მთლიანი შიგა პროდუქტის ფაქტობრივი მოცულობაა,

$Y_p$  – მშპ-ის პოტენციური დონე;

$U$  – უმუშევრობის ფაქტობრივი დონე;

$U_e$  – უმუშევრობის ბუნებრივი დონე;

$\beta$  – ოუკენის კოეფიციენტი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში 2-ის ტოლია.

2008 წლისათვის მშპ-ის დანაკარგებს (მშპ-ის ჩამორჩენას პოტენციურ დონესთან შედარებით), უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გავიანგარიშებთ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილი უმუშევრობის ფაქტობრივი დონის საფუძველზე, შემდეგ კი, ჩვენს მიერ ექსპერტული შეფასების გზით გაანგარიშებული უმუშევრობის დონის მიხედვით. ამასთან, უმუშევრობის ბუნებრივ დონეს საქართველოსათვის ჩავთვლით 10%-ის ტოლად, ანუ ხელოვნურად ავიღეთ მისი რაც შეიძლება მაქსიმალური მნიშვნელობა, რათა ამით გამოირიცხოს უმუშევრობის ბუნებრივი დონის მის რეალურ დონესთან (რომლის შესახებ ინფორმაცია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ გააჩნია) შედარებით შემცირების უარყოფითი ზეგავლენა პროდუქციის გამოშვების მოცულობაზე.

2008 წლისათვის მშპ-ის მოცულობამ შეადგინა 19070 მლნ ლარი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებულმა უმუშევრობის დონემ – 16,5%, უმუშევრობის ჩვენს მიერ გაანგარიშებულმა დონემ კი – 26%. აღნიშნული მნიშვნელობები ჩასმით განტოლებაში (1) მივიღებთ:

1.  $(19070 - Y_p) / Y_p = -2(0,165 - 0,1)$ , საიდანაც, მარტივი გარდაქმნების საფუძველზე მივიღებთ, რომ  $Y_p = 21919$  მლნ ლარს. ე. ი. რადგან 2008 წლისათვის ქვეყანაში არსებული უმუშევრობის ფაქტობრივი (ოფიციალური) დონე 6,5%-ით აღემატება მის ბუნებრივ დონეს (10%-ს), ამიტომ მშპ-ის მოცულობის დანაკარგმა ამავე წლისათვის შეადგინა 2849,5 მლნ ლარი (2,85 მლრდ

ლარი), ანუ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე მისი ბუნებრივი დონის ტოლი რომ ყოფილიყო, მაშინ 2008 წლისათვის მშპ-ის მოცულობა 15%-ით მეტი იქნებოდა სტატისტიკის სამსახურის მიერ გაანგარიშებულ დონესთან შედარებით<sup>1</sup>. ამასთან, აღნიშნული წლისათვის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით წარმოებული მშპ-ც 650 ლარით მეტი იქნებოდა მის ფაქტობრივ დონეზე.

2.  $(19070 - Y_p) / Y_p = -2(0,26 - 0,1)$ , საიდანაც, მარტივი გარდაქმნების საფუძველზე მივიღებთ, რომ  $Y_p = 28044$  მლნ ლარს. ე. ი. რადგან 2008 წლისათვის ქვეყანაში არსებული უმუშევრობის ფაქტობრივი (ჩვენი ექსპერტული შეფასებით) დონე 16%-ით აღემატება მის ბუნებრივ დონეს (10%-ს), ამიტომ მშპ-ის მოცულობის დანაკარგი 2008 წლისათვის შეადგენს 8974 მლნ ლარს (8,97 მლრდ ლარს), ანუ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე მის ბუნებრივ დონეზე რომ დარჩენილიყო, მაშინ 2008 წლისათვის მშპ-ის მოცულობა 47%-ით მეტი იქნებოდა სტატისტიკის სამსახურის მიერ გაანგარიშებულ დონესთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული წლისათვის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით წარმოებული მშპ-ც 2048 ლარით მეტი იქნებოდა მის ფაქტობრივ დონეზე.

<sup>1</sup> ნ. ლაცაბიძისა და მ. ცარციძის გამოკვლევის თანახმად (იხ. ჟურნ.: ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009წ, №2, მარტი-აპრილი. გვ.: 66-74), 2007 წელს უმუშევრობით გამოწვეულმა ეკონომიკურმა დანაკარგებმა შეადგინა მშპ-ის 17,25 %. მხედველობაშია მისაღები ის, რომ აღნიშნულ სტატიაში ავტორები უმუშევრობის ბუნებრივ დონედ იღებენ 6%-ს, ხოლო ბუნებრივ დონესთან შედარებით უმუშევრობის 1%-ით ზრდასა და პროდუქციის გამოშვების შემცირებას შორის თანაფარდობას კი 1 : 2,5 –ის ტოლ სიდიდედ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მშპ-ის დანაკარგებს. თუ 2008 წლისთვისაც აღნიშნული საბაზო მაჩვენებლების საფუძველზე ვიანგარიშებთ მშპ-ის დანაკარგებს, მაშინ (1) განტოლება მიიღებს სახეს:  $(19070 - Y_p) / Y_p = -2,5(0,165 - 0,06)$ , საიდანაც მარტივი გარდაქმნების გზით მივიღებთ, რომ  $Y_p = 25857,6$  მლნ ლარს. ე. ი. მშპ-ის დანაკარგი აღნიშნული წლისთვის შეადგენს 6787,6 მლნ ლარს, ანუ 2008 წელს უმუშევრობით გამოწვეულმა ეკონომიკურმა დანაკარგებმა შეადგინა ფაქტობრივი მშპ-ის 35,6 %.

როგორც ანალიზიდან ჩანს, ნებისმიერ შემთხვევაში საკმაოდ მაღალია უმუშევრობის რეალური დანახარჯები, თუმცა, ექსპერტული შეფასების საფუძველზე გაანგარიშებული უმუშევრობის დონის (რომელიც ზემოთაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით უფრო რეალურად მიგვაჩნია) დანახარჯები დიდად უფრო შთამბეჭდავია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური სიტუაციაა დანარჩენ წლებშიც (1991 წლიდან დღემდე), რაც მიუთითებს, ჯერ ერთი, დასაქმებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის არასაიმედობაზე და მეორე, უმუშევრობის მაღალი დონით (რეალურის და არა ოფიციალურის) გამოწვეულ მშპ-ის მოცულობის უზარმაზარ დანაკარგებზე.

**GDP LOSSES ACCORDING TO OKUN'S LAW**

*D. Kvaratskhelia*

At the current stage of economic development high rate of unemployment is a special problem as it conditions low level of production and its significant lag compared with the potential, reduction of the incomes of the significant part of population and worsening of their life conditions, increase of the poverty level and dramatic worsening of the social environment.

The article provides calculation of GDP loss due to increase of actual unemployment rate over the natural rate of unemployment. GDP loss calculated on the basis of the available official data on actual rate of unemployment for year 2008 comprised GEL 2.85 billions, or 15% of the actual GDP. GDP loss calculated on the basis of actual rate of unemployment as per expert evaluation for the same year was GEL 8.97 billions, or 47% of actual GDP.

On the basis of the mentioned analysis we can see that in any case, actual costs of unemployment are quite high though costs calculated on the basis of expert evaluation are much more impressive. It should be also noted that the situation was similar in the other years as well (period from 1991 up to present), pointing to huge losses of GDP in result of high rate of unemployment (actual and not official).



*უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის, ყმა ფულიანისა ილია*

*გულთაგ ლაბარტყავა ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

ფულის მეცნიერული კვლევა და შესწავლა კაცობრიობის უძველეს პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. საგულისხმოა, რომ ფულმა თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მეცნიერების მრავალი პრობლემა ფულის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განხილვას უკავშირდება. დაწყებული ანტიკური სამყაროს უდიდესი ცივილიზაციიდან, ფულის ფენომენი ყველა დროის სწავლულთა ყურადღების ცენტრშია და მას დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ეკონომიკის, ფინანსებისა და ფულის თეორიაში.

ფული – სამართლიანად ითვლება ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიგნებად, იგი ცივილიზაციის დიდი აღმოჩენა და მონაპოვარია. საოცარია, რომ ადამიანები ყველაფერს აკეთებენ ფულისათვის და ფულიც თითქმის ყველაფერს აკეთებს ადამიანებისათვის<sup>1</sup>. ფულით სიამოვნების მიღება მისგან განთავისუფლების გარეშე შეუძლებელია. ფულს,

\* რედაქციისაგან: პრობლემის ავტორისეული დასმა ორიგინალურია და საინტერესო, თუმცა, მიდგომა მარქსისტულია. მარქსისტული მოძღვრება მსოფლიო ეკონომიკური აზრის მნიშვნელოვანი შენაკადია და მას აქვს არსებობის უფლება. ამიტომაც, რედაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია სტატიის გამოქვეყნება.

<sup>1</sup> კემბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკისი. ნაწ. II, თბ., 1993, გვ. 175.

დედამიწის მსგავსად, დიდი მიმზიდველობის ძალა აქვს. საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების გაგებისათვის არ არსებობს ფულის განვითარების კანონზომიერებაზე უფრო მნიშვნელოვანი ფენომენი. ფულს ხშირად და სამართლიანად „ბაზრის ენას“ უწოდებენ<sup>1</sup>. ონორე დე ბალზაკი მიიჩნევდა, რომ „ფული – ესაა მეექვსე გრძნობა, რომელიც ჩვენ ნებას გვაძლევს დავტკბეთ დანარჩენი ხუთით“. უფრო ზუსტად და მოკლედ განსაზღვრავდნენ მას ეკონომისტები. ადამ სმიტი ფულს უწოდებდა „მიმოქცევის ბორბალს“, კარლ მარქსი კი – „საყოველთაო ექვივალენტს“<sup>2</sup>. ფული ის დერძია, რომლის ირგვლივ ტრიალებს ეკონომიკა<sup>3</sup>. ერთი სიტყვით, ფულს ყველაზე მეტი ძალა აქვს, ფული ყველაფერია. და მაინც, მის შესახებ საზოგადოებისათვის ყველაფერი ცნობილი როდია. ფული უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური სისტემის რომელიმე კომპონენტი. კარგად მომუშავე ფულადი სისტემა განაპირობებს ქვეყნის ძლიერებას და პირიქით. ფული ყველასი და ყოველივეს ყველაზე დიდი მომთვინიერებელია. ასევე არ შეიძლება იმის დაიწყოება, რომ ფული ყველაზე დიდი ექსპლუატატორია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ფულის, როგორც ექსპლუატაციის საშუალების ფუნქციაზე. ეს ფუნქცია საკმაოდ ძველია, მას ისტორიული ფესვები გააჩნია. იგი მოსწონს თუ არა ვინმეს, ამის შესახებ მსჯელობა ზედმეტი. ერთი რამ კი ცხადია – ფულს ყველა ეტანება. ამასთან, ფულის ყველა პატრონი, როგორც დამქირავებელი სუბიექტი, პოტენციური ექსპლუატატორია. ფულის ეს ფუნქცია ყოველთვის სახეზეა. იგი დამქირავებელსა და დამქირავებულ სუბიექტებს შორის კონ-

<sup>1</sup> Э. Дж. Доуан, К.Д. Кэмбелл, Р. Дж. Кэмбелл. Деньги, Банковское Дело и Денежно-Кредитная Политика. СПб, 1994, с. 8.

<sup>2</sup> Экономика. Учебник под редакцией доцента А. С. Булатова. М., 1997, с. 399.

<sup>3</sup> ეკონომიკური თეორია. გ. ადვიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბ., 1998, გვ. 59.

ტრაქტითაც განმტკიცებულია. ჩვენ ყველა, ფულის ამ ფუნქციის პერსონაჟები ვართ, ნებისთ თუ უნებლიეთ, ყველა ვადიარებთ მას. იგი აშენებს, მართავს ქვეყანას და სიცოცხლეს ამკვიდრებს ყველგან. ფული ამ ფუნქციის გარეშე თავის არსს კარგავს და უბრალო ექსპონატად გადაიქცევა. ადამიანებს არაფერი ისე თავისუფლად არ ემსახურება, როგორც ფული, ჩვენს ყოფაში, ცხადია, მასზე უფრო მობილური და ეფექტიანი საშუალება არ არსებობს. ფულის ასეთი დიდი მნიშვნელობის და შესაძლებლობების მიუხედავად, არ არსებობს ცალკე აღებული ფულის ინსტიტუტი. ბანკი ამ ფუნქციას თითქოს ასრულებს, მაგრამ ის დღეს ფულის სრულყოფილ ინსტიტუტს მაინც არ წარმოადგენს. ამდენად, ფულის სპეციალური ინსტიტუტების შექმნა დროის აუცილებელი მოთხოვნაა.

კაპიტალიზმი – ეს საბაზრო ეკონომიკაა<sup>1</sup>. უბედურება ისაა, ჩვენ მთელი 70 წელი ვებრძოდით კაპიტალიზმს, ახლა კი დიდ მოწიწებით მას ველტვით. ყოველგვარ ამ ცვლილებებში ფულს არც თავისი სახე დაუკარგავს და არც შინაარსი იმიტომ, რომ იგი ყოველთვის თავისი ფუნქციების ერთგული რჩებოდა.

ფული, როგორც ექსპლუატაციის საშუალება, ორიენტირია, რომელიც საბაზრო სისტემას ერთგულად ემსახურება საზოგადოების ყველა ეკონომიკურ სისტემაში. ფულის ამ ფუნქციის ძალა სათანადოდ ჯერ კიდევ არაა შეფასებული, რადგან იგი ზედაპირზე არ დევს, არამედ ღრმად ჩაფლული და ჩახლართულია მის არსში, რაც ფულის ყველაზე აქტიური ფუნქციაა. სამწუხაროა, რომ მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებამ ძალიან ცოტა იცის. ფულის ამ ფუნქციას, ისევე როგორც ყველა სხვას, ფასთა სისტემა არეგულირებს. ყოველგვარი ექსპლუატაციის საბოლოო შედეგი ფულს უკავშირდება, ფულით ანაზღაურდება და გაიზომება. აი, მანქანების, შრო-

<sup>1</sup> კემბელ რ. მაკონელი. სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკისი. ნაწ. I, თბ., 1993, გვ. 92.

მის საგნების ექსპლუატაცია კი – ფულის მეშვეობით ხორციელდება. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თვით ფულის მეშვეობით ხდება არა მარტო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და ყველფა, არამედ ასევე თვით ადამიანი ახდენს ფულის ექსპლუატაციას, ყველფას და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ვისაც ფული აქვს ის ბატონობს ადამიანებსა და ბუნებაზეც. დღეს, ვფიქრობთ, ამ ჭეშმარიტებას მტკიცება არ სჭირდება. იგი აქსიომაა, თუმც, მისი საბოლოოდ აღიარება ჯერ კიდევ არ მომხდარა.

მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, საბაზრო ეკონომიკა – ეს ექსპლუატაციაზე აგებული და დაფუძნებული სისტემებია. მათი სიცოცხლისუნარიანობა ფულის მეშვეობით ხორციელდება. ფულია ის იარაღი, რომლითაც ისინი ექსპლუატაციას ახდენენ. ამიტომაც ფული წარმოადგენს ექსპლუატაციის საშუალებას. ბუნებრივია, იგი ამ ნიადაგზე წარმოიშვა და ამ ფუნქციას ასრულებს. წაართვით ფულს ეს ფუნქცია და იგი დაკარგავს სიცოცხლის ყველა ნიშანს, მას სხვანაირად არსებობა არ შეუძლია. ფორმულაც ფ – ფ1 ამას ცხადყოფს და გამოხატავს. ექსპლუატაცია ყოველთვის არ შეიძლება გვესმოდეს, როგორც უარყოფითი ფაქტორი, მას დიდი საზოგადოებრივი ეფექტის მოხდენის უნარი აქვს, კაცობრიობის ისტორიაში ამის არა ერთი და ორი მაგალითია. უბრალოდ, საოცარია ფულის ბუნება, მისი ორიენტაცია. იგი ექსპლუატაციის საშუალებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გარეგნულად არავითარ წყენას არ იმსახურებს. პირიქით, როგორც წესი, ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ყველა წინააღმდეგობა ჩვეულებრივ ფულის მეშვეობით წყდება. ამ ურთიერთობებში, ფული, როგორც ექსპლუატაციის საშუალება, განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ყოველგვარ ბოროტებას და სიკეთეს თუ რამე იწვევს და კურნავს ეს, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ფულია.

ფულის ფუნქციები თითქოს შეზღუდულია. მისი გამოშვების უფლება ყველას არა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი დათრგუნვა ვერავინ შეძლო. რადგანაც იგი თვით არის ექსპლუატაციის საშუალება. ფულს თავისი ახირებულობა გააჩნია. იგი ღირსეულ პარტნიორებს ეძებს მხოლოდ, უღირსებს საერთოდ არ უჩერდება. რადგან მათ არ იციან ჯეროვნად ფულის ფასი და ყადრი. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, ვინც ფულსა ჭრის, მას ყველაზე მეტი ფული უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასე როდია. იმის გამო, რომ იგი ფულს შტამპავს არა პირადი მოხმარებისთვის, არამედ საზოგადოების ინტერესების უზრუნველსაყოფად, თვით ფულის მწარმოებელი მუშაც კი დაქირავებულია და ექსპლუატაციის სუბიექტს წარმოადგენს.

ფულის, როგორც ექსპლუატაციის საშუალების ფუნქცია, ვფიქრობთ, სრულიადაც არაა მისი ახალი ფუნქცია. ამ აზრს სერიოზული საფუძველი აქვს. ადრე, ამ ფუნქციის შესახებ გამოკვეთილად, ცალსახად არაფერს ლაპარაკობდნენ, თუმცა, მისი არსებობის შესახებ მნიშვნელოვანი შრომები იწერებოდა. ასე, მაგალითად, კარლ მარქსის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“ ფულის თითქმის ამ ფუნქციის ერთგვარ ასახვას წარმოადგენს.

თანმიმდევრობით მიყვებით მარქსის მსჯელობას. მუშაყიდის კაპიტალისტზე თავის სამუშაო ძალას და მის ნაცვლად ღებულობს ხელფასს. ხელფასი არის დახარჯული შრომის ფულადი ანაზღაურება, ე.ი. მუშის საბოლოო მიზანი ფულია, თუმცა, ის დახარჯული შრომის სრული, მთლიანი ანაზღაურება არაა. ამდენად იგი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ექსპლუატაციის საშუალებას წარმოადგენს.

ფულის ამ თვისების სიღრმისეული გამოკვლევა დღემდე არავის ჩაუტარებია. ფულის დაუოკებელი სურვილია გახდეს იმაზე მეტი, ვიდრე თვითონაა. ეს ფორმულიდანაც კარგად ჩანს:

ფ – ფ1. ფული ყოველთვის ისწრაფვის გახდეს ფ1, ანუ კაპიტალი.

ფული, როგორც უნივერსალური საქონელი, კაპიტალია. მისი შინაგანი ბუნება მოგების მაქსიმიზებისკენ ილტვის, რაც ექსპლუატაციის გარეშე შეუძლებელია მიღწეულ იქნეს. ამდენად, ფულის და კაპიტალის, როგორც ექსპლუატაციის ფუნქციონის, იდენტურობა უბრალოდ დამთხვევის შედეგი კი არ არის, არამედ მახვევებელია იმისა, რომ ფულის როგორც ექსპლუატაციის საშუალების ფუნქცია თავს იჩენს ყველგან და იგი საზოგადოებრივი წარმოების და მისი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

საზოგადოების ნებისმიერი ეკონომიკური წყობილება ექსპლუატაციაზეა აგებული. ამიტომაც, არსებობს ორი სუბიექტი: დამქირავებელი და დაქირავებული, ანუ ექსპლუატატორი და ექსპლუატირებული. ამდენად, სადავოს არ უნდა წარმოადგენდეს ფულის როგორც ექსპლუატაციის საშუალების ფუნქციის აღიარება. დამქირავებლისა და დაქირავებულის კონტრაქტის შინაარსიც ამას ცხადყოფს. ამასთან, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მხოლოდ დაქირავებული ქმნის ყოველგვარ ღირებულებას.

საზოგადოებამ ფულის გამოყენება კარგად ისწავლა, მაგრამ ფულის არსის შესახებ მას ჯერჯერობით სრულყოფილი წარმოდგენა არა აქვს. სწორედ ამის შედეგია ჩვენი დღევანდელი ყოფაც. უბრალო მევახშეობიდან დაწყებული, ფული ყოველთვის ექსპლუატაციის საშუალებას წარმოადგენდა. მოგება, სარგებელი, საქონლის რეალიზაცია „უსამართლო ფასით“ და ა.შ. ყველაფერი ეს ექსპლუატაციაა და ამასთან, მისი დონის მაჩვენებელიც.

ნებისმიერი „სამართლიანი ფასიდან“ გადახრა ექსპლუატაციაა. ტერმინი – „სამართლიანი ფასი“ პირველად წამოაყენა შუა საუკუნეების ერთერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა

ჰიპონის (ჩრდილოეთ აფრიკა) ეპისკოპოსმა აუგუსტინიმ (354–430 წწ.)<sup>1</sup>.

საგულისხმოა, რომ თვით ადამიანიც ექსპლუატატორული ბუნებისაა. იგი ექსპლუატაციას უწევს არა მარტო ბუნებას, ცხოველებს, საგნებს, ნივთებს, არამედ ყველაფერს, მათ შორის თვით ადამიანსაც კი. ადამიანის ეს ბუნება უბრალო ფაქტორი როდია. იგი იმდენად გამჯდარია მასში, რომ მის გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. შეიძლება ითქვას, იგი მისი ცხოვრების შინაარსია. ამდენად, ფულის მაცოცხლებელი და მასტიმულირებელი მნიშვნელობა განუზომელია. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ფილოსოფიაში, არც თუ იშვიათად, ადამიანის კატეგორიას, როგორც ბოროტ არსებას, განიხილავენ, ვიდრე კეთილს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ფულის მასის ნაკლებობა იწვევს არა მარტო ფულის შიმშილს, არამედ ეკონომიკის ფუნქციების მოშლას. ისევე როგორც პატარა მდინარეში, სადაც კოჭებამდე წყალია, არ შეიძლება ცურვის სწავლა, ან როცა ნავსადგურში დიდი გემების შემოსასვლელად არ არის სათანადო წყალწყვა, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუძლებელია ფულის გარკვეული რაოდენობის, ასევე შეიძლება ითქვას, ზედმეტი მასის გარეშეც კი. ამას თუ დაეუმატებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში მიმოქცევაში გაშვებული ფულის 80%-ზე მეტი, როგორც წესი, ბანკებში არ ბრუნდება და არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, ყველაფერი ცხადი იქნება.

აშშ-ს ზედმეტი დოლარები აქვს, ამიტომაც ის ყველას დონორი ქვეყანაა. სხვანაირად მას ამ ფუნქციის შესრულება გაუჭირდებოდა. ამით აშშ ერთგვარად უზრუნველყოფს მისი ქვეყნის ვალუტის მდგრადობას.

<sup>1</sup> Творения Божественного Августина Епископа Иппонинского, Киев, 1911.

ფული რომ საზოგადოებრივი მოვლენაა ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საზოგადოებრივი მოვლენის, ფულის, როგორც ექსპლუატაციის ფუნქციის შესახებ. ფული, უპირველეს ყოვლისა, ღებულობს ე.წ. ხელფასის სახეს და შემდეგ, ფაქტობრივად, ასრულებს მის სხვა ფუნქციებს. ამიტომაც, ექსპლუატაცია ფულის უპირველესი ფუნქციაა. შესაბამისად, განმარტება – „ხელფასი არის დახარჯული შრომის მხოლოდ ანაზღაურება“, არაზუსტია. ხელფასი დახარჯული შრომის მხოლოდ ნაწილია. ხელფასი რომ სრულად მიეცეს მის მესაკუთრეს, მაშინ არ შეიქმნებოდა მოგება, რასაც ქმნის მხოლოდ ცოცხალი შრომა.

საყოველთაოდ მიღებულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფული განსაკუთრებული საქონელია, მაგრამ არ ხსნიან ფულის ამ განსაკუთრებულობას. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა – ექსპლუატაციის საშუალება, რაც საყოველთაო ხასიათის მატარებელია. აბა სხვა რომელ ურთიერთობაზე შეიძლება ლაპარაკი, რომ ფული ექსპლუატაციის საშუალებას არ წარმოადგენდეს? ფული წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში. სწორედ ფულმა განაპირობა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლა და ახალი საზოგადოების წარმოშობა, რომელიც დაფუძნებულია ექსპლუატაციაზე.

ექსპლუატაციის ფულადი ფორმა ხელს უწყობს ექსპლუატაციაზე აგებული სხვადასხვა ეკონომიკური ფორმაციის წარმოშობას. ფული, რომელმაც შეისისხლხორცა ექსპლუატაციის საყოველთაო ექვივალენტური ფუნქცია, არ ატარებს თავის ნამდვილ სახელს, რაც დიდი უსამართლობაა. ფული თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე ასრულებს ამ ფუნქციას, ეს მისი მონოპოლიური ფუნქციაა. ამიტომაც, შემთხვევითი როდია, რომ ჩვენ ყველანი ფულის ნებსითი, თუ უნებლიე მონები ვართ.

ფული იმდენად შენიღბულია, რომ ამ ფუნქციას თითქმის არ ამჟღავნებს. რამდენი საუკუნე გავიდა, მაგრამ ამის შესახებ

ღიად თითქმის არავინ მსჯელობს. ეს ფუნქცია, მართალია, ზედაპირზე არ დევს, მაგრამ ფულის სპეციალისტებმა იგი უნდა იპოვონ და აღმოაჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულის არსისა და ფუნქციების შესახებ საზოგადოებას სწორი წარმოდგენა არასოდეს ექნება.

საერთოდ, მკვლევარ-ეკონომისტები ძალიან ბევრს მსჯელობენ ფულის ფუნქციებზე, მაგრამ არავინ თითქმის არაფერს ამბობს ფულის, როგორც ექსპლუატაციის საშუალების, ფუნქციაზე.

ამიტომაც, ნათელი და სრული წარმოდგენა საზოგადოებაში ფულის შესახებ ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოუყალიბებულია.

ფული უნივერსალური ფუნქციის მატარებელია. იგი რომ საყოველთაო საქონელია, დღეს ეს აქსიომაა, მაგრამ ჩვენ რომ ფულის მეპატრონე გავხდეთ, ამისთვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გავყიდოთ საქონელი ან გადავცვალოთ იგი ფულზე, ე.ი. მოვახდინოთ გაწეული ექსპლუატაციის რეალიზაცია.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი საგარეო ვალი გვაქვს მისი არაეფექტიანად გამოყენების გამო, ახლა ტვინს ვიჭყლეტთ იმაზე, როგორმე მოვახერხოთ, რომ ეს ვალები ჩამოგვაწერონ. თანახმა ვართ გვადიარონ ღატაკ და დამშეულ ქვეყნად, ოღონდ, ამ ვალები-სგან განვთავისუფლდეთ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ფულის გონივრული გამოყენება. ამ საკითხს მსოფლიო ეკონომიკაში მეტად პრიორიტეტული მნიშვნელობა ეძლევა. ფულის გამოყენების ხელოვნება პირდაპირ უკავშირდება ფულის, როგორც ექსპლუატაციის საშუალების, ფუნქციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაკარგვის ან გაუფასურების საშიშროება ელოდება.

პრაქტიკულად ყველა ეკონომიკური სისტემა არა მარტო იყენებს ფულს, არამედ აგებულია მასზე. ფული მრავალ ფუნ-

ქციას ასრულებს, მაგრამ უპირველესი მისი ფუნქციაა ექსპლუატაციის საშუალების ფუნქცია. ეს ფუნქცია რომ არ ყოფილიყო, მაშინ საზოგადოებაში არც გაფართოებულ კვლავწარმოებას ექნებოდა ადგილი და არც დაზოგვის ფუნქციას და სისტემას. ამდენად, ფულის როგორც ექსპლუატაციის ფუნქცია ხასიათდება რიგი დადებითი და უარყოფითი თვისებით. ამიტომ, ზედმეტი პროდუქტის ცნებაც პირობითია, იგი მნიშვნელოვნად ფულის, როგორც ექსპლუატაციის საშუალების, ფუნქციას უკავშირდება. სარგებელიც ფულის ექსპლუატაციის შედეგია. ამდენად, ფულის ეს ფუნქცია მრავალი ასპექტით გვევლინება. ცხადია, ფულის გარეშე ცხოვრებაში თითქმის არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ფული ფაქტობრივად ყველაფრის წანამძღვარს წარმოადგენს. ფული არა მარტო ექსპლუატაციის საშუალება, არამედ მისი დაფარვის საშუალებაცაა. ამიტომაც იგი დღემდე შეუმჩნეველი და აუღიარებელია. პრაქტიკაში წარმოშობილი ყოველგვარი კრიზისის დაძლევა მხოლოდ ფულის მეშვეობით ხდება, მაგრამ, სანამ ეს აქტი განხორციელდებოდეს, საზოგადოებას სრულყოფილი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ფულისა და მისი ფუნქციების შესახებ. დამჭირავებელსა და დაჭირავებულ სუბიექტს არაფერი ისე არ აკავშირებს და ამოძრავებს, როგორც ფული. სანამ რაიმე საქონელი ან პროდუქცია შეიქმნება, მანამ აუცილებელია გაფორმდეს ხელშეკრულება – კონტრაქტი, ანუ აქტი ექსპლუატაციის შესახებ. ამ ექსპლუატაციის ანაზღაურება და გამოსატვაც მხოლოდ ფულით ხდება. ამიტომაც ფულის როგორც ექსპლუატაციის საშუალების, ფუნქცია არის ფულის უპირველესი ფუნქცია.

ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა ვალუტა აქვს, მათი მსყიდველობითუნარიანობის ხარისხიც სხვადასხვაა, ნიშნავს, რომ მათი ექსპლუატაციის უნარიც განსხვავებულია, რაც უშუალო გავლენას ახდენს ცხოვრების დონეზე, სა-

მუშაო ძალის, საქონლის ფასზე და ა.შ. ამიტომაც არსებობს საერთაშორისო სავალუტო, შრომის და საქონლის ბაზრები.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ნებისმიერ ჩვენთაგანს სადმე მუშაობის დაწყება უხდება, იგი ნებით თუ უნებლიედ, იძულებულია ხელი მოაწეროს კონტრაქტს დამჭირავებელთან, როგორც დაჭირავებულმა. ამით ჩვენ უკვე არა მარტო ვაღიარებთ ფულის როგორც ექსპლუატაციის ფუნქციას, არამედ მისი „მსხვერპლი“ ვხდებით და მხარს ვუჭერთ მას. ე.ი. ექსპლუატაცია ხდება არა იძულებით, არამედ გარიგების ფორმით და სახით დემოკრატიული და ლიბერალური საწყისების საფუძველზე. რომ არა ფული, სხვანაირად ექსპლუატაცია შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, შემთხვევითი როდია გავრცელებული გამოთქმა – „ჩვენ, ყველა ფულის მონები ვართ“. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამის აღიარება ჭეშმარიტებაა.

ჩვენი ბედნიერება ისაა, რომ ფულის თეორიული ანალიზი ფულის, როგორც ექსპლუატაციის საშუალების აღიარების შესაძლებლობას იძლევა. ამის მეცნიერულად დასაბუთება და არგუმენტირება არც თუ ისე ძნელია და თუ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, ამით ფულის თეორიაში კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იქნება წინ გადადგმული.

დღეს კი, ფულის ამ ბუნების (ფუნქციის) დაფარვა არავის არგებს და არც სჭირდება, მითუმეტეს მეცნიერებას. ეს დრო უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ამიტომაც, ჭეშმარიტებას ფარდა უნდა აეხადოს, ბოლოსდაბოლოს ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

დაბოლოს, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ფული კაცობრიობის დიდი საზოგადოებრივი აღმოჩენა და გამოგონებაა, რამეთუ ყველა სხვა აღმოჩენისათვის ფული აუცილებელი წანამძღვარია. ფულის როგორც ექსპლუატაციის საშუალების

ფუნქცია, უპირველესი ფუნქციაა, რადგან ყველა სხვა ფუნქცია, მეტ-ნაკლებად, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

THE ESSENCE OF MONEY AND ITS FUNCTIONS

G. Labartkava

The article presents the opinion that at all stages of the human society development money has been not only the motive power phenomenon of public life, but also the exploitation medium. Moreover, the key function of money is the exploitation function which determines all its other functions. Correspondingly, any economic system of the society is based on exploitation. Adequately money performs the universal function of exploitation medium since its creation. Only in this way the universal and comprehensive essence of money can be scientifically explained.



**ჯამლათ შათირიშვილი**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**  
**ლენა შათირიშვილი**  
**საქართველოს პარლამენტის სტაჟორი**

მიმდინარე წლის თებერვალში, გახეთ „კვირის პალიტრა“-ში გამოქვეყნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური ხელშეწყობით შემუშავებული პროექტი – „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია“.

ავტორთა თქმით, აღნიშნული დოკუმენტი „განსაზღვრავს მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“ და მისი მიზანია „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საშუალოვადიანი კონცეფციის განსაზღვრა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ პრინციპების შესაბამისად“.<sup>1</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობა, როგორც ერთიანი მმართველობითი სისტემის შემადგენელი ნაწილი, სივრცითი არეალის მიხედვით, სხვადასხვა მასშტაბით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, კერძოდ: სასოფლო

<sup>1</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია (პროექტი). გახ. „კვირის პალიტრა“, 2010წ. 1-7 თებერვალი.

(სათემო) და სადაბო თვითმმართველობა, რაიონული და საქალაქო თვითმმართველობა, ავტონომიური წარმონაქმნების (რესპუბლიკა, ოლქი) თვითმმართველობა, სამხარეო და რეგიონული თვითმმართველობა და სხვ.

**ადგილობრივი თვითმმართველობა** გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის სისტემის **დეცენტრალიზაციას** ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ჭრილით, ანუ ადგილობრივი მმართველი ორგანოებისათვის თავიანთ ტერიტორიულ დანაყოფში საქმიანობის მართვის სრული უფლებამოსილების მინიჭებას (მათი კომპეტენციის ფარგლებში) და ამ საქმიანობის შედეგებზე ასევე სრული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ადგილობრივი თვითმმართველობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ როგორც **ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების და მმართველობის სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფის საფუძველთა საფუძველი და მისი აუცილებელი წინაპირობა.**

თვითმმართველობა, რომელიც დიდი ილიას თქმით, „უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარი საჭიროებისა“, ყველგან (და ყოველთვის) საჭირო და აუცილებელია, რადგან იგი წარმოგვიდგება ქვეყნის „ნაწილ-ნაწილ“ დაყოფის გზით მისი „მოვლა-პატრონობის გაადვილების“ საუკეთესო და, შეიძლება ითქვას, შეუცვლელ (უალტერნატივო) საშუალებად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მისგან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობა და მისი განვითარების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას, მის ძირითად მიმართულებებს, რომელიც, როგორც წესი, დროის გარკვეულ პერიოდზე (4-5 წელიწადზე) უნდა იყოს გაწერილი.

ამდენად, **ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სტრატეგიაში იგულისხმება მმართველობის სისტემის დეცენ-**

**ტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს დროის გარკვეულ პერიოდზე სამოქმედო გეგმის სახით გაწერილი ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფის (რეფორმის) საშუალოვადიან კონცეფციას.**

ადგილობრივი თვითმმართველობები, როგორც მართვის აუცილებელი ქვედა რგოლები, ევროპის ქვეყნებში ეფექტიანად ახორციელებენ ისეთ უფლებამოსილებებს, როგორიცაა:

- მოსახლეობის ელექტრონერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების მართვა და უტილიზაცია;
- პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა;
- სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვა;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში მოქმედ თვითმმართველ ერთეულებს ზოგი შეიძლება საერთოდ არ აქვთ გადაცემული გამგებლობაში ანდა კი აქვთ, მაგრამ ვერ უზრუნველყოფენ მათ ეფექტიან განხორციელებას სათანადო ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო.

ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თუ ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო შემოსავლების ხვედრითი წონა ევროპული ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ლიტვა, ლატვია, ფინეთი, შვედეთი და სხვ.) კონსოლიდირებულ ბიუჯეტში შეადგენს 25-60%-ს, იგივე მანკვნებელი საქართველოში მთლიანობაში ადწევს 15%-მდე, ხოლო ქ. თბილისის გარეშე კი – მხოლოდ 4%-ს.<sup>1</sup> ფაქტობრივად გაუქმებულია

<sup>1</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია (პროექტი), გვ. 1.

სასოფლო (სათემო), სადაბო და მცირე ქალაქების თვითმმართველობის ორგანოები. თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მუნიციპალურ ორგანოებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მჭიდრო კავშირურთიერთობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა თვითმმართველი ერთეულებისათვის დამატებითი საჭირო კომპეტენციებისა და ფინანსური რესურსების გადაცემა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედი მუნიციპალიტეტების **მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები** მოსახლეობას, ე.წ. „ერთი ფანჯრის პრინციპით“, უწევენ არაერთი სახეობის მომსახურებას, როგორცაა, მაგალითად: საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია; სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია; უძრავი ქონების რეგისტრაცია; ბინადრობის ნებართვის გაცემა; ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ა.შ., მაშინ, როცა საქართველოში შექმნილი ანალოგიური მუნიციპალური სამსახურების საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის მიღება-გაცემით.

შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება, ცხადია, საჭიროებს ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის ჯეროვან რეფორმას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის“ მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ მომზადებული დოკუმენტით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომელიც შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური რეფორმა;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა;
- უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია და დელეგირება;

- ფისკალური დეცენტრალიზაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა;
- მუნიციპალური საჯარო სამსახურის რეფორმა და ადგილობრივ საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ინფორმაციზაცია;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური მომსახურება;
- თვითმმართველ ერთეულთა თანამშრომლობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის პოპულარიზაცია.


როგორც ჩამონათვალიდან ვხედავთ, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პირველი რიგის მიმართულებას (სფეროს) წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა (რეფორმა)**.

ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც წესი, წარმოდგენილია **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების** ერთობლიობის სახით (იხ. სქემა). მისი **ინსტიტუციური მოდელი** განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომელიც ძირითადად შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ მოთხოვნებს.

ორგანული კანონიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლების სისტემაში **ცენტრალური ადგილი უკავია წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს**, რომელიც აირჩევა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. მხოლოდ ამ ორგანოს პრეროგატივაა ის, რომ მიიღოს ადგილობრივი მრავალჯერადი გამოყენების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და ამ სამართლებრივი ნორმების დადგენით განსაზღვროს თვითმმართველი ერთეულის განვითარების საერთო პრიორიტეტები და მიმართულებები.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას (მერიას), მის მთავარ ფუნქციას, ორგანული კანონის თანახმად, წარმოადგენს საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებების შესრულება. ამასთან საკრებულოს ენიჭება გამგეობის (მერიის) საქმიანობაზე მუდმივი ზედამხედველობის უფლებამოსილება.

**ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური მოდელი და ფუნქციები**



ადგილობრივი ხელისუფლების სისტემაში თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის დაკანონებული ასეთი სუბორდინაცია უზრუნველყოფს **საკრებულოს წამყვან როლს ადგილობრივ სახელისუფლებო სისტემაში**. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახელისუფლებო ვერტიკალში (ისევე როგორც ზედა დონეზე) საკრებულოებს ხშირად არ შესწევთ უნარი, რეალურად იტვირთონ კანონით მინიჭებული თვითმმართველი ერთეულის წამყვანი ორგანოს ფუნქცია, რის გამოც ხშირად, ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში დომინირებულ როლს ასრულებენ აღმასრულებელი ორგანოები. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა

საკრებულოები და გამგეობები (მერიები) მოქმედებენ არა ერთიანი მიზანმიმართულებით, არამედ როგორც **ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი განსტოებები**, რაც ხელს უშლის ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიან ფუნქციონირებას.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მოქმედი ორგანული კანონით აღმასრულებელი ორგანოს **სტრუქტურის** განსაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ავტონომიური უფლებაა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ხდება არა სათანადო ფუნქციური ანალიზის საფუძველზე, არამედ, უფრო ხშირად – გადაწყვეტილების მიმღებთა სუბიექტური მოსაზრებებით. ამასთან ერთად, ძალიან დაბალია მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების მიზნით, „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიით მიზანშეწონილია და მიხნეული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მოქმედი საქართველოს კანონის **„დახვეწა“**, რაშიც მოიაზრება ადგილობრივი წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა) ორგანოების **გაერთიანება – შერწყმა** და ამ ფუნქციების მატარებელი **ერთი უმაღლესი თანამდებობის პირის – მერის ინსტიტუტის შემოღება**, რომელიც, თითქოსდა ‘თავიდან აგვაცილებს არაჯანსაღ დაპირსიპირებას საკრებულოებსა და აღმასრულებელ ორგანოებს შორის და გაზრდის საკრებულოს როლს ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში“.<sup>1</sup>

ვუქირობთ, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფისადმი ასეთი „სტრატეგიული მიდგომა“ ერთობ ნაჩქარევი და მეცნიერულ-პრაქტიკული თვალთახედვით, სათანადოდ გაუაზრებელი ქმედებაა ანდა, პირიქით, კარგად გათვლილი და გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებზე დაფუძნებული სტრატეგიაა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით „რეფორმის სტრატეგიის პროექტით“ შემოთავაზებული თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების (მმართველობის ორგანოების ურთიერთშერწყმის) ღონისძიება, შესაძლებელია, ნებისით თუ უნებლიეთ, მოგვევლინოს ქვეყნის თვითმმართველ ერთეულებში ბიუროკრატიზმის შემდგომი განვითარებისა და დიქტატორული მმართველობის ფორმის დანერგვის სტრატეგიად.

ამას ადასტურებს თვით ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, სადაც ერთმნიშვნელოვნადაა მინიშნებული ხელისუფლების ხელში ჩაგდებისადმი დაუოკებელი ღტოლვა, ის, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ხშირად მოქმედებენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განშტოება“.<sup>1</sup>

ერთი ხელისუფლების ორი ორგანოს ერთმანეთისაგან განცალკევების მცდელობის და ურთიერთშორის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მიზეზი და საფუძველი აღმასრულებელი ორგანოს (გამგეობის) წარმომადგენლობითი ორგანოსადმი (საკრებულოსადმი) გარკვეული დაქვემდებარებულობის და მის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილებისადმი შეურიგებლობაა. ძირითადად, სწორედ ამაში ვლინდება ამ ორ სახელისუფლებლო ორგანოს შორის გარკვეული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რაც ცხადია, ნეგატიურად აისახება ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირების ეფექტიანობაზე.

ასეთ ვითარებაში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების „სტრუქტურული შერწყმა“ და პროექტით შემოთავაზებული ე.წ. „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი“

<sup>1</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია (პროექტი), გვ. 2.

ბელი ფუნქციების მატარებელი უმაღლესი ადგილობრივი თანამდებობის პირის – მერის ინსტიტუტის შემოღება“ გამოიწვევს არა საკრებულოს როლის გაზრდას ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში (საკრებულო, როგორც ხელისუფლების ორგანო, ფაქტობრივად აღარ იარსებებს), არამედ იგი ხელს შეუწყობს მთელი ადგილობრივი ძალაუფლების ერთი პირის ხელში ჩაგდებას (უზურპაციას) და მართვის დიქტატორული რეჟიმის შემოღებისათვის საჭირო წინაპირობების შექმნას.

სინამდვილეში, გამორიცხული არ იქნება, ასეთი რეფორმული სტრატეგიით მივიღოთ ადგილობრივი დიქტატორ-მმართველი (ხელისუფალი), რომელიც, ხატოვანი გამოთქმით, თვითონ იქნება მუსიკის დამწერიც, სიმღერის შემკვეთიც, მომღერალიც და ნამღერის შედეგის მიმღებიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით და მისგან გამომდინარე, უფრო სწორად და გამართლებულად მიგვაჩნია, კურსი ავიღოთ არა ერთმანეთთან გარკვეულ წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში მყოფი მმართველობითი ორგანოების (საკრებულოს, გამგეობის) გაუქმებაზე და დაქვემდებარებაზე უარისმთქმელი (აღმასრულებელი) ორგანოს სასარგებლოდ ერთი თანამდებობის პირის (მერის, გამგებლის) ინსტიტუტის შემოღებაზე, არამედ ამ ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების ხარისხობრივ განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ამადლებაზე და დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის (ანდა არასათანადოდ შესრულების) შემთხვევაში მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების აუცილებლად, დროულად და სრულად გატარებაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი ადგილობრივი თანამდებობის პირის – მერის ინსტიტუტის შემოღების შემთხვევაში, თავისთავად აზრს კარგავს რეფორმის სტრატეგიით შემოთავაზებული ღონისძიება საკრებულოს წევრთა კვალიფიკაცი-

<sup>1</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია (პროექტი), გვ. 1.

ის ამაღლების შესახებ, რამდენადაც, პროექტის მიხედვით, კანონმდებლურად გაუქმებულ (არარსებულ) საკრებულოს აღარც წევრები ეყოლება და არც მათი კვალიფიკაციის ამაღლების დონისძიებები იქნება დასაგეგმი და განსახორციელებელი.

ამასთანავე, შეუსაბამოდ გვეჩვენება რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებული წინადადება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურის რეგულარული ფუნქციური ანალიზის უზრუნველყოფის შესახებ, რადგან წინარეკომენდაცია-წინადადება სწორედ ამ ორგანოების გაუქმებას და ერთი უმაღლესი თანამდებობის პირის (მერის) ინსტიტუტის შემოღებას ეხება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საჭიროა, უფრო სიღრმისეულად გავიაზროთ (და გავანალიზოთ) ადგილობრივი თვითმმართველობის და მისი ინსტიტუციური მოწყობის როლი და ადგილი დემოკრატიისა და მმართველობის სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში, დაგსახოთ მისი მუდმივად სრულყოფის სწორი გზები და მეთოდები. არ უნდა დავივიწყოთ, მუდამ გვახსოვდეს და ვუერთგულოთ დიდი ილიას ბრძნულ შეგონებას, რომ „თვითმმართველობა ... საცა უნდა დარგათ იგი ყველგან ხარობს...“ და სწორედ ამიტომ „ყოველი სახელმწიფო, რიგიან წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილ არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს“.

ქართველი ერის და სრულიად საქართველოს უპირველესი მოვალეობაა, ჭკუით, გულით, გონებითა და გონიერებით მივდიოთ ამ ჭეშმარიტებას ქვეყნის უკეთესი მერმისის შესაქმნელად.

ოლიგოპოლიური ბაზრის ზოგიერთი თავისებურება

თამარ ლაზარიაშვილი


თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი

თანამედროვე ეკონომიკაში ოლიგოპოლია წარმოადგენს ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სტრუქტურას. ოლიგოპოლიის ყველაზე შესამჩნევი ნიშანია ბაზარზე მოქმედი ფირმების მცირერიცხოვნობა. ოლიგოპოლიის არსია ის რომ, რომ ბაზარზე არის ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი მხოლოდ რამდენიმე ფირმა, რითაც ისინი ახორციელებენ სრულ კონტროლს მიწოდების მოცულობაზე და ნაწილობრივ კონტროლს ფასებზე. ოლიგოპოლიის მთავარი ნიშანია ის, რომ აქ მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს ერთმანეთთან ფორმალური თუ არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ შეინარჩუნონ ბაზარზე მონოპოლისტური ფასი კონკურენტულ დონეზე უფრო მაღლა და მიიღონ მოგება.<sup>1</sup> ოლიგოპოლიის სხვა ფორმებია: ორმხრივი მონოპოლია, დუოპოლია, ლიდერობა ფასებით. ორმხრივი მონოპოლიისას ერთადერთი გამყიდველი უპირისპირდება ერთადერთ მყიდველს ამ დროს მთავარი პრობლემაა: რა დონის ფასით და რა რაოდენობის საქონლით შეიძლება მაქსიმალური მოგების მიღება. საბოლოოდ, ორივე მხარე იყოფს ერთობლივ მაქსიმალურ მოგებას. ფორმალურად ოლიგოპოლიურს მიაკუთვნებენ იმ დარგებს, სადაც რამდენიმე მსხვილი ფირმა მთლიანი პროდუქციის ნახევარზე მეტს აწარმოებს. მაგრამ, თუ წარმოების კონცენტრაცია უფრო დაბალია, მაშინ მას მონოპოლისტური კონკურენტის პირობებ-

<sup>1</sup> მენქიუ გრეგორი. ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „ლიოგენი“, 2008. გვ. 331.

ში მეოფ დარგად თვლიან. მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის არასრულყოფილების განმსაზღვრელია პროდუქტის დიფერენციაცია. ოლიგოპოლიის პირობებში ამ ფაქტორსაც აქვს მნიშვნელობა. არსებობს ოლიგოპოლიური დარგები, რომლებშიც პროდუქტის დიფერენციაცია მნიშვნელოვანია, თუმცა, არსებობს დარგებიც, სადაც პროდუქტი სტანდარტიზებულია (ცემენტის, ნაფთობის მრეწველობა, მეტალურგიის ქვედარგების უმრავლესობა). ამგვარად, ისეთი ფასის შემთხვევაში, რომელიც მოსალოდნელი დანახარჯების მხოლოდ მინიმუმს ფარავს, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი იქნება რამდენიმე კომპანია. თუ საშუალო მთლიანი დანახარჯები იცვლება ATC მრუდის შესაბამისად, ხოლო დანახარჯების მინიმუმი კი მიიღწევა გაყიდვების  $Q_0$  მოცულობისას, საკმარისი იქნება მხოლოდ 2-3 კომპანია, რათა  $P_0$  ფასზე დაკმაყოფილებულ იქნეს საბაზრო მოთხოვნა  $Q_1$  (ნახ. 1)

ოლიგოპოლიური ფირმა წარმოების მაღალი მოცულობის დროს



ნახ.1

ოლიგოპოლიურ ბაზარზე მონოპოლიურის მსგავსად მოთხოვნის კლასიკურ მრუდთანა აქვთ საქმე, მაგრამ მონოპოლისტისაგან განსხვავებით აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ

კონკურენტის რეაქცია წარმოების მოცულობაზე და ფასზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ერთგვაროვანი პროდუქციის შეთავაზებისას თუ კონკურენტი ფასს დაუწევს, შეიძლება მან ბაზრის წილიც კი წაართვას. ამიტომ იძულებული იქნება ამ უკანასკნელმაც დაუწიოს ფასი. ამგვარ ქმედებებს საფასო ომი მოჰყვება, რაც მთავრდება მოგების გაქრობით და რასაც შეიძლება გაკოტრებაც კი მოჰყვეს. შეუძლებელია ოლიგოპოლიის ერთ-ერთი მონაწილის მიერ ფასების გაზრდის შედეგების გამოცნობა. მოთხოვნის მრუდის ამ განუსაზღვრელობას მიყვავართ ოლიგოპოლიის პირობებში კონკურენციის ახალ სახეობამდე. მსხვილი ფირმები, რომლებიც არ წარმოადგენს აღიარებულ ლიდერებს ბაზარზე, ცდილობენ გაექცნენ საფასო კონკურენციას და მის უკიდურეს ფორმას – საფასო ომს.<sup>1</sup>

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმისთვის აზრი არ აქვს იბრძოლოს ბაზრის დიდი წილისათვის, რამდენადაც გაყიდვების მოცულობა მცირეა მოცემული საქონლის წარმოებისა და გასაღების საერთო მოცულობასთან შედარებით. მონოპოლიას ასევე არ აქვს მიზეზი იფიქროს თავის წილზე, რამდენადაც მას მთელი ბაზარი ეკუთვნის. მაგრამ, ოლიგოპოლიის პირობებში ბრძოლა წილისათვის ბაზარზე-კონკურენტული ბრძოლის ბირთვია. ოლიგოპოლიის მონაწილენი ცდილობენ ერთმანეთს აჯობონ ახალი სტრატეგიის შემუშავებით, პროდუქტის გაუმჯობესებით, რეკლამით, საუკეთესო მომსახურებით და ა.შ. ოლიგოპოლიურ ბაზარზე კონკურენტის სტრატეგიის პროგნოზირების სირთულის გამო, თამაშთა თეორიასაც კი მოიშველიებენ. (ცნობილი თამაში „პატიმართა დილემა“). ოლიგოპოლიის შექმნის სათავეს წარმოადგენს საბაზრო კონკურენციის მექანიზმი, რომელიც შეუქცევადი ძალით ავიწროვებს ბაზარზე სუსტ მოთამაშეს (გაკოტრების ან მათი

<sup>1</sup> Микроэкономика. Теория и российская практика/Под ред. А. Г. Грязновой и А. Ю. Юдановой. -М., ИТД. Кно Рус., с. 144, 2000.

ჩაყლაპვისა და უფრო ძლიერ კონკურენტებთან შეერთების გზით). გაკოტრება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც საწარმოს ხელმძღვანელობის სუსტი სამეწარმეო აქტიურობით, ასევე კონკურენტების ძალისხმევით. ბაზრის საკუთარი წილის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს შერწყმა და შთანთქმა. შთანთქმა ხორციელდება ფინანსური ოპერაციების საფუძველზე, რაც მიმართულია ამა თუ იმ საწარმოს სრულად ანდა ნაწილობრივ შექმნისაკენ, აქციების საკონტროლო პაკეტის ან კაპიტალის მნიშვნელოვანი წილის შესყიდვით. ეს არის ურთიერთობა ძლიერ და სუსტ კონკურენტებს შორის. შერწყმა, როგორც წესი, ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. თუმცა, კაპიტალისა და წარმოების მსგავსი ცენტრალიზაცია შეიძლება ეკონომიკური იძულებაც იყოს, როგორც მესამის არჩევანი ორს შორის: ან დამოუკიდებლობის სრული დაკარგვა, ანდა დამორგუნველი ეკონომიკური ომი. მათ შესწევთ უნარი მნიშვნელოვნად აამაღლონ წარმოების კონცენტრაცია დარგში. შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობა აშშ-ში XX საუკუნის 80-90-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა და წინა პერიოდის შერწყმებისა და შთანთქმების საერთო რაოდენობას დიდად გადააჭარბა. შთანთქმისა და შერწყმის პროცესები საშუალებას იძლევა არსებითად გაიზარდოს მათი წილი არსებულ ბაზარზე. რამდენიმე კორპორაციის საბაზრო ბატონობის ზრდა უაზროს ხდის საფასო კონკურენციას, რომელიც შეიძლება საფასო „ომში“ გადაიზარდოს და მათი ყველა მონაწილის დაუძღურება გამოიწვიოს. ბაზრის ოლიგოპოლიური სტრუქტურების ფორმირების სხვა არსებით ფაქტორს წარმოადგენს საწარმოს სწრაფვა წარმოების მასშტაბის ეფექტის რეალიზებაზე. ტექნიკის სრულყოფისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოშობის პროცესში წარმოების ოპტიმალურმა ზომებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეხვდა ახალ საწარმოებს დარგში შესაღწევად. ეს წინააღმდე-

გობები დაკავშირებულია როგორც შეზღუდულ ფინანსურ რესურსებთან, ასევე ნაკლებ დანახარჯებთან, რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებასთან და ა.შ. კომპანია ოლიგოპოლისტისათვის განვითარების ორი გზა არსებობს: მოახდინოს თავისი საქმიანობის დივერსიფიცირება, შექმნას კონგლომერატული ტიპის კომპანია, ან გადაიტანოს ბრძოლა ბაზრის დიდი წილისათვის ეროვნულიდან საერთაშორისო დონეზე, განიხილაგს რა მთელს მსოფლიოს, როგორც თავის პოტენციურ ბაზარს.<sup>1</sup>


შეთანხმება სხვა კომპანიებთან ფასების დონესა და წარმოების მოცულობასთან დაკავშირებით, ბაზრის კონტროლის ზრდის ფაქტორს წარმოადგენს. ეს სტრატეგია ჩვეულებრივ ხელსაყრელია შეთანხმების ყველა მონაწილისათვის, თუმცა, შეთანხმების მიღწევა ძალიან ძნელი ამოცანაა. არსებობს რიგი ფაქტორი, რაც აიოლებს პირდაპირ შეთანხმებას: მაღალი ბარიერები ახალი ფირმებისათვის ბაზარზე შესასვლელად, ფირმების მცირე რაოდენობა ბაზარზე, პროდუქციის ერთგვაროვნების მაღალი ხარისხი, გაზრდილი მოთხოვნა დარგობრივ პროდუქციაზე, კანონმდებლობის თავისებურებანი. შეთანხმების ერთი სახეობა, რომელიც ფირმის ქმედების კოორდინირების საშუალებას იძლევა, წარმოადგენს ფასობრივი ლიდერობის პრაქტიკა, როდესაც მსხვილი კომპანია პირველი ცვლის ფასს, ყველა დანარჩენი კი მას მიჰყვება. ბარიერები ახალი ფირმების მიმართ მხარს უჭერს საბაზრო კონცენტრაციის მნიშვნელოვან დონეს და ოლიგოპოლიის შენარჩუნებას. ის იღებს სხვადასხვა ფორმას: ეკონომია წარმოების მასშტაბებსა და დანახარჯებზე, დაგროვილი გამოცდილების, სარეკლამო კამპანიის, საქონლის სირთულის, საქონლის მოდელის მრავლობითობის, და ა.შ.

მასშტაბის ეკონომიურობა დამყარებულია საქონლის ცნობადობაზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს სხვა

<sup>1</sup> Нокин В.Я. Экономическая теория. Учебник, М., Юристъ, 2000, с. 816.

ფირმებისათვის, რომელთაც სურვილი აქვთ იმუშაონ მოცემულ ბაზარზე. იმდენად, რამდენადაც ახალი ფირმა ცნობილი არ არის, მას შეუძლია იყოს მხოლოდ უმნიშვნელო მოთხოვნის პრეტენდენტი ( $D_H$ - გადაწეულია მარცხნივ) და მისი წარმოების მოცულობა იქნება უფრო მცირე, ვიდრე ოლიგოპოლიის მონაწილე ფირმის ( $Q_H$ ) (ნახ. 2).

**ოლიგოპოლიურ ბაზარზე ახალი ფირმის შესვლა**  
ნახ. 2.




ფასი კი პირიქით, უფრო მეტი ( $P_H$ ). ფირმა-ოლიგოპოლისტებმა, იციან რა, რომ კონკურენტის გამოჩენა მათი ბაზრის წილს შემამცირებს, გამოიყენებენ თავის უპირატესობებს. ისინი დაადგენენ ფასს  $P_H$ -ის ქვევით, მაგრამ წარმოების მასშტაბების ეკონომიის ძალით ისინი ამ შემთხვევაშიც ( $P_H$  და  $P_0$ -ს შორის) მიიღებენ მოგებას. ახალი ფირმა კი მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდის და იძულებული იქნება გავიდეს ბაზრიდან ( $P_H$ -ს ქვევით ფასების შემთხვევაში, მოთხოვნის მრუდი  $D_H$  ATC-ზე ქვევით დგას და, შესაბამისად, ახალ ფირმას თავისი დანახარჯების დაფარვა აღარ შეუძლია).

ჩვენ ვვარაუდობდით, რომ დანახარჯების მრუდები ოლიგოპოლისტს და ახალ ფირმას ერთნაირი აქვს და ფირმა-ოლიგოპოლისტი უფრო დაბალ დანახარჯებს მაღალი მოთხოვნებ-

ის და წარმოების მასშტაბების ხარჯზე აღწევს. რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად ძველ და ახალ ფირმას შორის თვით დანახარჯების მრუდები განსხვავდება (ნახ. 3).

**ძველი და ახალი ფირმების ATC მრუდები**



ნახ. 3.

ახალი ფირმის დანახარჯები შეიძლება უფრო მაღალი იყოს, რადგან მას არა აქვს ბიზნესის წარმოების გამოცდილება: მენეჯერები არ ფლობენ ფირმის მართვის უნარ-ჩვევებს; საკმარისი არ არის კვალიფიციური სამუშაო ძალა; საბანკო კრედიტის აღების პირობები გართულებულია; კავშირი შესუსტებულია და ა.შ. ახალ ფირმებს შეუძლიათ გარკვეული დროის განმავლობაში სიძნელეების დაძლევა, მაგრამ არა ყველა მათგანის. განუსაზღვრელობა ასუსტებს სტიმულებს ბაზარზე შესასვლელად და ამცირებს პოტენციური კონკურენტების რიცხვს. ამასობაში თვით კონკურენტების გაჩენის საფრთხე ცვლის ფირმა ოლიგოპოლისტის მოქმედებას. თუ ძველი ფირმა ბაზარზე თავისი წილის დაკარგვის საშიშროებას იგრძნობდა, მას მოგების გაზრდის მიზნით, შეეძლო ფასი დაეღვინა  $P_0$ -ის დონეზე და ეწარმოებინა  $Q_0$ . მაგრამ იგი ადგენს ფასს არაუმეტეს  $P_1$ -ის დონეზე, რამდენადაც ასეთი ფასის შემთხვევაში პოტენციურ კონკურენტს არ შეეძლება დაფაროს თავისი დანახარჯები და უარს იტყვის ამ დარგში შესვლაზე. ძველი ფირმა კი ასეთი ფასის შემთხვევაშიც მიიღებს მოგებას.

P<sub>1</sub> ფასს ხშირად უწოდებენ ზღვრულ ფასს. ფორმა-ოლიგოპოლისტის ასეთი ქმედება დარგის საბაზრო კონცენტრაციის მაღალი დონის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. არსებობს სხვა ბარიერებიც პოტენციური კონკურენტების გზაზე: შეზღუდვები, რაც ღვინდება სახელმწიფოს მიერ კომპანიების რეგისტრაციის ან საქმიანობის ამა თუ იმ სახეობის ლიცენზირების დროს; მაღალი დანახარჯები რეკლამაზე; საქონლის სირთულე, რომელიც მოითხოვს გასაღების ქსელის გაფართოებას და შემდგომ მომსახურებას.

ეფექტიანი წარმოებისათვის ხშირად საჭიროა კაპიტალის მნიშვნელოვანი ოდენობა. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს საბაზრო კონკურენციაში.

ოლიგოპოლია ყველაზე უფრო გავრცელებულია პრაქტიკაში როგორც მსოფლიოში, ასევე ჩვენთან. საქართველოში ოლიგოპოლიურ ბაზარს მიეკუთვნება ფარმაცევტული ბაზარი.<sup>1</sup> როგორც ცნობილია, სამი მსხვილი კომპანია “ავერსი”, “პე-ეს-პე”, და “ჯი-პი-სი” ბაზარზე დაახლოებით 80%-ს იკავებს, ეს კი არასრულყოფილი კონკურენციის ფორმის - ოლიგოპოლიის ნათელი მაგალითია. ამ კომპანიებმა დაიწყეს ფარმაცევტული ქარხნების და კერძო კლინიკების ქსელის ჩამოყალიბება-განვითარება. მათ ძალზე მჭიდრო კავშირი აქვთ სადაზღვევო კომპანიებთან. ე.ი, ქარხანას, რომელიც ფარმაცევტულ საქონელს ამზადებს, გააჩნია საკუთარი სამედიცინო კლინიკა, სადაც პაციენტს წამალს უნიშნავენ და რომელიც სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერია, და ასევე გააჩნია სააფთიაქო ქსელი, სადაც უნდა მოხდეს აღნიშნული წამლის შექმნა. ეს კომპანიები კერძო სამართლის იურიდიული პირებია და სრული უფლება აქვთ შექმნან აღნიშნული საწარმოები, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით მათ აქვთ ფარული გარიგების შესაძლებლობა, რაც იწვევს ფასების ხელოვნურ ზრდას და წარმოების შეზღუდვას, რაც საბოლოოდ აზარალებს მომხმარებელს. მონოპოლისტური

<sup>1</sup> <http://afba.ge>

მდგომარეობის ბოროტად გამოყენება უდავოდ ხელს შეუშლის თავისუფალ და სრულყოფილ კონკურენციას, თავისუფალ ფასწარმოქმნას და ბაზარზე ახალი ეკონომიკური სუბიექტების შესვლას. ნავთობპროდუქტების ბაზარიც ოლიგოპოლიური ბაზრის კარგი მაგალითია. დღეს ბაზრის 50%-ზე მეტს კომპანია „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია ფლობს“, რომელსაც ნავთობი აზერბაიჯანიდან შემოაქვს. ვითომდა, იტალიური საწვავით ამარაგებს ბაზრის დაახლოებით 35%-ს კომპანია „ვისოლი“. შესაბამისად, ორი მსხვილი კომპანიისთვის, რომელსაც სრულად 85%-ი უჭირავს, მარტივია ბაზარს ფასებიც უკარნახოს.

საქართველოში ტიპური ოლიგოპოლიური ბაზარია ფიტური კავშირგაბმულობის ბაზარი, სადაც მთელი საბაზრო კონცენტრაცია სამი კომპანიის ხელშია, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან ფასისმიერ კონკურენციაში. ტარიფები მათ შორის შეთანხმებულია და, ბუნებრივია, მის დაწვევაზე არც ზრუნავენ, ისინი ერთმანეთთან კონკურირებენ მხოლოდ პრომო-აქციებით. ქართული ბაზრის 10%-ს - კომპანია „ბილაინი“, 48%-ს - „მაგთიკომი“, ხოლო დარჩენილ 42%-ს „ჯეოსელი“ ფლობს. საქართველო მობილურზე მომსახურების სიძვირის მიხედვით, მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის მესამე ადგილს იკავებს, ხოლო ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველობას არავის უთმობს.

მონოპოლისტური მდგომარეობის ძირითადი გამსაზღვრელი ფაქტორებია: კომპანიების წილი ბაზარზე, ამ ბაზარზე შეღწევის საშუალებები და წინააღმდეგობები. ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციურად, ორგანიზაციულად ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის დემონოპოლიზაციას. დემონოპოლიზაცია არ უნდა იყოს ერთჯერადი ხასიათის, ის მუდმივი პროცესი უნდა იყოს. სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია არის ოქროს შუალე-

დის დადგენა მეწარმის უფლების არ შეზღუდვასა და მომხმარებლის უფლების დაცვას შორის.

მიუხედავად ამისა, დღეისთვის საქართველოში მთლიანად მონოპოლიზებულია ყველა მნიშვნელოვანი სფერო – ენერჯეტიკა, კომუნიკაციები, რკინიგზა, ნავთობ-პროდუქტების ბაზარი და რაც ფრიად დამაფიქრებელია, მონოპოლიზაციის პროცესი აქტიურად გრძელდება. ოლიგოპოლიურ ბაზარზე თითოეული ფირმის გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საბაზრო სიტუაციაზე და, ამავე დროს, დამოკიდებულია სხვა ფირმების გადაწყვეტილებებზე, რომლის მიღებისას ოლიგოპოლისტი ფირმა იძულებული ხდება გაითვალისწინოს ბაზრის სხვა მოთამაშის შესაძლო რეაქცია.

**Some Peculiarities of Oligopoly Market**

*T. Lazariashvili*

Oligopoly Market peculiarities have been analyzed in the article. Through comparative analysis of perfect and oligopoly market structures has been performed the price formation mechanism. There have been revealed the barriers to entrance into oligopoly market that is connected with market concentration level.

In the conditions of oligopoly are available the forms and methods of the personal share of firms in the market: elaboration of the new strategy, the products improvement, advertizing, personal level of service, merging and disappearance which are able to boost significantly production concentration in the field.

Here are suggestions concerning ways of development of the oligopoly firm: The business diversification, creation of the company of the conglomerate type, opportunities to transfer combat to the international markets and etc.

On the base of the materials definition are offered the ways to achieve efficient level of manufacturing for oligopoly firms.



**მერიტოკრატიის შუქ-რელიეფი**

*ნანა აბსაშა*

**ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი**

მერიტოკრატიის როგორც ახალი მმართველი კლასის ფორმირება, უკავშირდება პოსტინდუსტრიული ეპოქის დადგომას და განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ ეპოქაში ცოდნა არა მხოლოდ სოციალურ ფასეულობას წარმოადგენს, არამედ რეალურად გადაიქცევა მატერიალური კეთილდღეობის წყაროდ. ეს კი ელიტარულობაზე პრეტენზიის მქონე სოციალური ფენის გაჩენისათვის ნიადაგს ქმნის.

მერიტოკრატია როგორც დამსახურებულთა და ღირსეულთა ძალაუფლება, დ. ბელის თქმით, შეიძლება გაჩენილიყო შრომის ახალი საზოგადოებრივი დანაწილების პირობებში, როდესაც ადამიანებს შორის განსხვავება დაკავებულ მდგომარეობასა და შემოსავლებში განპირობებულია განსხვავებით ცოდნასა და განათლების დონეში<sup>1</sup>, როდესაც ადამიანის შეფასების კრიტერიუმად განიხილება მისი ინტელექტუალური უნარი და ცოდნა, და არა თანდაყოლილი მემკვიდრეობითობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ კაცობრიობის გარიჟრაჟზე ადამიანის საზოგადოებრივი იერარქიის ამა თუ იმ საფეხურისადმი მიკუთვნების აღნიშნულ პრინციპს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

მაშინ, როდესაც წარმოების მიზნად გვევლინება თემის ფიზიკური შენარჩუნება, რაც გათანაბრებით განაწილებას გულისხმობს, რომელიც არ ითვალისწინებს თემის ცალკეული წევრის წვლილს პირველყოფილი საზოგადოების წარმოების წესის უშუალო ეკონომიკური მიზნის რეალიზაციაში, დამსახურება განისაზღვრება სწორედ ამ წვლილით. პირველყოფილი ინტელექტუ-

<sup>1</sup> Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. М.: Academia, 1999. С. 548.

აღის არსობრივი ძალები იხარჯება უშუალოდ თემზე, რომელიც ასევე უშუალოდ განსაზღვრავს საზოგადოებრივი იერარქიის რომელ დონეს მიაკუთვნოს თემის ესა თუ ის წევრი. სხვაგვარად, ცალკეულის ღირსებები საყოველთაოს უშუალო განკარგულებაშია და თემი არ უშვებს არანაირ გამეშვევებას ამ ღირსებების შეფასებაში. მიტომ, პირველყოფილ თემში ნაჭარბი პროდუქტის გაჩენამდე, რომელიც მმართველობითი საქმიანობის განსაკუთრებულ პროფესიად გადაქცევის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს, “ძალაუფლების” მემკვიდრეობითობა პრაქტიკულად გამორიცხულია. ნაჭარბის გაჩენამდე გამორიცხულია, აგრეთვე, განსხვავება პირველყოფილ მმართველებსა და თემის რიგით წევრებს შორის მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისითაც. ნაჭარბმა პროდუქტმა, როგორც ცნობილია, თემის ქონებრივ დიფერენციაციას დაუდო სათავე, მაგრამ აქ საინტერესოა მასთან დაკავშირებული სხვა მომენტი. უკანასკნელი მოწმობს ნატურალური მეურნეობის თვითუარყოფის ხანგრძლივი პროცესის დაწყებაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საქმიანობის არა ერთ რომელიმე სახეობაზე სპეციალიზაცია, არამედ შრომის ხშირი მონაცვლეობა, რაც შრომის საყოველთაობის გაბატონებულ პრინციპთან ერთად უზრუნველყოფდა თემის ყველა წევრის თანასწორობას მმართველობით საქმიანობაში მათი მონაწილეობის უფლების თვალსაზრისით. ნაჭარბი კი, რომელიც ისტორიულად ზედმეტი პროდუქტის პირველ საზოგადოებრივ ფორმა-განსაზღვრულობას წარმოადგენს, გადაიქცა თემის ბელადებისა და უხუცესების როგორც ახალი, უკვე სტაბილური სოციალური ფენის დამკვიდრების საიმედო მატერიალურ საფუძვლად. ამ ფენის მიერ პრივილეგირებული მმართველობითი პროფესიის უზურპაციამ, საბოლოოდ, განვითარება კპოვა დიდგვაროვანთა ფორმირებასა და მემკვიდრეობითობის პრინციპის დამკვიდრებაში. სწორედ აქ წყვეტს არსებობას მერიტოკრატიის პირველშობილი ფორმა. თუმცა, ამ ეპოქაში მერიტოკრატიაზე მსჯელობა პირობითია, რადგან მერიტოკრატია როგორც სოციალური ფენა წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც არსებობს თუ ანტაგონიზმი არა, როგორც მინიმუმი, საკ-

მაოდ მძაფრი წინააღმდეგობა ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის (ეს წინააღმდეგობა ცივილიზაციის უფრო მაღალ საფეხურებზე სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება, მათ შორის, როგორც წინააღმდეგობა მაღალკვალიფიციურ და ნაკლებადკვალიფიციურ შრომას შორის, “ბუნებრივ არისტოკრატიასა” და ე.წ. ზედმეტ ადამიანებს შორის), რომელიც ფიზიკურ შრომას უმრავლესობის ხვედრად, ხოლო გონებრივს კი - საზოგადოების განსაკუთრებული ნაწილის პრივილეგიად გადააქცევს.

თუკი პირველყოფილი საზოგადოების თვითუარყოფისას ელიტარული კლასის ფორმირებას წინ უსწრებდა მისი მატერიალური კეთილდღეობის ეკონომიკური წანამძღრის შექმნა (ნამეტი თუ ნაჭარბი პროდუქტი, რომელიც კერძო საკუთრებად ვითარდება), პირველი ანტაგონისტური საზოგადოების ჩასახვიდან თვით თავისუფალი კონკურენციის ეპოქის დამკვიდრებამდე, მატერიალური კეთილდღეობა გადაიქცევა შედეგად, რომლის მიზეზიცაა პრივილეგირებული სოციალური ფენისადმი კუთვნილება. სხვაგვარად, აქ მიზეზი და შედეგი თითქოს უცვლიან ერთმანეთს ადგილებს.

არსებითი ცვლილებები სოციალური სტატუსისა და მატერიალური კეთილდღეობის თანაფარდობაში შეაქვს საყოველთაო საქონლურ წარმოებას. ახლა უკვე არა წოდებრივი, არამედ უპირატესად ქონებრივი მემკვიდრეობითობა განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სოციალურ იერარქიაში. მაგრამ, მაშინ როცა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება შეხამებულია საცვლელი ღირებულების ბატონობასთან, ყოველგვარი მემკვიდრეობითობის საფუძვლები ირღვევა საკმაოდ სწრაფი ტემპებით. კაპიტალიზმის დამსახურება ისაა, რომ ეს წარმოების წესი ბოლოს უღებს ვითარებას, როცა ადამიანი თავისი სოციალური მდგომარეობის გამო “ვალში” იყო მხოლოდდამხოლოდ თავისი დაბადების შემთხვევითობასთან.

იმ მომენტიდან, როდესაც მწარმოებელურ ძალთა დონე შესაძლებელს ქმნის სოციუმის ქონებრივ დიფერენციაციას, ნებისმიერი პრივილეგირებულობის მთავარი მატერიალური პირობა ხდება

საკუთრება იმ მწარმოებელურ რესურსზე, რომელიც მოცემული მომენტისთვის გადამწყვეტია. ასეთად, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გვევლინებოდა ხან მონა (სუბიექტი), ხან მიწა (ობიექტი), ხან კი კაპიტალის სახით წარმოდგენილი წარმოების საშუალებანი. მეცნიერების უშუალო მწარმოებელურ ძალად გადაქცევამ ცოდნა გახადა ე. წ. ინტელექტუალურ კაპიტალად, და ამდენად, საკუთრების ობიექტად. მაგრამ ცოდნა - საკუთრების განსაკუთრებული ობიექტია და მისი სპეციფიკაა ის, რომ იგი არ არსებობს მისი მატარებლისგან დამოუკიდებლად. თუკი საკუთრების ისეთი ობიექტები, როგორცაა მონა (ობიექტად ქცეული სუბიექტი), მიწა და კაპიტალის სახით წარმოდგენილი წარმოების საშუალებანი მესაკუთრისაგან ცალკე არსებობენ, “ინტელექტუალური საკუთრების” ობიექტი, რომელიც სინამდვილეში ადამიანის განუყოფელი თვისება და კუთვნილებაა, თავის თავს საკუთრებად ავლენს მხოლოდ გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობების მეშვეობით. ამგვარად, ცოდნის მფლობელი გამოდის როგორც საკუთრების სუბიექტი და მისივე ობიექტი ერთდროულად (“სამუშაო ძალის” დეფინიციიდან გამომდინარე, “ინტელექტუალური კაპიტალის” ცნება შეიძლება განვიხილოთ როგორც “სამუშაო ძალის” კატეგორიის შემადგენელი ელემენტი. მაშასადამე, ინტელექტუალური უნარის გამოცალკავება “სამუშაო ძალისგან” აბსტრაქტული აზროვნების მანიპულაციაა მხოლოდ. სხვა საქმეა, რომ სიტყვათშეწყობა - “სამუშაო ძალა” ასოცირდება, უპირატესად, ამ უნარის მატარებლის ხელებთან და მარტივ, რუტინულ შრომასთან, “ინტელექტუალური კაპიტალი” კი - მისი მფლობელის თავთან და რთულ, შემოქმედებით შრომასთან. ამიტომაც, “სამუშაო ძალისა” და “ინტელექტუალური კაპიტალის” როგორც თვისებრივად არათანაზომადი წარმოების ფაქტორების გამოყენების უფლების რეალიზაცია, ასახვას ჰპოვებს მათი მესაკუთრების რაოდენობრივად ასევე არათანაზომად შემოსავლებში. ამ თვალსაზრისით, ცნებები “სამუშაო ძალა - საქონელი” და “ინტელექტუალური კაპიტალი”, აღიქმება როგორც ზედმიწევნით ადეკვატურიები).

მეცნიერების უშუალო მწარმოებელურ ძალად გადაქცევის ეპოქაში მაღალი ინტელექტი განაპირობებს შესაბამისად მაღალ შემოსავლებსა და სოლიდურ ადგილს სოციალურ იერარქიაში, მაგრამ მტკიცებანი, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ნიჭიერ ადამიანებს გარანტირებული აქვთ თავის დამკვიდრება მერიტოკრატის რიგებში მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. ინარჩუნებს რა საბაზრო ურთიერთობებს, პოსტინდუსტრიული საზოგადოება მმართველი ელიტის ფორმირებისას გამოირჩევა შერჩევითი მიდგომით. ამა თუ იმ ცოდნის ფასი და ფასეულობა განისაზღვრება სწორედ რომ ბაზრის კოიუნქტურით. რაც არ უნდა ღრმა და ფუნდამენტური იყოს ცოდნა, ის არ იქნება ბაზრის მიერ აღიარებული, თუკი ამ ცოდნის რეალიზაციით მოსალოდნელი არა არის მაღალი მოგების მიღება. ბაზარი არ აღიარებს არაკაპიტალიზებად ცოდნასა და მის ასევე არაკაპიტალიზებად პროდუქტს. აღნიშნული ნაკლებად ეხება გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე ტექნიკურ ცოდნასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, და მეტად - ფუნდამენტურ და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რომელთა პრაქტიკული მნიშვნელობის გამოვლენა ხდება, როგორც წესი, არაიმწუთიერად. გარდა ამისა, საზმცოდნეთა “ინტელექტუალური საკუთრება” გარკვეული დოზით ყოველთვის ექვემდებარება იდეოლოგიზაციას, ამიტომაც მეცნიერების ამ დარგის ბედისმწერლად გვევლინება არამხოლოდ საბაზრო, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურაც. მაგრამ, ბაზარი ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც, საკმაოდ კეთილგანწყობილია იმ საზმეცნიერთა მიმართ, რომლებიც არ ზღუდავენ თავიანთ უნარებს პრინციპებითა და მსოფლმხედველური მრწამსით, და ამდენად, მიდრეკილნი არიან იდეოლოგიური თუ პოლიტიკური პროსტიტუციისკენ. ასეთი ინტელექტის შეფასებისას უპრიანია დავესესხოთ კ. მარქსს: „...ტალანტი მრწამსის გარეშე ქმნის არამზადებს“.

მეცნიერების უშუალო მწარმოებელურ ძალად გადაქცევამ შეცვალა მწარმოებელურ ძალთა ელემენტების თანაფარდობა სუბიექტური მწარმოებელური რესურსის სასარგებლოდ. მიტომ,

<sup>1</sup> Маркс К., Энгельс Ф. Соч., 2-е изд., т. 31, с. 367.

საკუთრებას როგორც მოვლენას, თავისი არჩევანი გადააქვს ერთი ობიექტიდან (წარმოების საშუალებებში გასაგნებული კაპიტალი) მეორეზე (ცოდნა პერსონიფიცირებული მის მატარებელში). აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ, მართალია, მოდიფიცირებული ფორმით, მაგრამ სუბიექტი კვლავ ხდება კერძო საკუთრების ობიექტი. უხეშად რომ ვთქვათ, თანამედროვე ინტელექტუალი, რომელიც თითქოს გადამწვევტი მწარმოებლური რესურსის მესაკუთრეა, იმადროულად მონად გვევლინება, რაც მის ბუნების გაორებაზე მიგვანიშნებს. საქმე ისაა, რომ აქ იქმნება კერძო საკუთრებისა და შრომის შერწყმის ილუზია (ასეთი შერწყმის უპერსპექტივობა თვალსაჩინო გახდა ჯერ კიდევ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში), მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის საკუთრების ობიექტად გახდომა სინამდვილეში არის გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობების მიერ ნაკარნახევი ცდა ადამიანისა და მისი იმანენტური თვისების ხელოვნური განცალკავებისა. ასეთი ხელოვნური განცალკავების შედეგია ის, რომ “ინტელექტუალური საკუთრების” რეალიზაცია, ანუ მისი კაპიტალიზაცია ხდება არა უშუალოდ მისი მატარებლის მიერ, არამედ მათი მეშვეობით, ვინც დაფინანსების სოლიდურ წყაროებს ფლობს. ასეთებად კი გვევლინება ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული მსხვილი კერძო ფირმები. მაშასადამე, ინტელექტზე საკუთრების რეალიზაცია რეალურად ხდება არა მისი მატარებლის მიერ, ვისიც ბუნებრივი კუთვნილებაც არის ინტელექტი, არამედ გარედან (კაპიტალის კატეგორიის გამოყენება მისი არათავდაპირველი მნიშვნელობით ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. კაპიტალის სუბსტანციურ არსს კი წარმოადგენს ღირებულება, ამიტომ კაპიტალის ნამდვილი შინაარსის ადეკვატური არსებობის წესი სწორედ ფულადი ფორმაა. ე.წ. ინტელექტუალური კაპიტალი ვერ იქნება ამოსავალი წერტილი მოძრაობისა, რომელიც განაპირობებს მის თვითზრდას. ასეთ მოძრაობაში ინტელექტუალური კაპიტალი როგორც ერთ-ერთი ელემენტი პირადი ფაქტორისა, ერთვება მხოლოდ ფულად კაპიტალთან შეერთებით, ამიტომ ინტელექტის მატარებლის აღქმა მის მესაკუთრედ მხოლოდდამხოლოდ ილუ-

ზიაა). მეცნიერული კვლევების საგანი კი, რომელიც საბოლოოდ ბაზრის კონიუნქტურასა, უშუალოდ კი დაფინანსების წყაროებზეა დამოკიდებული, ვერ იქნება ნებისმიერი, ამიტომ შემოქმედებითი მუშაკები თავის საქმიანობაში პრიორიტეტების განსაზღვრისას იძულებულნი არიან იხელმძღვანელონ პრაგმატული მოსაზრებებით. სამეცნიერო თანამეგობრობის იმ ნაწილს კი, რომელიც მატერიალურ კეთილდღეობას ამჯობინებს შემოქმედებით თავისუფლებას, საეჭვოა ეღიროს “ბუნებრივი არისტოკრატის” რიგების შევსება. თუმცა, ყველა დროში სულიერი სფეროს რაინდები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შორს დგანან ამბიციებისა და ეკონომიკური მოთხოვნებისაგან, არც არასოდეს მიისწარაფოდნენ სოციალური აღიარების რაიმე ფორმით დამოწმებისკენ. მეცნიერების უანგარო მსახურება განპირობებულია მათი სიყვარულით თვით ჭეშმარიტების და მისი დადგენის პროცესისადმი. თვითსრულყოფა არ წარმოადგენს მოწოდებით მეცნიერთა მიზანს, ის მხოლოდ თანმდევი შედეგია მათი შრომისა. მერიტოკრატისათვის კი თითქოს დამახასიათებელი მოთხოვნილება - საკუთარი თავის თვისებრივი ზრდა, თვითრეალიზაცია - უფრო საკუთარი ego - ს დაკმაყოფილებისკენ სწრაფვაა. ამაზე მეტყველებს ის, რომ მერიტოკრატის წარმომადგენელთა მეცნიერული ინტერესების წრე შემოიფარგლება საბაზრო მოთხოვნის შესაბამისი პრაგმატული მოსაზრებებით.

ცოდნასა და ინფორმაციაზე საკუთრების უფლების ნეგატიური მხარეა ისე, რომ ამ უფლების დაკანონება წინააღმდეგობას იქცევს მისი გავრცელებისათვის. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისათვის გაცემული ცოდნისა და ინფორმაციის თვისებრიობისა და რაოდენობის თვალსაზრისით ინტელექტუალური კაპიტალის “მესაკუთრე” სულაც არ განიცდის დანაკარგს. პირიქით, ცოდნის გავრცელების პროცესში ის ზრდის და ამრავალფეროვნებს თავის ინტელექტუალურ პოტენციალს. მეტიც, ინტელექტუალური კაპიტალი საკუთრების ერთადერთი ობიექტია, რომელიც ხარჯვითა და გაცემით იზრდება. გარდა ამისა, ახალი ცოდნა არ წარმოიშობა ცარიელ ადგილზე, და რომ არა მისი საკუთრე-

ბის ობიექტად გადაქცევა და სულიერი სფეროს ბაზრის კანონებისადმი დაქვემდებარება, სიახლის შემოტანა ძველ ცოდნაში არ გამოიწვევდა სულიერი სფეროს ახალი ე. წ. ვარსკლავების შემოსავლების ზრდას ასტრონომიულ ციფრებამდე. ამასთან, ძველი და ახალი ცოდნის სინთეზის პროდუქტში მათი რაოდენობრივი და თვისებრივი წვლილის განმსაზღვრელ არბიტრად გამოდის ბაზარი. უკანასკნელი კი, ითვალისწინებს მათ არა რეალურ დამსახურებას ახალი პროდუქტის შექმნაში, არამედ იმ ფაქტს, რომ მისი შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახალი ცოდნის მიერთებით უკვე არსებულისადმი. მაშასადამე, სიახლის ანაზღაურება გულისხმობს ძველი და ახალი ცოდნის ერთობლივი პროდუქტის ღირებულების იმ წილის მითვისებასაც, რომელიც ძველი ცოდნის მიერ არის შექმნილი. ამგვარად, ბაზრის მიკერძოებულობა “ანეიტრალებს” შემოსავლების ვითომდა სამართლიანი განაწილების პრინციპს, რომელსაც გულისხმობს მერიტოკრატიის არსებობის თვით იდეა.

მერიტოკრატიული საზოგადოების მიერ დეკლარირებული ადამიანის უნარებისა და დამსახურებისადმი შემოსავლებისა და სოციალური სტატუსის შესაბამისობის პრინციპი ბაზრის პირობებში რეალიზდება ძალზე პარადოქსული სახით. ამერიკელ სოციოლოგსა და ეკონომისტს ლ. ტუროუს მოჰყავს მაგალითი, რომელიც აღებულია არა სულიერი სფეროდან, მაგრამ ძალზე საგულისხმო და სახასიათოა. იგი წერს: არსებობს ძალზე არასწოხაზოვანი თანაფარდობა ტალანტსა და ანაზღაურებას შორის, რაც თვალსაჩინოდ ჩანს სპორტსმენების ანაზღაურებისას. მათთვის, ვისი მონაცემებიც იმაზე დაბალია, ვიდრე ეს საჭიროა პროფესიონალ კალათბურთელად გახდომისათვის, შემოსავალი ნულის ტოლია. ტალანტის ჯეროვანი დონის ფლობისას მინიმალური ხელფასი უდრის 150 000 დოლარს. თუკი გავზომავთ რიგითი კალათბურთელებისა და ვარსკლავების უნარებს შორის არსებულ განსხვავებას (სისწრაფე სირბილში, სიმაღლე ხტომაში, კალათში მოხვედრის პროცენტი), აღმოვაჩინოთ, რომ ის ძალზე მცირეა, მაშინ, როდესაც სხვაობა შემოსავლებში - უზარმაზარია<sup>1</sup>. ერთი შეხედ-

<sup>1</sup> См.: Лестер К. Туроу. Будущее капитализма. Новосибирск: Сибирский хронограф, 1999, с. 791

ვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შემოსავლების ასეთი აშკარად არასამართლიანი განაწილება არის, ერთი მხრივ, ანაზღაურების “მერიტოკრატიულ” პრინციპსა და, მეორე მხრივ, საბაზრო მეურნეობის კანონზომიერებებს შორის არსებული წინააღმდეგობის შედეგი. მაგრამ, თუკი მხედველობაში ვიქონიებთ, რომ სწორედ ასეთი თვალშისაცემი სხვაობა ანაზღაურებაში, უნარებში უმნიშვნელო განსხვავების მიუხედავად, შესაძლებელს ხდის თვით მერიტოკრატიის არსებობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ უკანასკნელს სწორედ რომ ხელს აძლევს აღნიშნული წინააღმდეგობა. მტკიცებანი, თითქოს მატერიალური კეთილდღეობა არის შედეგი, რომელსაც ახალი ელიტარული კლასის წარმომადგენლები აღწევენ ამ შედეგის მიზანდაუსახავად<sup>1</sup>, მეტწილად ფარისევლურია. გამდიდრების მიზნად დასახვაზე მეტყველებს თვით ფაქტი ინტელექტისა და ცოდნის კერძო საკუთრების ობიექტად გადაქცევის შესახებ, რაც იურიდიულად საავტორო უფლებებით არის დამოწმებული. თუკი ეკონომიკური კეთილდღეობა მერიტოკრატია საქმიანობის არა მიზანი, არამედ მხოლოდ თანამდევი შედეგია, მაშინ საავტორო უფლებების ფუნქცია მხოლოდ იმით უნდა შემოიფარგლებოდეს, რომ დაიცვას ინტელექტუალები პლაგიატისაგან. ეს კი ნიშნავს სულიერი სფეროს ვარსკლავების უნართა კაპიტალიზაციის დაუშვებლობას, რაც გამორიცხავს ინტელექტის მიერ ერთხელ მიღებული შედეგის მრავალჯერად ანაზღაურებას. სხვაგვარად კი, ინტელექტი და მისი პროდუქტი გვევლინება როგორც კაპიტალი, ხოლო მასზე შემოსავლები - როგორც მოგება დაბანდებული კაპიტალზე.

ადამიან-კაპიტალის მწარმოებლური ძალების გადამწყვეტ ელემენტად გადაქცევა, ერთი მხრივ, და ამ რესურსის დეფიციტის პრობლემა, მეორე მხრივ, ქმნის სწორედ საფუძველს ინტელექტისა და ცოდნის კერძო საკუთრების მთავარ ობიექტად გახდომის, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უშლის ე.წ. ბუნებრივი არისტოკრატიის გაფართოებულ კვლავწარმოებას. მაგრამ, თუკი ამ პრივილეგიურებულ ფენას სურს ასეთად დარჩეს, მაშინ გულუბრყვილობა იქნე-

<sup>1</sup> Иноземцев В. Л. Наука, личность и общество в постиндустриальной действительности. // <http://www.postindustrial.net/pdf/magazines/article58.pdf>.

ბოდა მოლოდინი მათი მხრიდან ახალი სოციალური წინააღმდეგობის თუნდაც შერბილების მიზნით გარკვეული ზომების მიღების შესახებ საკითხის ინიცირებისა. შემთხვევითი არ არის, რომ თეორიაში სოციალური და ქონებრივი უთანასწორობის გადრმავება ფასდება არა მხოლოდ როგორც კანონზომიერი, არამედ როგორც სამართლიანი და დაუძლეველი მოვლენა. ამასთან, ახალი სოციალური უფსკრულის გადრმავების გამართლება ხდება იმ არგუმენტით, რომ წარმოებულ საზოგადოებრივ სიმდიდრეში სულ უფრო იზრდება ინტელექტუალური ელიტის წვლილი. რაც შეეხება არსებული წინააღმდეგობის დაუძლეველობას, მისი დასაბუთება ხდება არგუმენტით ინტელექტუალური უნარების უპირატესად მემკვიდრეობითი ხასიათის შესახებ, რასაც თავისთავად ფაშიზმის ელფერი დაჰკრავს. უკანასკნელი მოსაზრება გულისხმობს და ამართლებს კიდევ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის არსებული უთანასწორობის კონსერვაციას. სინამდვილეში კი, საყოველთაოს თვალსაზრისით, ადამიანთა შორის უთანაბრო ინტელექტუალური განვითარება არის შედეგი და არა მიზეზი მათ შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უფსკრულისა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში, რომელსაც მართავს ე.წ. ღირსეულთა კლასი, არ კარგავს აქტუალურობას მოსაზრება: „...ყოველ ადამიანს უდავოდ აქვს უფლება სრულად განავითაროს თავისი უნარები, და საზოგადოება ორმაგად ჩადის დანაშაულს პიროვნების წინაშე, როდესაც უმეცრებას სიღარიბის გარდაუვალ შედეგად გადააქცევს”.

**Light and shade of meritocracy**

*N. Absava*

Existence of meritocracy denies the principle of heredity when defining a person's place in social hierarchy and to gain economic welfare.

Becoming one of the main objects of intellectual property means transforming its bearer into the object as well as the subject of intellectual property. This shows artificial contradistinction of a human with its immanent nature. The result of this is that, as a rule, "intellectual property" is realized not by its bearer, but from outer forces. Giving birth of so called natural aristocracy causes numerous new social contradictions and deepens them.

<sup>1</sup> Маркс К., Энгельс Ф. Соч., 2-е изд., т. 2, с. 543.



**მეცნიერული ინვესტიციების მართვის კირითაღი მიმართულება**

*ირსაბ მასურაშვილი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

ქვეყნის კონკურენტუნარიანი ეკონომიკური პოტენციალის განვითარების პრობლემა დაკავშირებულია დღევანდელი საქართველოს მთელ რიგ სხვა პრობლემასთან. ამ პრობლემების გადაწყვეტა კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ სფეროში არასაბიუჯეტო ინვესტიციების დასაბანდებლად თანამედროვე საფინანსო საშუალებების და მექანიზმების გამოყენების ცოდნასა და შესაძლებლობაზე. მაღალრისკიანი მეცნიერებატევადი ინოვაციური პროექტების განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გზად გვევლინება ვენჩურული ინვესტირება, რომლის ეფექტიანობაც მსოფლიო პრაქტიკით არის დამტკიცებული.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კონკურენტული ბრძოლის მეთოდები კოპირდება და მოდიფიცირდება, ბიზნესში მთავარია ინოვაციური გარემო, ახალი იდეების სწრაფად გავრცელება და კოლოპერირება, ინოვაციების დარგში საწარმოების თანამშრომლობა სხვა რეგიონების ბიზნესთან.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა საქართველოს საბაზო დარგებსა და საწარმოებში მიმართული უნდა იყოს მსოფლიო დონის სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების დაჩქარებულ ათვისებზე, ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებაზე (მინერალური წყლები და სხვა).

ჩვენი აზრით, საქართველოში ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ინოვაციური საქმიანობის განვითარებით, რომელიც საშუალებას იძლევა დაინერგოს ახალი, უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიები, ეკონომიკის ყველა დარგში.

ვენჩურული ინვესტირება წარმოადგენს კატალიზატორს ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის. განვითარებულ ქვეყნებში ვენჩურული ინვესტირება სამეცნიერო კვლევების და ინოვაციური საქმიანობის არასაბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა.

რისკული (ვენჩურული) ინვესტირების მთავარი თავისებურება, საბანკო დაკრედიტებისგან განსხვავებით, არის ის, რომ ინვესტიციები, როგორც წესი, ხორციელდება ინოვაციური მიმართულების მცირე, საშუალო კერძო ან პრивატიზებულ საწარმოებში რაიმე გარანტიით უზრუნველყოფის გარეშე. ვენჩურული ინვესტორი არ ცდილობს კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვას და ვარაუდობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი მის ფულს გამოიყენებს ფინანსურ ბერკეტად საკუთარი ბიზნესის უფრო სწრაფი ზრდისა და განვითარებისათვის.

ვიხილავთ რა ვენჩურულ ინვესტირებას, აუცილებელია მკვეთრად გავმიჯნოთ ვენჩურული და პირდაპირი ინვესტიციები. ვენჩურული ინვესტირების განმასხვავებლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეს მექანიზმი გამოიყენება მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საწარმოების დასაფინანსებლად. რაც შეეხება საქართველოს, აქ ძირითადად მოქმედებს პირდაპირი ინვესტიციების ფონდები.

მთელ მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის ძირითად წყაროებს (ფონდების კაპიტალიზაციის საერთო მოცულობის დაახლოებით 2/3-ს) წარმოადგენს ბანკები, საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები.

დღეისთვის ვენჩურული დარგი განიცდის აღმავლობის პერიოდს, რასაც ხელს უწყობს გლობალიზაციის პროცესები, საზოგადოების ინფორმატიზება, ცოდნისა და ინფორმაციის როლის ზრდა ბიზნესში. უკანასკნელი წლების ლიდერად, ჩვენი აზრით, გვევლინება მობილური ტელეფონები და უსადენო ტექნოლოგიები, რადიოს ყველანაირი დამატებები, პირველ რიგში გიგაჰერცის დიაპაზონში.

რისკული ინვესტიციების ობიექტებად შეიძლება იქცეს სამრეწველო რესტრუქტურისა, ახალი ტექნოლოგიები და მცირე ბიზნესი<sup>1</sup>. საქართველოს პირობებში ვენჩურული კაპიტალის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერჯოტექნოლოგია, ეკოლოგიური ენერჯოეფექტიანი ბიზნესის აშენება და სხვ.

ზოგადად, ქვეყნის საწარმოებში ინოვაციების ხელისშემშლელია საკუთარი ფულადი სახსრების უკმარისობა, სახელმწიფოს მხრიდან სუსტი ფინანსური მხარდაჭერა, ახალ პროდუქტებზე დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნა, ინოვაციების მაღალი ღირებულება, მაღალი ეკონომიკური რისკი, სიახლეთა ამონაგების ხანგრძლივი ვადები, აგრეთვე ინოვაციური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა.

ჩვენი აზრით, ინოვაციური საქმიანობის ვენჩურული ინვესტირების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხების გადაწყვეტისას საქართველოსთვის აქტუალურია რიგი პრობლემა, როგორცაა:

– ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში სწრაფად ზრდადი ტექნოლოგიური ახალი და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების უზრუნველყოფა შეუძლია და შესწევს უნარი გახდეს მიმზიდველი ობიექტი პირდაპირი (ვენჩურული) ინვესტირებისთვის;

<sup>1</sup> Ginsberg A., Hasan I. New Venture Investment. Hardcover., 2003, p.47.

– საქართველოს ვენჩურულ ინდუსტრიაში ქართული კაპიტალის უკმარისობა - საზღვარგარეთის ინვესტორებისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი;

– ვენჩურული ინვესტიციების დაბალი ლიკვიდურობა, რაც გარკვეულწილად განპირობებულია საფონდო ბაზრის არასაკმარისი განვითარებით და წარმოადგენს ინვესტირებულ საწარმოებიდან ვენჩურული ფონდების თავისუფალი გამოსვლის მნიშვნელოვან საშუალებას (ინსტრუმენტს);

– მაღალტექნოლოგიური სექტორის საწარმოებში პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისთვის იმ ეკონომიკური სტიმულების არ არსებობა, რომელიც ვენჩურული ინვესტორებისთვის უზრუნველყოფს დასაშვებ რისკს;

– ვენჩურული ინდუსტრიის მხარდაჭერის არასაკმარისი ინფორმაცია;

– ვენჩურული ფონდების კვალიფიციური მმართველების არასაკმარისი რაოდენობა და მეწარმეთა საინვესტიციო კულტურის დაბალი დონე.

ვენჩურული ინვესტორების სტიმულირების ღონისძიებათა კომპლექსის დახმარებით ნებისმიერ რეგიონს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ნახტომი ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში ხარისხიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ობიექტების ინვესტირება, მათ შორის ტექნოლოგიების დარგშიც, ადრეულ სტადიებზე - კაპიტალის 'თესვის' სტადიებზე შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობით. თუმცა, ასეთი ინვესტიციები რიგ შემთხვევაშია კომერციულად მომგებიანი, მაგრამ რისკები იმდენად დიდია, რომ ინვესტორები უარს ამბობენ ინვესტირებაზე. ამიტომაც ვთვლით, რომ ვენჩურული ინვესტირების სახელმწიფო რეგულირება

<sup>1</sup> David Gladstone Laura. Venture Capital Investing.2004,p.193.

საქართველოში უნდა განხორციელდეს ორი ძირითადი ფორმით: პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირი ინვესტირება გულისხმობს პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებას ინოვაციური ფირმების წილობრივ კაპიტალში იმ სპეციალური ფონდებისთვის აქტივების შეთავაზებით, რომლებიც ვენჩურული კაპიტალის ბაზრის განვითარების მხარდაჭერას ახორციელებენ.

ირიბი რეგულირება გულისხმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში მოწოდებულია ქვეყანასა და რეგიონებში შექმნას სასურველი გარემო (კლიმატი) მეწარმეობის განვითარებისთვის. მას შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: სამართლებრივი უზრუნველყოფა, საგადასახადო შეღავათების და პრეფერენციების მექანიზმის გამოყენება, სავალუტო რეგულირების და კონტროლის პროცედურების გამარტივება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

ვენჩურული ინვესტირების პირდაპირი რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად ელემენტებს: ჯერ-ერთი, ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე ვენჩურული ინვესტირებისა და ადეკვატური ასახვისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო პრიორიტეტების მკაფიოდ შემუშავებული სისტემა<sup>1</sup>. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირველადი უნდა იყოს მეცნიერების და ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

კონცეპტუალურად პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: კონკურენტუნარიანობა, ცხოვრების ხარისხი და 'გამრღვევი კაპიტალი'. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია პრიორიტეტული მიმართულებების და კრიტიკული ტექნოლოგიების რეგიონული და დარგობრივი ჩამონათვა-

<sup>1</sup> Michael J Roberts, Howard H Stevenson. New Business Ventures and the Entrepreneur. Harvard Business School Publishing. Hardbound. 2006.p.284.

ლის შემუშავება; ასევე ვენჩურული კაპიტალის ბაზრის სახელმწიფო მხარდაჭერის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს სპეციალური ორგანოების, კერძოდ, კი, სახელმწიფო რეგიონული და დარგობრივი ფონდების შექმნას, რაც პრიორიტეტული მიმართულებების ინოვაციური პროექტების დაფინანსების მიზნით ვენჩურულ ორგანიზაციებს აძლევს გარკვეულ გარანტიებს.

ინოვაციური სისტემის განვითარების დარგში სახელმწიფო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით: ინოვაციურ საქმიანობასთან დამოკიდებულებაში ხელსაყრელი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა; ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურის ფორმირება; ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების კომერციალიზების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის შექმნა.

საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ინიციატივების გამოჩენა:

– ვენჩურული ფონდების საქმიანობისთვის, აგრეთვე, საპენსიო ფონდებით და სადაზღვევო კომპანიებით ვენჩურული ინვესტირებისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;

– ინოვაციებიდან მოსალოდნელი ეფექტის პროგნოზის მისაღები მეთოდების შემუშავება, აგრეთვე, ინოვაციური პროექტების ექსპერტიზის სახელმწიფო მხარდაჭერა და სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს მცირე საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების განვითარება;

– გამჭვირვალობა შემოსავლების დაბეგვრასთან და კაპიტალის მატებასთან (ზრდასთან) მიმართებით ორმხრივი გამჭვირვალობის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე, ფინანსური სტიმულები იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც სახსრებს აბანდებენ საფონდო ბირჟაზე არაკოტირებულ საწარმოებში (საგადასახადო შეღავათების და სახელმწიფო გარანტიების ფორმით

პროგრესულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მცირე საწარმოებისთვის კრედიტების და ინვესტიციების სანაცვლოდ);

– მეორადი საფონდო ბაზრის გააქტიურება ვენჩურულ კაპიტალში ინვესტიციების ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით;

– საპროცენტო ტარიფების შემცირება იმიტომ, რომ ინვესტირება ვენჩურულ კაპიტალში უფრო მიმზიდველია იმ დაბალი საპროცენტო განაკვეთებისას, რომელიც ზრდის სააქციო კაპიტალის ღირებულებას;

– საინფორმაციო გარემოს განვითარება, ვენჩურული საქმიანობის დარგში განათლების დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობა, მეწარმეთა შორის ვენჩურული კულტურის სწავლება (აღზრდა);

– ფინანსური მხარდაჭერა მიზნობრივი გრანტების ფორმით, აგრეთვე, საგადასახადო შეღავათები კვლევებზე, რასაც პროექტებისთვის დახმარების გაწევა შეუძლია იდეების და საცდელი ნიმუშების დამზადების ეტაპებზე, როცა კომერციული კრედიტების ან ვენჩურული დაფინანსების მიღების პერსპექტივები არ არის განსაზღვრული;

– რისკული კაპიტალის აქტიურობის უფრო თანაბარი განაწილების წახალისება რეგიონების მიხედვით.

ჩვენ ვითვალისწინებთ საერთაშორისო ვენჩურული საზოგადოების თვალსაზრისს, რომლითაც არ არის საჭირო ვენჩურული საქმიანობის შესახებ სპეციალური კანონის მიღება. საერთო კორპორატიულ (სამოქალაქო), საგადასახადო და სავალუტო კანონმდებლობაში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ვენჩურული ინდუსტრიის განვითარებას, უნდა გადაწყდეს შესაბამისი დარგების სამართლებრივი და უკვე არსებული საკანონმდებლო აქტების ჩარჩოებში. სახელმწიფოს ამოცანა სწორედ ისაა, რომ ხელსაყრელი პირობები შექმნას მცირე და საშუალო ბიზნესში კაპიტალის (ინვესტიციების)

მოზიდვისთვის, გამოიყენებს რა ვენჩურულ კაპიტალს როგორც ინვესტიციების საშუალებას.

საქართველოს ვენჩურულ ინდუსტრიაში კერძო კაპიტალის მოზიდვის ძირითად საშუალებად (ინსტრუმენტად) გვევლინება ვენჩურული ფონდის შექმნა სახელმწიფოს მონაწილეობით. სახელმწიფო სახსრებით უნდა მოხდეს კერძო ინვესტორების რისკების შემცირება და ქვეყნის ვენჩურულ ინდუსტრიაში კერძო სახსრების მოზიდვის თვალსაზრისით ერთგვარი კატალიზატორის და აგიტატორის როლიც უნდა შეასრულოს.

ჩვენი აზრით, ვენჩურულ ინდუსტრიაზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადება, თავის მხრივ, მოითხოვს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სპეციალობების და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გახსნას. კარგი იქნება, თუ ევროპის ანალოგიურად, ჩვენთანაც გაიხსნება ქოუჩინგ-ცენტრები, რაც ორიენტირებული იქნება ვენჩურული მეწარმეობის სფეროში კონსულტაციებზე, მეთოდურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერაზე.

მეორე ეტაპზე, როდესაც ვენჩურული ინვესტირების რეგიონული სისტემის ელემენტები თვითგანვითარების მყარ რეჟიმზე გადავა, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს მის მიერ ადრე შექმნილი ფონდებიდან. ამის შედეგად სახელმწიფოს მიერ მიღებული სახსრები რეინვესტირებული იქნება სპეციალიზებულ 'თესვის' სასტარტო ფონდებში. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, აგრეთვე, კომერციული ვენჩურული ინოვაციური ფონდების შექმნაც, რომელშიც სახელმწიფოს წილი 10%-ზე მეტი არ უნდა იყოს, 90% კი - კერძო ინვესტორების სახსრები იქნება.

რამდენადაც ვენჩურული ინვესტიციებისთვის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა აუცილებელია, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საფონდო ბაზრის უფრო მეტად განვითარება, სადაც აქციათა პაკეტის გაყიდვის გზით ვენჩურული ფონდები შეძლებს თავისუფლად გამოვიდეს ინვესტირებული საწარმოებიდან და

როდესაც ვენჩურულ ინვესტორებს ამის შესახებ წინასწარ უკვე ეცოდინებათ, მათთვის ინოვაციურ კომპანიებში ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული რისკიც მეტ-ნაკლებად გარკვეული იქნება.

მომავლისთვის უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროექტი, რომლის ძირითადი მიზანიც პერსპექტივაში იქნება ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირება საქართველოს ინოვაციური კომპანიების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის კონსოლიდირებისთვის, საზღვარგარეთის ანალოგიურ პროექტებთან ინტეგრაცია, ინოვაციური სტრუქტურების კომპლექსური საინფორმაციო მხარდაჭერა ადგილობრივი და საერთაშორისო ტექნოლოგიური პოტენციალის რეალიზების მიზნით.

ვენჩურული დაფინანსების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ამოცანაა, ვენჩურული კაპიტალის ხელსაყრელი ფუნქციონირებისათვის და მაღალტექნოლოგიური ინოვაციური ბიზნესის განვითარების მიზნით, ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემოს ფორმირებისთვის ხელშეწყობა. ვენჩურული ინვესტირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის შესაბამისი ფუნქციაა მაღალტექნოლოგიური ინოვაციური ბიზნესის, და მთლიანობაში, საქართველოს ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა.

შემოთავაზებული მართვის (ორგანიზაციულ-ეკონომიკური) მექანიზმი სისტემაწარმომქმნელი ელემენტების ხუთ ტიპს მოიცავს: ნორმატიულს, ორგანიზაციულს, მმართველობითს, ფინანსურს, საინფორმაციოს.

ინოვაციური საქმიანობის ვენჩურული ინვესტირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ნორმატიული ელემენტი ინოვაციური საქმიანობის ვენჩურული ინვესტირების ნორმატიული რეგულირების დონისძიებათა კომპლექსია, რომლის საფუძველია სახელმწიფო ორგანოების საკანონმდებლო აქტები და ნორმატიული დოკუმენტები, აგრეთვე, სპეციალიზებული სამართ-

ლებრივი ინსტიტუტების ქსელი და სპეციალისტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის პრაქტიკულ გამოყენებას.

ვენურული ინვესტირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმის ორგანიზაციულ ელემენტში იგულისხმება კერძო და სახელმწიფო სექტორების ორგანიზაციული პროცედურების და სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც ინდივიდუალურად და ერთმანეთთან ურთიერთკავშირით განაპირობებენ ვენურული ინვესტირების ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას. მცირე მეწარმეობაში ინოვაციების შემუშავების, ინვესტირებისა და დანერგვისათვის აუცილებელია ორგანიზაციული პროცედურების ძირითადი ელემენტების არსებობა: ბიზნეს-სკოლები, სააგენტოები, მცირე მეწარმეობის მხარდაჭერი ფონდები, სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები: საინფორმაციო-ანალიტიკური და საკონსულტაციო ცენტრები და ა.შ. მცირე ინოვაციური კომპანიების საქმიანობის მსგავსად უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურის საწარმოთა საქმიანობის სტიმულირება - საგადასახდო შეღავათები ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ინოვაციური საქმიანობის ვენურული ინვესტირების მმართველობითი ასპექტი თავის აქტუალურობას იძენს ინოვაციური მენეჯერებისა და საინვესტიციო აქტივების მმართველების პროფესიონალიზმისადმი მაღალ მომთხოვნელობასთან დაკავშირებით. ინოვაციური საქმიანობის ვენურული ინვესტირების ორგანიზაცია და ინოვაციური პროექტების მართვა ობიექტურად რთული პროცესია. ამიტომ, საჭიროა გადალახულ იქნეს უკვე შექმნილი სისტემების ინერცია და ცვლილებებთან მათი წინააღმდეგობები. განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში ბიზნეს-საქმიანობის, მათ შორის ინოვაციების მართვა, დიდი ხანია ცოდნის სპეციალურ დარგად არის მიჩნეული, რომლის ჩარჩოებშიც მუშავდება მეთოდოლოგიური და თეორიული ბაზა, არსებობს

სამეცნიერო სკოლები, ფუნქციონირებს მენეჯერთა სწავლების და მომზადების სხვადასხვა ინსტიტუტი, დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ მმართველებსა და მართვის კონსულტანტებზე და ა.შ.

ინოვაციური ბიზნესის ვენურული ინვესტირების ფინანსური ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა აეწყოს თანამედროვე ბაზრის მაღალგანვითარებული საფინანსო-საკრედიტო მექანიზმების ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს რესურსებით სამეწარმეო ეკონომიკას. ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის ელემენტარული სტრუქტურა მოიცავს ბანკებს, საინვესტიციო ორგანიზაციებს (სადაზღვევო კომპანიებს, საპენსიო ფონდებს, საუნივერსიტეტო ფონდებს, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდებს და სხვ.), კორპორაციულ (საინვესტიციო) ფონდებს, ინდივიდუალურ ინვესტორებს, აგრეთვე, საკუთრივ ვენურულ ფონდებს.

ინოვაციური ბიზნესის ვენურული დაფინანსების საინფორმაციო უზრუნველყოფა – ეს საცნობარო, საპატენტო, კონიუნქტურული, ანალიტიკური, ტექნიკური და სარეკლამო ინფორმაციაა, რომელიც მუდმივად არის წამოღებნილი ტრადიციულ და ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებში, საცალო და პერიოდულ გამოცემებში, დაგროვილია ბიბლიოთეკებსა და ფონდებში, რეგულარულად განახლებადი და განვრცობილია მრავალრიცხოვანი საინფორმაციო ინსტიტუტის მიერ, სხვადასხვა არხით მოწოდებულია მომხმარებლის მიერ.

ჩვენი აზრით, ვენურული ინვესტირების ჩამოყალიბების და განვითარების შემოთავაზებული კონცეფცია და მასში წამოღებნილი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების დანერგვა, შესაძლებელს გახდის შექმნას ინოვაციური საქმიანობის ვენურული ინვესტირების სისტემა საქართველოში, რასაც მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ვენურული ინვესტირების განვითარებაზე როგორც მიკრო, ასევე მაკროლონეზე.

Management of major in venture investment

I. Masurashvili

The problem of a competitive, technological capabilities of the country is one of the key in the problems of today's Georgia. Much of the solution to this problem depends on the ability and skills to use modern financial instruments and mechanisms to attract high-tech sectors of economy budget investments. One of the most promising ways to implement the high-risk high-tech innovation projects is a venture investment, whose effectiveness is confirmed by the world practice. In modern conditions, when methods of competition quickly copied and modified in important business innovation environment, the rapid spread of new ideas and cooperation, cooperation in innovation of enterprises with businesses in other regions. In our view, venture investing is a catalyst for innovation. Institute of venture capital investment in developed countries represents a major source of extrabudgetary funding of scientific research, applied research and innovation. The challenge of organizational-economic mechanism of venture investment - foster economic and legal environment conducive to the functioning of venture capital and development of high-tech innovation business. Accordingly, the function of the organizational-economic mechanism for venture capital investment is to ensure the growth of innovative high-tech business and the economy of northern regions as a whole. Implementation of the proposed organizational and economic mechanism (normative, organizational, managerial, financial, informational) of formation and development of venture investment in the complex of other activities will create a system of venture investment in innovation activities in Georgia and will have a significant positive impact on the development of venture investment at both the micro and macro levels. In modern conditions, when methods of competition quickly copied and modified in important business innovation environment, the rapid spread of new ideas and cooperation, cooperation in innovation of enterprises with businesses in other regions.



მოზილური ანგარიშსწორება ინფორმაციულ ეკონომიკაში

თეგურ ჩალიშავე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კაცობრიობის ინფორმაციული ეკონომიკის ეპოქაში შესვლამ გამოიწვია ანგარიშსწორების ისეთი სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება, როგორც ჩვეულებრივ გარემოში, ასევე ელექტრონული კომერციის ვირტუალურ სივრცეში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ანგარიშსწორების არსებული ფორმები სრულყოფილად ვერ პასუხობს ელექტრონული კომერციის თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მკვეთრად აფერხებს ამ უკანასკნელის განვითარების ტემპებს. ამასთან, ერთად გასათვალისწინებელია ფულის ემისიაში სახელმწიფო მონოპოლიის როლი როგორც ინფლაციის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში, ასევე ერთიანი უნივერსალური ანგარიშსწორების ფორმის შემუშავებაში.

რადგან ფული ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, საზოგადოების განვითარებასთან ერთად ხდებოდა ფულის დანიშნულების ევოლუცია, იზრდებოდა მისი ინფორმაციული შინაარსი, მცირდებოდა ნაღდი ფულის გამოყენების აუცილებლობა. კავშირგაბმულობის ელექტრონული საშუალებების და ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე მეთოდების დანერგვამ ნელ-ნელა მინი-

მუშამდე დაიყვანა ფულის ბანკნოტებისა და მონეტების ფიზიკური გამოყენების საჭიროება. მატერიალური ფული ინდუსტრიული საზოგადოების ანგარიშსწორების ძირითადი ფორმაა და მისი შემდგომი გამოყენება პირდაპირაა დაკავშირებული ინფორმაციული ეკონომიკისათვის შექმნილ ფულად სისტემასთან, რომლის საფუძველიც უნდა გახდეს გლობალურ ტელესაკომუნიკაციო ქსელებზე აგებული ელექტრონული კომერცია. ჯერჯერობით ასეთი ერთიანი ფულის სისტემა შექმნილი არ არის და ანგარიშსწორება წარმოებს საკმაოდ მრავალფეროვანი მეთოდებით. ამის ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ინტერნეტ-კომერციის არათავსებადი სტანდარტებით და მეთოდებით წარმოება, რამაც ხელი შეუშალა ამ სფეროს მასობრიობას. ამასთან ერთად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირებით შესაძლებელი გახდა მილიარდობით ადამიანების ურთიერთდაკავშირება. აქედან გამომდინარე, მობილური ქსელები წარმოადგენს ინფორმაციული მომსახურების ყველაზე მოთხოვნად სისტემას. როგორც ინტერნეტმა თავის დროზე გააერთიანა ადამიანები და დღის წესრიგიდან მოიხსნა მანძილის პრობლემა, ასევე, ამჟამად ტელეკომუნიკაციის უახლესმა საშუალებებმა შესაძლებელი გახადა მობილურობის მაღალი დონის ჩამოყალიბება ისეთ ახალ ბიზნეს-სივრცეში, როგორცაა მობილური კომერცია. ამ სფეროს სრული და ეფექტიანი განვითარებისათვის აუცილებელია იმ ფულის ერთეულებისა და გაცვლის სისტემების შემუშავება, რომელიც გამოყენებული იქნება მობილურ კომერციასა და ინფორმაციულ ეკონომიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის საფუძველზე არსებობს ყველა წინაპირობა ეკონომიკური ტრანზაქციების ეფექტიანად და მარტივად წარმოებისთვის, ფულის თანამედროვე ფორმებს არ შეუძლია არამატერიალური სახით საჭირო ფუნქციების შესრულება. ანგარიშსწორების არსებული სისტემები ძირითადად ორი სახეობისაა და იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ ტრანზაქციისათვის ფულის როგორი ფორმა გამოიყენება: ნაღდი თუ უნაღდო. პირველს მიეკუთვნება ტრანზაქციები, რომელიც ხდება ლითონის მონეტებით, ქაღალდის ბანკნოტებით, სხვადასხვა სახეობის ჩეკებით, ინტელექტუალური სმარტ-ბარათებით და ციფრული ნაღდი ფულით (ეს ორი უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ ინტერნეტში). უნაღდო ანგარიშსწორებაში იგულისხმება საბანკო ანგარიშის არსებობა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია უშუალოდ საბანკო განყოფილებიდან ან დისტანციური კავშირით ინტერნეტიდან, ქაღალდის ჩეკის ან მისი ელექტრონული ანალოგის გამოწერით, ასევე საკრედიტო ბარათებით დაბოლოს – ფიჭური ტელეფონებით, რაც ასრულებს მობილური ტერმინალების ფუნქციას. ჩამოთვლილ ფულად ფორმებს გააჩნია სხვადასხვა ნაკლოვანება, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რომელიმე მათგანი აღიარებულ იქნეს ანგარიშსწორების უნივერსალურ ან მასთან მიახლოებულ ფორმად. კერძოდ, შეუძლებელია მათი გადაცემა სატელეკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით, ანგარიშსწორება როგორც მატერიალური, ასევე ვირტუალური ფორმით, უსაფრთხოების არასაკმარისი გარანტიები, არასაკმარისი დაფარვის სფერო და ა.შ. ამიტომ, თანამედროვე ფული, როგორცაა ნაღ-

დი ფულის ციფრული ტექნოლოგია, თავისი განვითარების დიდი პოტენციალის გამო შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციული ეკონომიკის იდეალურთან მიახლოებულ ფულის ერთეულად.

ციფრული ნაღდი ფული წარმოადგენს ფულის ღირებულების ერთგვარ ელექტრონულ დამაგროვებელს, განთავსებულს ტექნიკურ მოწყობილობაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ანგარიშსწორებისათვის და არ საჭიროებს ტრანზაქციისთვის საბანკო ანგარიშების გამოყენებას. „ტექნიკური თვალსაზრისით ციფრული ნაღდი ფული წარმოადგენს ფულის ციფრულ გამოსახულებას“<sup>1</sup>. იგი არის ორობით ფორმაში ჩაწერილი ციფრული ინფორმაცია და რადგან „ასე ჩაწერილი რიცხვები ძალიან დიდი მოცულობისაა, ხდება მათი განთავსება ფაილების სახით“<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე, ციფრული ნაღდი ფული წარმოადგენს ჩვეულებრივი ქაღალდის ფულის ელექტრონულ ანალოგს. როგორც ცნობილია, შესაძლებელია ყოველგვარი არამატერიალური დოკუმენტი გადაგზავნილ იქნეს ნებისმიერი მომხმარებლისთვის ტელესაკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით. ასევე შესაძლებელია ციფრული ნაღდი ფული ელექტრონული ქსელებით მომენტალურად გადაიგზავნოს დედამიწის ნებისმიერ წერტილში მინიმალური სატრანზაქციო დანახარჯებით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ციფრული ნაღდი ფულით ანგარიშსწორება არის უქაღალდო ფულის ბრუნვა, როდესაც მონეტებსა და ბანკნოტებში ასახული ღირებულება შორდება

<sup>1</sup> Grabble J. Orlin. Digital Cash and the Regulators. <http://www.aci.net/kalliste/dcreg.htm>

<sup>2</sup> Демяидов Александр. Digital money – электронные деньги // Деньги. 1997, апр.

მათ ფიზიკურ მატარებელს და არსებობს არამატერიალური ფორმით.

როგორც ცნობილია, ფულის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს სტაბილურობა, უვადობა, ცნობადობა, გაყოფადობა და სხვ. რადგან ციფრული ნაღდი ფული ფულის ელექტრონული ექვივალენტია, მას დამატებით უნდა გააჩნდეს მთელი რიგი თავისებურება: გამოყენების უნივერსალურობა, ტრანზაქციის განხორციელების პროცესის მაქსიმალური უსაფრთხოება და ღირებულების ერთეულის არჩევის თავისუფლება. გარდა ამისა ციფრული ნაღდი ფული მატერიალურს მნიშვნელოვნად აღემატება ცვეთის, პორტატულობის, დაცულობის და ტრანზაქციის ხარჯების დონის მიხედვით. პერსპექტივაში ციფრული ნაღდი ფული შეიძლება ფულის ყველა ძირითადი ფუნქციის შესრულებას. ის გახდება მიმოქცევის, გადახდის, დაგროვების უნივერსალური ერთეული. ის ასევე იქნება მსოფლიო ფულადი ერთეული, თუ რა თქმა უნდა მიიღწევა შეთანხმება ერთიანი ციფრული ნაღდი ფულის სტანდარტების შესახებ, იქნება ის სანდო და გამოსაყენებლად მოხერხებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ციფრულ ნაღდ ფულს გააჩნია ნაკლოვანებებიც, რამაც შეიძლება მის მასობრივ დანერგვას შეუშალოს ხელი. კერძოდ: კომპიუტერის მუშაობაში შეფერხება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ციფრული ნაღდი ფულის ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვა; გარკვეული ალბათობით, არასანქცირებული მიწვდომის შესაძლებლობა; ელექტრონული მატარებლების მოპარვის ან დაკარგვის შანსი; არაკომპიუტერულ ქსელებს გარეთ ანგარიშსწორების შეზღუდული შესაძლებლობა. ზოგიერთი

სახელმწიფო, ციფრული ნაღდი ფულის დანერგვის წინააღმდეგია, რამდენადაც რთულია მის ემიტენტებზე კონტროლის გაწევა; სურს არსებული საგადასახადო სისტემის შენარჩუნება; ძნელია ფულადი ბრუნვის შესაძლო ზრდასა და ფულის გათეთრებაზე კონტროლი; საჭიროდ მიიჩნევენ ქვეყანაში ერთიანი ფულადი ერთეულის შენარჩუნებას და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ციფრული ნაღდი ფულის დანერგვის ეფექტიანობა პირდაპირაა დაკავშირებული მის ფიზიკურ მატერებელთან. „პირველი ასეთი სისტემები (Digi-Cash და MilliCent) შეიქმნა პერსონალური კომპიუტერების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფილი იყვნენ მათ შესანახად ადეკვატური მესსიერების მოცულობით და ტრანზაქციისათვის საჭირო დაშიფრვისათვის საჭირო გამოთვლითი სიმძლავრით“<sup>1</sup>. ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინტელექტუალური მიკროპროცესული ბარათების განვითარებასთან ერთად შეიქმნა ციფრული ნაღდი ფულის მატარებელი ისეთი სისტემები (Mondex და სმარტ-ბარათები VISACash), რომლებიც უფრო კომპაქტური იყო, ვიდრე პერსონალური კომპიუტერები. დაბოლოს, უკანასკნელ პერიოდში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდა ციფრული ნაღდი ფულის მატარებლად მესამე თაობის მობილური ტელეფონების გამოყენება.

ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებულ და მოხერხებულ სისტემად მიჩნეულია ინტერნეტ-ბანკინგები, რომლებიც მომსახურებას აწარმოებენ პირდაპირი (Online) რეჟიმით. ასეთი სისტემები პირობითად სამი სახეობისაა:

1. სისტემები, რომლებსაც მომხმარებლისთვის შეუძლიათ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება საბანკო ანგარიშების შესახებ;

2. სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ დაშორებული შიგა და გარე საბანკო გადარიცხვების, კომუნალური გადასახადების გადახდის წარმოება, უნაღდო ანგარიშსწორებით საქონლის ყიდვა-გაყიდვა და სხვ.;

3. სისტემები, რომლებსაც ხევით ჩამოთვლილ მომსახურებასთან ერთად შეუძლიათ კლიენტებისთვის პირდაპირი (Online) რეჟიმით ყველანაირი საბანკო მომსახურების (მათ შორის კრედიტის აღების) გაწევა, ფასიან ქაღალდებთან ოპერაციები და ა.შ.

მიუხედავად მომსახურების ასეთი მაღალფეროვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ სისტემებსაც გააჩნია რიგი შეზღუდვა. კერძოდ, საერთაშორისო ანგარიშსწორების ჩასატარებლად კლიენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სავალუტო ანგარიშები, შიგა ბაზრისთვის ანგარიში ეროვნულ ვალუტაში, კავშირი ინტერნეტთან და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი ეკონომიკის ანგარიშსწორების სისტემა უნდა იყოს უნივერსალური, აუცილებელი ხდება ინფორმაციული ეკონომიკისათვის ფულის ახალი სპეციალური კონცეფციის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სატელეკომუნიკაციო ქსელების თავისებურებები და მათი საშუალებით ნებისმიერი ტრანზაქციების განხორციელება. ასეთი კონცეფციის სფუძველი შეიძლება გახდეს ციფრული ნაღდი ფული, რომელიც განთავსებული იქნება ისეთ პორტატულ ინტელექტუალურ მოწყობილობებზე, რომლებიც უსადენოდ შეძლე-

<sup>1</sup> Электронные деньги и мобильные платежи. Энциклопедия. М., КиноРус, 2009.

ბენ ინტერნეტთან დაკავშირებას. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ასეთ მოწყობილობას წარმოადგენს ფიჭური ანუ მობილური ტელეფონი. აქედან გამომდინარე „შეიძლება შემოღებულ იქნეს ე.წ. ფიჭური ციფრული ნაღდი ფულის ტერმინი“<sup>1</sup>. მისი გამოყენება ერთნაირი წარმატებით იქნება შეაძლებელი, როგორც ფიჭურ ტელესაკომუნიკაციო სფეროში, ასევე ინტერნეტში. რადგან ასეთი ფული წარმოდგენილია ორობითი ინფორმაციით ერთ მოწყობილობაში, კერძოდ კი, მობილურ ტელეფონში მოხდება დაშიფრული ფულის განთავსებაც და ნებისმიერი ტრანზაქციის შემდეგ დათვლაც. აქედან გამომდინარე, ფიჭური ციფრული ნაღდი ფულის დანერგვის დროს ანგარიშწორებისთვის არ არის საჭირო დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა, რადგან ვისაც ექნება მობილური ტელეფონი ის ავტომატურად შეძლებს ციფრული ნაღდი ფულის გაგზავნას და მიღებას ისევე მარტივად, როგორც მაგალითად SMS-შეტყობინებებისა, ხოლო თვით მობილური ტელეფონები გახდება ელექტრონული საფულეები. მეცნიერები თვლიან, რომ მობილური მოწყობილობები საკმაოდ წარმატებულად შეცვლის ჩვეულებრივ ფულს, რადგან მათ გააჩნიათ ელექტრონული კომერციის ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებასთან მიწვდომის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ისინი ისე მასობრივად გაავრცელებული და მოხერხებულია, რომ მათი გამოყენებით შესაძლებელი იქნება ტრანზაქციების განხორციელება არა მარტო ვირტუალურ, არამედ ფიზიკურ გარემოში. სტატისტიკის მიხედვით, შინ დარჩენილი მობილური ტელეფონების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დატოვებული საკრედიტო ბარათების და საფულე-

<sup>1</sup> Электронные деньги и мобильные платежи. Энциклопедия. М., КиоРус, 2009.

ბის რაოდენობა, კომპაქტურობის და სიმსუბუქის გამო, ის მუდამ მომხმარებლის ხელშია. მობილური ტელეფონების მესამე თაობა იძლევა მომხმარებლის ადგილსამყოფელოს განსაზღვრის საშუალებას, რაც წარმოადგენს მობილური ანგარიშსწორების განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, რადგან ბიზნესის წარმატებული წარმოებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ სად იმყოფება კონკრეტულ მომენტში მომხმარებელი, რომ მას ქონდეს ოპერატიული ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების შესახებ.

ცხადია, ყველა სახეობის მობილური ტელეფონი ვერ გამოდგება ფიჭური ციფრული ნაღდი ფულის მატარებლად. სისტემის წარმატებული რეალიზაციისათვის აუცილებელია ისეთი ფიჭური ტერმინალების შექმნა, რომლებიც შეძლებენ ოპერაციების შესრულებას ახალი ფორმის ფულთან. ასეთი შესაძლებლობები აქვს მესამე თაობის მობილურ ტელეფონებს. ახალი ქსელების გაფართოებასთან ერთად შეიცვლება თვით მობილური მოწყობილობების მახასიათებლები და დიზაინი, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი გამოყენებული იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე ანგარიშსწორების ტერმინალებად როგორც ქსელში, ასევე ფიზიკურ გარემოში. მობილურ ტერმინალებს უნდა ქონდეთ ინტერნეტთან მუდმივი კავშირის, ჩატარებული ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციის დაშიფრვისა და დეკოდირების შესაძლებლობა, რადგან ციფრული ნაღდი ფულის გამოყენების დროს ინფორმაციის დაცვას ექცევა ყველაზე მთავარი ყურადღება. გლობალურ ქსელებთან კავშირის გარდა, მობილურ ტერმინალებს უნდა ქონდეთ უსადენო კავშირის ინტერფეისი Bluetooth, რომლითაც მომ-

ხმარებლებს მიეცემათ პატარა და საგანგებო მრავალფუნქციონალური ქსელების შექმნის შესაძლებლობა. ასეთი მიკროქსელების მობილური ტერმინალები ლოკალურ გარემოში მოახერხებენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილობასთან (სავაჭრო ავტომატები, სალარო აპარატები და სხვ.) დაკავშირებას, ფიჭური ქსელების გვერდის ავლით. მობილური ციფრული ფულის გამოყენებისათვის სასურველია ტელეფონებში ენერგოდამოუკიდებელი მეხსიერების ჩასმა. ამით, ფაქტობრივად მოიხსნება შესანახი ინფორმაციის მოცულობის შეზღუდვის და ფიზიკური დაცვის პრობლემა.

მსგავსად ინფორმაციის გაცვლის ნებისმიერი სისტემისა, მობილური ციფრული ნაღდი ფულის სისტემაში უნდა ჩაიდოს დაშიფრვის გარკვეული პრინციპი. ასეთ სისტემებში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ორმაგი გასაღების (RSA) ალგორითმზე აგებული დაშიფრვის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ორი მომხმარებლის ციფრული ნაღდი ფულის გაცვლას ანონიმურობის სრული დაცვით.

ციფრული ნაღდი ფულის პოტენციური ნაკლია მობილური აპარატის დაკარგვა. ასეთი სიტუაციიდან გამოსავალია ფიჭური სისტემის ოპერატორის ანგარიშზე გარკვეული ვადით მობილური ფულის ჩარიცხვა ავტომატურად ან იძულებით, რითაც ის უსაფრთხოდ იქნება შენახული მომხმარებლის მოთხოვნამდე.

მობილური ანგარიშსწორების ფინანსური სისტემის მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მობილურ ტრანზაქციაში მონაწილეთა იდენტიფიკა-

ცია. ყველაზე მიღებულ მეთოდად ითვლება ციფრული სერტიფიკატების ინფრასტრუქტურა (PKI). ტრანზაქციის პროცესში მობილური ტერმინალები უკავშირდება PKI ინფრასტრუქტურას ანგარიშსწორების მიმღების ღია გასაღებების დასადგენად, ხოლო შემდგომში ეს უკანასკნელი ამავე სისტემით ახდენს გადამხდელის იდენტიფიცირებას. მობილური ქსელებით კომერციაში ღია გასაღებების ერთდროული და ორმხრივი გამოყენება წარმოადგენს ბიზნესის წარმოების საიმედო გზას.

დასასრულს, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მობილური ციფრული ნაღდი ფული შეასრულებს ჩვეულებრივი ფულის ყველა ფუნქციას: შეიძლება გამოსახულ იქნეს რაღაც ფიზიკურად არარსებული ან ეროვნული ვალუტით, რაც იძლევა მის სათვლელ ერთეულად გამოყენების შესაძლებლობას; ის შეიძლება გახდეს მიმოქცევისა და ანგარიშსწორების ერთიანი საშუალება, რადგან მობილური ტელეფონების პატრონები გამოიყენებენ მას მთელ მსოფლიოში; მობილური ციფრული ნაღდი ფულის, როგორც დაგროვების საშუალების, ღირებულება უზრუნველყოფილია მისი ემიტენტით, ისევე როგორც ჩვეულებრივი ქაღალდის ფულის; მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება გადავადებული ანგარიშსწორებისათვის, რადგან შენახული იქნება მობილური ტერმინალების მეხსიერებაში; ფიჭური ქსელების გავრცელების არეალის საფუძველზე მობილურ ციფრულ ნაღდი ფულს შეეძლება მსოფლიო ფულის ფუნქციის შესრულება.

Mobile payment in the Information Economics

T. Chaligava

The article focuses on the forms of payment on Shortcomings and on the Information Economics and adequate mobile digital payment system. According to the author Mobile Digital Cash Money will perform all the normal functions of money. Can be expressed physically, something missing or in national currency, Which allows the unit to use his counting possibility. It can become a circulation and common means of payment, Because mobile phone users will use them in the whole world. Mobile digital cash as a means of accumulating wealth, cost of is provided Provided by the Issuing , As well as conventional paper money. Its use can be delayed for the Payment. Because will be stored in the memory of the mobile terminals. Cellular networks based on the distribution area Mobile digital will be able to Performance the world cash money function

ეროვნული ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი და ევროინტეგრაცია

უჩა გოგიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკის და ბიზნესის  
ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდან, ეკონომიკური სისტემის საბჭოთა ტიპის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მოდელს, ანუ ტოტალიტარიზმს უარი უთხრა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასა და თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული საბაზრო მოდელის, ანუ ლიბერალიზმის იდეა აირჩია.

თუმცა, თითქმის ორი ათეული წელია, საქართველო როგორც ახალგაზრდა სახელმწიფო, არამარტო ტრანსფორმაციის, არამედ ეროვნული ეკონომიკური წესრიგის სწორი მიმართულების ძიების პროცესშია, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, ლიბერალიზმის მრავალსახეობითაცაა განპირობებული.

ამდენად, მნიშვნელოვანია სწორი, მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა და სწრაფვა ევროპული ფასეულობებისაკენ, ვინაიდან სწორედ ევროკავშირთან დაახლოება და შემდეგ მისი წევრობა არის თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი საგარეო პრიორიტეტი. ამ მხრივ

გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია, კერძოდ, 1992 წელს ევროკავშირმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა აღიარა და დღემდე ამ პოზიციაზეა.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA), რომელსაც 1996 წელს მოეწერა ხელი და ძალაში 1999 წელს შევიდა. იგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სამართლებრივ მექანიზმებს ქმნის ისეთ სფეროებში, როგორცაა: ვაჭრობა, ინვესტიციები, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და საიმპერაციო პოლიტიკა.

2006 წლის 14 ნოემბერს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში (ENP), მიღებულ იქნა ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით ევროკავშირი ადგენს გარკვეულ პირობებს, რომელთა დაკმაყოფილებაც საქართველოს მოეთხოვება მომავალში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თანამშრომლობის თანმიმდევრული განვითარებისათვის.

2009 წლის 7 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და აღმოსავლეთი ევროპის ექვსი მეზობელი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ერთობლივ მცდელობას, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დააჩქარონ ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების პროცესი.

2010 წლის 17 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მო-

ქალაქებისათვის ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ. ამასთან, უახლოეს მომავალში დაგეგმილია მოლაპარაკებების დაწყება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს სავიზო რეჟიმის გაუქმებას და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ყოველმხრივი ხელშეკრულებების დადებას, რაც უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამასთან, შეთანხმება ასოცირების შესახებ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდება.

იმისათვის, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დაისვას, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის (არ ვეხებით საკითხის პოლიტიკურ და იურიდიულ ასპექტებს) მიზანი უნდა გახდეს:

1. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის დადგენილი კრიტერიუმების შესრულებაზე ზრუნვა.
2. საქართველოში ევროპული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბება.

ამასთან, აუცილებელია უფრო მეტი და უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყანასთან და საერთო ევროპულ სტრუქტურებთან.

ევროკავშირის გაფართოების შესაძლებლობა მის ყველა დამფუძნებელ დოკუმენტშია დაფიქსირებული. 1992 წელს მიღებულ მაასტრიხტის ხელშეკრულებაში წერია, რომ წევრობაზე განაცხადის შემოტანა “ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია”. თუმცა, წევრობის კანდიდატი ქვეყნებისადმი სათანადო კრიტერიუმები მხოლოდ 1993 წელს, კოპენჰაგენში იქნა მიღებული, როცა დღის წესრიგში ცენ-

ტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების გაწვევრიანების საკითხი დადგა. ე.წ. “კოპენჰაგენის კრიტერიუმების” მიხედვით აუცილებელია ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სახელმწიფოს გააჩნდეს:

- სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტიას;

- ქმედითი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც ძალა უნდა შესწევდეს გაუძლოს ევროკავშირში არსებულ კონკურენციის და საბაზრო ძალების წნეხს;

- იმ ვალდებულებების აღების უნარი, რომლებიც ევროკავშირის წევრობიდან გამომდინარეობს და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავალუტო კავშირებს ითვალისწინებს.

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით გადაწყდა, რომ “კოპენჰაგენის კრიტერიუმები” ევროკავშირის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები გახდებოდა.

2001 წელს ნიცაში მიღებული ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის 1-ლ აბზაცში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი ეფუძნება თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს (კანონის უზენაესობის) და ძირითადი თავისუფლებების (საქონლის თავისუფალი მოძრაობა, ადამიანების თავისუფალი გადაადგილება, ცხოვრებისა და სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევა, სერვისისა და მომსახურების თავისუფლება, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა) პრინციპებს. იმავე ხელშეკრულების 49-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რომ ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც აღიარებს მე-6 მუხ-

ლის 1-ლი აბზაცით განსაზღვრულ პრინციპებს, შეუძლია განაცხადოს ევროკავშირის წევრობის სურვილი.

სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე მოხდა 2004 წელს ათი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოს (მათ შორის სამი ბალტიისპირეთის სახელმწიფოს), ხოლო მოგვიანებით 2007 წელს, დამატებით კიდევ ორის – ბულგარეთის და რუმინეთის - ევროკავშირში გაწვევრიანება. ამავე კრიტერიუმების გამო ვერ ხერხდება თურქეთის როგორც წევრობის მრავალწლიანი კანდიდატის, განაცხადის დაკმაყოფილება.

“კოპენჰაგენის კრიტერიუმების” მე-2 პუნქტში ხაზგასმულია “ქმედითი საბაზრო ეკონომიკის” ფუნქციონირების აუცილებლობა, რაც გარკვეული ეკონომიკური წესრიგის ფორმირებას გულისხმობს.

ეკონომიკური წესრიგის ცნებაში იგულისხმება ეკონომიკის ორგანიზაციული მოწყობისა და ეკონომიკური პროცესების მსვლელობის და მართვის არსებული წესების ერთობლიობა. ეკონომიკური წესრიგის ამოცანებია: ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური აქტივობების მიზანმიმართულ კოორდინირება და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანები.

ამისთვის, უწინარესად უნდა განისაზღვროს როგორი ტიპის საბაზრო ეკონომიკა გვინდა, ანუ რა დონეზე უნდა ერეოდეს სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ცივილიზებული სამყარო საბაზრო ეკონომიკის ორ ძირითად მოდელს განასხვავებს: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და სოციალური საბაზრო ეკონომიკა.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება კლასიკური ლიბერალიზმის თეორიას, რომლის თვალსაჩინო წარმომად-

გენელი არის ადამ სმითი. ამ თეორიით სახელმწიფო აყალიბებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგად ჩარჩოებს, მაქსიმალურად ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას და თითქმის არ ერევა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში. სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია მეწარმეობის ხელისშეწყობა, ხოლო მოსახლეობის სოციალური დაცვა არ არის სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის არსებობის საუკეთესო მაგალითია აშშ (თუ არ ჩავთვლით ბოლო დროის ფინანსური კრიზისის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ, ბარაკ ობამას ეკონომიკის სტიმულირების პაკეტს და მისივე ინიცირებული ჯანდაცვის რეფორმას).

სოციალური საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება ნეოლიბერალიზმის თეორიას (ჩიკაგოს სკოლა) და ორდოლიბერალურ თეორიას (ფრაიბურგის სკოლა). ამ მოდელით სახელმწიფო აყალიბებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგად ჩარჩოებს, ხელს უწყობს მეწარმეობას, კონკურენციის განვითარებას, ასევე გარკვეულწილად არეგულირებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას, მოსახლეობის სოციალური დაცვა კი სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსგავსი ეკონომიკური წესრიგი ევროპის მრავალ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების თვალსაჩინო მაგალითია გერმანია, რომლის „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ განმსაზღვრელი თეზა ასე უდერს: „So wenig Staat wie möglich, so viel Staat wie nötig“ (“იმდენად ცოტა სახელმწიფო - რაც შეიძლება, იმდენად ბევრი სახ-

ელმწიფო - რამდენიც საჭიროა”). ამ მაგალითიდან გარკვევით ჩანს, რომ სახელმწიფო რეგულირების მოცულობის რაოდენობის განმსაზღვრელი უნივერსალური ფორმულა არ არსებობს. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სასურველია, რომ სახელმწიფოს როლი შეზღუდოს მაქსიმალურად, მაგრამ არა იმდენად, რომ სახელმწიფომ თავისი სოციალური ფუნქციის შესრულება ვერ შეძლოს.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

2009 წლის ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას ე.წ. “ეკონომიკური თავისუფლების აქტი” წარადგინა, რომლის მიხედვითაც საქართველო მსოფლიო ლიბერალური ეკონომიკის ფლაგმანი უნდა გახდეს. “კონსტიტუციური კანონ-პროექტი ეკონომიკური თავისუფლებების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ”, მოიცავს რიგ ახალ ინიციატივას: კერძოდ, უნდა აიკრძალოს უკვე დადგენილი ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის გაზრდა და ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნა. ასევე, სახელმწიფოს აეკრძალება კომერციული ბანკების წილების ფლობა და ნებისმიერი სახეობის პროდუქციისა და მომსახურებაზე ფასის დაწესება, რითაც “საქართველოში მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი ფასების დადგენის თავისუფლება.” აღნიშნული აქტი ასევე გულისხმობს ვალუტის კონვერტაციის შეზღუდვის და ინვესტორის მიერ მიღებული შემოსავლების და კაპიტალის რეპატრიაციის დაუშვებლობას. ამასთან, პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ მომავალში სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი გადასახადის შემოღება და გადასახადის განაკვეთის გაზრდა შესაძლებელი უნდა იყოს “გამონაკლისის სახით”, საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით.

ამდენად, პრეზიდენტის ინიცირებულმა წინადადებათა პაკეტმა კონსტიტუციურად უნდა შეზღუდოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლებლობები გადუხვიოს ღიბერალური ეკონომიკური მმართველობიდან, როგორც არსებული, ასევე მომავალი მთავრობების პირობებში.

პრეზიდენტმა განაცხადა: “ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არაფერი კარგი არ ხდება იქ, სადაც არის სახელმწიფო”. მისივე განცხადებით, “თავისუფლების აქტი” შემდგომში განავითარებს ბიუჯეტის სოციალურ ნაწილს იმ პრინციპის მიხედვით, რომ საბიუჯეტო სახსრები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იმათ დახმარებაზე, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს.

ცხადია, აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, გამოიწვევს ბიზნესის გააქტიურებას, რაც გარკვეულწილად სტიმულს მისცემს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ, ასევე უნდა ითქვას, რომ “თავისუფლების აქტი” წარმოდგენილი სახით ვერ უზრუნველყოფს კონკურენციის განვითარებას და გაზრდის მოსახლეობის სოციალურ უთანასწორობას, რაც ფაქტობრივად დაგვაშორებს ევროპულ იდეალებთან.

ზოგადად, სახელმწიფოს როლის შესწავლის პროცესში უმთავრესია პასუხი გაეცეს ორ კითხვას:

1. როგორია კონკურენციის სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკა?

2. როგორია სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა?

კონკურენციის სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკა განსაკუთრებულ როლს უნდა ანიჭებდეს ანტიმონოპოლიურ, ანტიტრესტულ და ანტიდემპინგურ რეგულირებას, რომლის მთავარი მიზანია კონკურენციული გარემოს ჩამოყალ-

იბება, კონკურენციის დაცვა და სტიმულირება, რაც საბოლოო ანგარიშით გულისხმობს მომხმარებელთა ინტერესების დაცვასაც.

სამწუხაროდ, ვერც „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი და მით უმეტეს, ვერც ახალი - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი, რომელიც ძალაში 2005 წლის 3 ივნისს შევიდა, ვერ უზრუნველყოფს საქართველოში რეალურად ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას ამ სფეროში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ლუქსემბურგში 1996 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებულ იქნა ვალდებულება, რომ ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები და მომხმარებელთა დაცვის საკითხები, ეტაპობრივად ჰარმონიზაციაში მოვიდოდა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირის მიერ გამოთქმულ იქნა მზადყოფნა ამ ვალდებულებების შესრულების საქმეში საქართველოსათვის გაეწია ტექნიკური დახმარება.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმების ეს ნაწილი გამომდინარეობს 1957 წელს რომში მიღებული ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისი მუხლებიდან. ამასთან, ქართული საკონკურენციო სამართლის სრულყოფის პროცესში, ასევე გასათვალისწინებელია ევროკავშირის ისეთი რეგლამენტები, როგორცაა – ევროკავშირის საკონკურენციო სამართლის 1989 წლის რეგლამენტი (მასში 1997 და 2004 წლებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით).

აღნიშნული რეგლამენტით იკრძალება ევროგაერთიანების სივრცეში კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაციები.

ამას გარდა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში ჩადებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რომელიც კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები, როგორც ანტიმონოპოლიური რეგულირების (მათ შორის სარეკლამო საქმიანობის), ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, დღემდე არაა შესრულებული. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის ექსპერტთა მონაწილეობით („ტასისი“, „ჯეპლაკი“) სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჯერ კიდევ 2003 წლის პირველ ნახევარში იქნა მომზადებული და ფართო საზოგადოების წინაშე განსახილველად წარდგენილი ევროკავშირის კანონმდებლობასთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული ახალი ანტიმონოპოლიური კანონის პროექტი. მისი საბოლოო მიღება, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა, რომელსაც, მართალია, პირდაპირ არ ევალებოდა „დაცვის ღონისძიებების შესახებ“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მექანიზმების აღსრულება, მაგრამ ქვეყანაში იმდროისათვის მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად ის ახორციელებდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას ქვეყნის

კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე, ხოლო მისი ლიკვიდაციისა (2005 წლის 19 აგვისტო) და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შემდეგ ამ მიმართულებით (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით) არც ერთი სახელმწიფო ორგანო არ მუშაობს, რაც ფაქტობრივად რეალურ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი წარმოების დაცვას მოძალადეული იმპორტის ფონზე.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ სოციალურ პოლიტიკას, 1990-იანი წლებიდან, როდესაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, ქვეყანაში ვერ გატარდა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული სოციალური პოლიტიკა.

წლების მანძილზე ცენტრალურ სოციალურ პრობლემად სიღარიბის დაძლევა სახელდებოდა, ხოლო სოციალური პოლიტიკის სექტორულ სპექტრში ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის რეფორმირება განიხილებოდა.

2008-2012 წლებში საქართველოს მთავრობის სამოქმედო პროგრამის მიხედვით, მთავრობის ძირითად მიზანს წარმოადგენს “საქართველო სიღარიბის გარეშე”. მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება, ერთი მხრივ, სწრაფი და ფართო ეფექტის მქონე ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ და მეორე მხრივ, სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური სოციალური პროგრამების განხორციელებისაკენ.

ხელისუფლების მიერ შემუშავებული მოსახლეობის სოციალური დაცვის კონცეფციის მთავარი მომენტებია: კანონი ადგენს შემთხვევების გარკვეულ რაოდენობას (საპ-

ენსიო ასაკის მიღწევა, ოჯახის მარჩენალის დაკარგვა და სხვა), როდესაც მოქალაქეს უფლება ეძლევა მიიღოს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი დახმარება სახელმწიფოსგან.

ფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა წარმატების მიღწევის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ცხადია, ეკონომიკური განვითარება კეთილდღეობის საფუძველია, ამით იქმნება მატერიალური დოვლათი და ბუნებრივია, რომ მას უდაოდ დადებითი ზეგავლენა გააჩნია სოციალურ კეთილდღეობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არ არის სოციალური დაცვის გარანტი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მთავარი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მიიღწევა საინვესტიციო კლიმატის და კონკურენციული პირობების გაუმჯობესების, პრივატიზებისა და დერეგულირების, ბიუროკრატის შემცირების გზით. ამასთან, სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანთა სოციალურ დაცვას, რაც გამოიხატება: დასაქმებულთა უფლებების დაცვაში, სამუშაოს არმქონეთა, ანუ დროებით უმუშევართა შემწეობების გაცემაში, მათთვის გარანტირებულ ჯანმრთელობის დაზღვევაში და დახმარებაში შესაფერისი სამუშაოს მოძებნაში, ინვალიდთა და შრომისუნაროთა სოციალურ რეაბილიტაციაში, პენსიონერთათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაში.

თანამედროვე მსოფლიოს ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს ეკონომიკური წესრიგი წარმოადგენს წმინდალიბერალური შეხედულებებისა და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული მიდგომების გარკვეულ ბალანსს.

დაბოლოს, კვლავაც საზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ არჩევანი დგას ულტრალიბერალური თავისუფალი საბაზრო ეკონომიკასა და ევროპული ტიპის სოციალური საბაზრო ეკონომიკას შორის. მიგვაჩნია, რომ სწორი არჩევანის გაკეთებაში ქვეყნის საგარეო პრიორიტეტიც უნდა გაითვალისწინოთ. აქედან გამომდინარე უნდა შევეცადოთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სოციალური სისტემა ისე მოვაწყოთ, რომ მიზანს მივუახლოვდეთ და არა პირიქით.

აღნიშნულის დასტურად, აქვე მოვიყვან ვეროკავშირის გაფართოების საკითხებში ევროკომისრის შტეფან ფულეს 2010 წლის 12 მაისის განცხადებას. მან, ერთი მხრივ, დადებითად შეაფასა ის მიღწევები, რაც საქართველოს გააჩნია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული “ულტრალიბერალურ ეკონომიკურ გარემოსთან” დაკავშირებული ზოგიერთი იდეა, ევროკავშირ-საქართველოს მომავალი პარტნიორობის ძირითად პრინციპებთან წინააღმდეგობაშია.

The Process of Formation of National Economic Order and Euro Integration

U. Gogishvili

On transitional stage it is very important to work out purposeful economical policy, including geostrategic location of Georgia and striving for European values. As one of the principal foreign priorities of Georgia is to gain close relationship with European Union and its membership.

For moving out the issue of membership of Georgia in European Union, the goal of national economical policy should be the following:

1. Formation of economical order in Georgia typical for European countries;
2. To follow the criteria established for the membership of the European Union.

Thereby, it is necessary to establish more and more close trade-economical relations in various member-countries of the European Union and common European structures.

Within social market economy, main goal of the state is to create working places, which is reached by improving investment climate and competition conditions, privatization and deregulation and decreasing of bureaucracy. Thereby, state pays special attention to social protection of people, which means: protecting of employees' rights, financial aids for unemployed i.e. temporarily unemployed persons, guaranteed health insurance for them and assisting in finding proper jobs, social rehabilitation of disabled and incapable persons, guaranteeing adequate conditions for pensioners.

So, in formation of National Economic Order the state role is determined as principal and correspondingly we must answer the following three questions:

- How should the state support competition?
- What kind of state social politics should be?
- What is their correlation?

And finally, the choice should be made and it should be made as soon as possible: ultra liberal free market economy or European type social market economy? While making the right choice we must consider foreign priority of the country. So, we should try to arrange country's political, legal, economical and social system as to reach goal but not vice versa.



**ეკატერინე მუხანწიშვილი**  
**თსუ ასისტენტ-პროფესორი**

თანამედროვე პერიოდში ეკონომიკის ტრანსფორმაცია გულისხმობს საბაზრო ეკონომიკისკენ სწრაფვას. სახელმწიფოს როლი ტრანსფორმაციის პროცესში, ბაზრის ჩამოყალიბებასა და რეგულირებაში არაერთგვაროვანია. ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის რეგულირება ხდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში ჩარევის გზით. ამგვარ ჩარევას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ფორმები და სახელები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მოითხოვს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის ისეთი ინსტრუმენტარის გამოყენებას, როგორცაა ეფექტიანი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ეკონომიკის სფეროების სახელმწიფო რეგულირება მრავალფეროვანია თავისი ფორმების, განხორციელების მეთოდებისა და მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ამა თუ იმ პერიოდთან მისადაგების მიხედვით. რეგულირების პროცესთა ამგვარი სახესხვაობა იძლევა ერთმანეთისგან განსხვავებულ ეფექტებს,

რომლებსაც, ბუნებრივია, თან ახლავს ადეკვატური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ცნობილია, რომ ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნის სახელმწიფო მართვის რეალური შედეგი ხშირად უპირისპირდება სავარაუდოს და წარმოადგენს მოსალოდნელისაგან დიამეტრულად განსხვავებულს. ასე, მაგალითად, ეკონომიკის მოსალოდნელი სტაბილიზაციის მაგივრად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოების განმეორებადი დაცემის ფაქტებს, რეალური სექტორის წახალისების მაგივრად – მისი ფუნქციონირების შეფერხებას, სამამულო მწარმოებლების საბაჟო დონისძიებების დახმარებით დაცვის მაგივრად – ნედლეულის უზომოდ გატანას საზღვარგარეთ და ა. შ.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის განსაზღვრისას საჭიროა: პირველი, შემოწმდეს მიღებული შედეგების შესაბამისობა დასმულ სოციალურ-ეკონომიკურ მიზანთან და შეფასდეს ასეთი შესაბამისობის ხარისხი; მეორე, მოხდეს დასახული მიზნის მისაღწევად მოსალოდნელი ხარჯების მინიმიზება. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის ამაღლება.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების უმეტესობის გამოყენების პროცესი წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ტრანსფორმირებადი ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არსებული სოციალური მემკვიდრეობა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდების შერჩევის პროცესს თან ახლავს სხვადასხვა სახეობის შეზღუდვა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ქვეყნის ეკონომიკის მარეგულირებელმა ორგანომ ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად გარკვევით უნდა ჩამოაყალიბოს მიზანი, რომლის მიღწევასაც ისწრაფვის. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზანთა სიმრავლეს შეესაბამება მიზნის ფუნქციათა ერთობლიობა. ამ უკანასკნელის მათემატიკური განსაზღვრა არის რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესი და დაკავშირებულია პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავებასთან. ასეთი განსაზღვრის დროს, მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს თუ არაშესაბამის ფუნქციებში ასახულ მიზანთა ერთდროულ მიღწევას. ამასთან, ისიც უნდა გაირკვეს ყველა მიზნის მიღწევისადმი ერთდროულად სწრაფვას აჯობებს თუ არა მათი პრიორიტეტული რანჟირება და მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით განხორციელება. ეს საკითხი ნამდვილად რთული გადასაწყვეტია. მიზნის ფუნქციის ფორმირება წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ეკონომიკის სფეროს სახელმწიფო რეგულირების მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ მიზნის ფუნქციების ფორმირება ყველაზე უფრო გონივრულია უპირატესობის გათვალისწინების, ე.ი. პირველხარისხოვანი მნიშვნელოვნების მიზნების გამოყოფის საფუძველზე. საკითხის ამგვარად დასმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტრანსფორმირებადი ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების პირობებში. ეს უმთავრესად განპირობებულია იმით, რომ ჯერ ერთი, ასეთ ქვეყნებში მიზნის ფუნქციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფაქ-

ტორები, რომლებიც განპირობებულია შექმნილი ვითარებით და მიმდინარე პროცესებით ჩამოყალიბებული ფაქტორები. მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ამ ქვეყნებში ამჟამად წარმოებს დრმა სისტემური ცვლილებების პირობებში, რომლებიც მოიცავს ინსტრუმენტალურ და სტრუქტურულ გარდაქმნებს, აგრეთვე ეკონომიკის ლიბერალიზაციის მცდელობებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ასეთი ქვეყნების მთავრობებს, ნაცვლად ეფექტიანი ხანგრძლივადიანი სტრატეგიის შემუშავებისა, იმაზე ზრუნვა უხდებათ, რომ არამდგრადი ეკონომიკის პირობებში დროულად მოასწრონ რეაგირება უახლოესი პრობლემების სიმძაფრით წარმოქმნილ მოსალოდნელ შედეგებზე. ამასთან, როცა პრობლემა ბევრია, ხელისუფლება იძულებული ხდება ეკონომიკური პოლიტიკა ააგოს რიგითობის პრინციპის გამოყენების საფუძველზე.

მეორე, სახელმწიფოს მარეგულირებელი პოტენციალი ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ამიტომ, რამდენიმე მასშტაბური მიზნის მოთხოვნების ერთდროულად რეალიზაციისათვის მთავრობას შეიძლება არ ეყოს საშუალებები და ინსტრუმენტები. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ცნობილი ეკონომისტის ი. ტიმბერგენის აზრი (იმის შესახებ, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისას, მიზნების რაოდენობა არასდროს უნდა აღემატებოდეს სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების მარაგს (ეს თეორია ცნობილია, როგორც ი. ტიმბერგენის უტოლობა).<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო რეგულირების გამოცდილების დაგროვე-

<sup>1</sup> Tinbergen Jan. income Distribution: Analysis and Policies. Amsterdam, 1995, p 35-36.

ბის შედეგად მიზნის ფუნქციის განზომილება თანდათან მცირდებოდა. XX საუკუნის 50-60-იან წლებში, მიზნის ფუნქცია რვა ელემენტს მოიცავდა: სახელმწიფო ხარჯების მოცულობას, რეალური ხელფასის ცვლილების ტემპს, დასაქმების დონეს, შემოსავლების განაწილების ინდიკატორს, ინვესტიციებს, ერთობლივ მოთხოვნას, წარმოების დონეს, საგადასახდელო ბალანსის სალდოს. XX საუკუნის 70-იან წლებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნის ფუნქცია მოიცავდა მხოლოდ ოთხ მიზანს: სრული დასაქმების მიღწევას, ფასების სტაბილურობას, სახადასახდელო ბალანსის უმართავი დეფიციტის არარსებობას, ეკონომიკური განვითარების მყარ დონეს. ამჟამად მსოფლიოს განვითარებული ბევრი სახელმწიფო იზღუდება ორი ისეთი სტრატეგიული ამოცანის დასმითა და გადაწყვეტით, როგორცაა მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და უმართავ ინფლაციასთან ბრძოლა. მიზნის ფუნქციაში შემავალი მიზნების რაოდენობის შემცირებით სახელმწიფოებს გაეზარდათ ქმედითობის უნარი და გაუადვილდათ ეკონომიკის რეგულირება.

მესამე, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შეზღუდვა და პრიორიტეტების რანჟირება დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რეგულატორების უმრავლესობა წინააღმდეგობრივ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. მაგალითად, ძნელია მოიძებნოს ეკონომიკური ინსტრუმენტები და განისაზღვროს მათი ისეთი კომბინაცია, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ინფლაციური პროცესების სტაბილიზაციისაკენ მიმართული ზომების შედეგად არ გამოიწვევს სიტუაციის გაუარესებას შრომის ბაზარზე (განსაკუთრებით მოკლევად-

დიან პერიოდში). გარდა ამისა, ინფლაციის დამამუხრუჭებელი და ადაპტური მოლოდინის ჩამქრობი (შემზღუდავი) პოლიტიკა იმავედროულად იწვევს პროცენტული განაკვეთების გადიდებას (რაც მთავრდება წარმოების ზრდის შენელებით) და პირიქით, სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური დახმარებებისათვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა, ერთი მხრივ, აადვილებს მდგომარეობას სამუშაო ძალის ბაზარზე, მეორე მხრივ, იგი იწვევს ინფლაციური ზეწოლის ზრდას. ასეთ პირობებში კი მიზანშეწონილია განისაზღვროს უპირატესობა და მის შესაბამისად არჩეულ იქნეს ერთი რომელიმე პრობლემური საკითხი (მაგალითად, ინფლაცია) და მთელი ძალისხმევა მოხმარდეს მის გადაწყვეტას. ამასთან, აუცილებელია გატარდეს ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას, რათა ანტიინფლაციური რეგულირების ნეგატიური შედეგები რაც შეიძლება სუსტად იგრძნობოდეს შრომის ბაზარზე.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში ევქტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების არამარტო მიზნები და ზემოქმედების ხარისხი, არამედ მისი სისწრაფეც. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენება, როგორც წესი, პირდაპირ არ ზემოქმედებს მიზნის მიღწევაზე. ამგვარ ინსტრუმენტებს, მათ გამოყენებას და მიზნის მიღწევას შორის არის მთლიანი ეკონომიკური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს თავისი კანონების მიხედვით. მაგალითად, ფასები დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებაზე, წარმოების ხარ-

ჯებზე, კონკურენტულ რეჟიმსა და მრავალ ისეთ სხვა ფაქტორზე, რომელთა შორის ფულად პოლიტიკას არ ეკუთვნის მთავარი როლი. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების ობიექტს, გააჩნია გარკვეული ინერტულობა.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის რეალიზაცია მოითხოვს რესურსების და დროის დანახარჯებს. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფოებრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმისა და მეთოდების გამოყენებისას წარმოიქმნება ე.წ. „დაყოვნების ეფექტი“. მაგალითად, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად-საკრედიტო ან ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები განვითარებაზე ზემოქმედებას ახდენს არა მყისიერად, არამედ დროის გარკვეული პერიოდის ანუ შუალედის (ე.წ. ლაგის) გავლის შემდეგ. ამასთან, ეს შუალედი, მისი ხანგრძლივობის მიხედვით, შეიძლება იყოს განსხვავებული. ამ შუალედის ხანგრძლივობის სწორად შეფასება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ორგანიზაციის დროს. აუცილებელია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ალბათური და სასურველი შედეგი, ასევე, მის მისაღწევად საჭირო დრო, ყოველთვის წინასწარ იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად, ანტიინფლაციური პროგრამის შემუშავებისას საჭიროა წინასწარ (ჯერ კიდევ დაგეგმვის სტადიაზე) იქნეს გათვალისწინებული არამარტო ის, თუ როგორ „იმუშავებს“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები, არამედ ისიც, თუ შედეგის მიღება როდის არის მოსალოდნელი.

ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დროის ფაქტორის შეფასების

საკითხი ეკონომიკური თეორიის ყველაზე რთული პრობლემაა. ლაგური სტრუქტურის გათვლისა და აღრიცხვის პრაქტიკული მნიშვნელობა არ შეიძლება შეფასდეს გადაჭარბებულად.

საქართველოში ჩატარებული ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის ეკონომიკური გამოკვლევების არასაკმარისმა გამოყენებამ, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებისადმი გავრცელებულმა მიდრეკილებამ, იდეოლოგიური სტერეოტიპების გამოდევნებამ და ა.შ. გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი რეგულირების პრობლემის შემეცნების ლაგის ხანგრძლივობის არსებითად გაზრდა და არასახარბიელო შედეგები, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მიმართულებით.

ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს აუცილებელია, ე.წ. მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინება. ამ უკანასკნელში იგულისხმება ეკონომიკაში ისეთი გადამცემი მექანიზმების არსებობა, რომლის ზემოქმედებითაც საბოლოო შედეგი მრავალჯერადად ფარავს რომელიმე რგოლის განხორციელებულ პირველსაწყის ქმედებას („იმპულს“) და, თავისი არსით, განასახიერებს რეგულირების ობიექტის ყველა სტრუქტურულ ელემენტს შორის არსებული ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის ხარისხს. ასე, მაგალითად, სამეურნეო სფეროში წარმოქმნილი ცალკეული დისპროპორცია, რაც გამოწვეულია ბაზრის ნეგატიური მხარეების ან ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მიღებული არასწორი გადაწყვეტილებებით, მულტიპლიკატორის ეფექტის ზემოქმედების შედეგად, შეიძლება მნიშვნელოვნად გადიდდეს. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ

ეკონომიკურ სისტემაში თავდაპირველად დაფიქსირებული მცირე და საშუალო დონის შეფერხებები და შეცდომები, მულტიპლიკატორის ეფექტის ზეგავლენით, შეიძლება საგრძნობლად გაიზარდოს. ცხადია, რომ ასეთი ეფექტი გარკვეულ პირობებში შეიძლება გადაიქცეს დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორად.

მულტიპლიკაციური ეფექტის შეფასების საკითხებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დროის ფაქტორს. ამჟამად სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება მრავალრიცხოვანი გამოკვლევა<sup>1</sup>, რომლებიც ეძღვნება დროის ფაქტორების მულტიპლიკატორთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას. ამგვარი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ეკონომიკაში შესაძლებელია მულტიპლიკატორის სიმძლავრის დროში განაწილების განსხვავებული ვარიანტების არსებობა.

ეკონომიკის სფეროს სახელმწიფო რეგულირების მულტიპლიკაციური ეფექტი მოკლე და ხანგრძლივვადიან პერიოდებში განსხვავებულია. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები, როგორც წესი, მოქმედებას განაგრძობს მიზნის მიღწევის შემდეგაც, თუმცა, ამ ქმედებას საწყისის ქმედების საწინააღმდეგო მიმართულება გააჩნია. მაგალითად, ცნობილია, რომ ბიუჯეტური ექსპანსიით ეკონომიკური განვითარების სტიმულირება გრძელვადიან პერიოდში ნეგატიურ ინფლაციურ შედეგს იძლევა და მულტიპლიკატორის ეფექტის ზემოქმედებით იწვევს ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭებას. ამიტომ, გარკვეული რეგულატორის გამოყენების შემდეგ მიღებული და დროში განაწილებული დადებითი ეფექტი

<sup>1</sup> Макроэкономика. Под ред. Зеньковой Л. Минск, «Новое Знание», 2002.

ტი აუცილებლად უნდა აჭარბებდეს უარყოფითი შედეგების მთლიან სიდიდეს.

ეკონომიკის რეგულირების დროს, მთავრობის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევამ, შეიძლება მოითხოვოს ფულადი და საბიუჯეტო რეგულატორების ურთიერთშენაცვლებითი გამოყენება. ამ დროს ყველაფერს განსაზღვრავს ის, თუ როგორი რელური სიტუაცია შეიქმნება და რამდენად განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან მიზნის მიმდინარე და სასურველი დონეები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიზნების პრიორიტეტულობის საკითხიც.

ეკონომიკის სფეროს სახელმწიფო რეგულირების დიდი გამოცდილება გააჩნია მსოფლიოს რიგ განვითარებულ ქვეყნას, რომლებმაც სწორედ ამ გზით მიაღწიეს სათანადო წარმატებებს. მათი გამოცდილების გაცნობა კი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო რეგულირების დროს ისეთი ინსტრუმენტებით მანიპულირება, როგორცაა გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები და სხვა, უნდა ჩაითვალოს შედარებით უხეშ მეთოდებად. ამიტომ, ამ ინსტრუმენტების ხშირად გამოყენება ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს სინამდვილეში, სადაც დინამიკურად განვითარებად გარემოში ერთდროულად წარმოიქმნება ერთმანეთისაგან განსხვავებული ლოკალური პრობლემები, არ იქნება ეფექტიანი. აუცილებელია ისეთი განსაკუთრებული მექანიზმების შემუშავება და გამოყენება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ეფექტიანი რეაგირება ეკონომიკაში ამჟამად მიმდინარე შიგა და გარე ცვლილებებზე და რომლებიც ადაპტური ან პრევენციული ზომების მიღებისათვის საჭირო დროის მოგების საშუალებას მისცემს ხელისუფლებას.

ზემოთ განხილული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება უნდა განვიხილოთ სისტემის სახით, რომლის შემადგენელი ელემენტებია მიზნები, მეთოდები, ინსტრუმენტები, მულტიპლიკატორები და ა.შ. ამასთან, რაც უფრო წარმატებით ხორციელდება სისტემის აღნიშნული ელემენტების შეერთების პროცესი და რაც უფრო მეტად შეესაბამება მისი სტრუქტურა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ეკონომიკურ გარემოს, მით უფრო ეფექტიანად წყდება ბაზრისათვის მიუწვდომელი სოციალ-ეკონომიკური პრობლემები.

ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას გააჩნია თანამდევი ნეგატიური ეფექტებიც. კერძოდ, ამგვარი ჩარევის შედეგად წარმოიქმნება ე.წ. „სახელმწიფო წუნი“ („სახელმწიფო დეფექტი“). სახელმწიფო წუნის ცნებაში ეკონომიკურ ლიტერატურაში<sup>1</sup> გულისხმობენ მის უუნარობას უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი განაწილება და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისობა სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებულ წარმოდგენებთან. ეკონომიკის რეგულირების მიზნით, ხშირად დგება სამთავრობო პროგრამები, რომლებიც არა თუ ასწორებს ბაზრის „დეფექტებს“, არამედ განაპირობებს რესურსების არაეფექტიან განაწილებას და შემოსავლების უთანაბრობის დონის ამაღლებას. ეს კი სახელმწიფო წუნის ნეგატიურ შედეგებზე მიანიშნებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო წუნის არსებობა თავისთავად არ ვარაუდობს ცალსახა არჩევანს საბაზრო ურთიერთობების შეუზღუდავი მოქმედების სასარგებლოდ. საბაზრო ურთიერთობების გარკვეული

<sup>1</sup> Роль государства в становлении и регулировании рыночной экономики. Москва, «ИЭРАН», 1997, с. 23-24.

ზომით შეზღუდვა და ხელოვნური დარეგულირება აუცილებელია, რადგან, როგორც ცნობილია, არსებობს, ე. წ. „ბაზრის დეფექტები“.

**THE PARTICULARITIES OF STATE REGULATION OF ECONOMY IN THE COUNTRIES OF TRANSITIONAL ECONOMY**

*E. Mekantsishvili*

Regulation of any countries (including transitional economy countries) economy occurs by means of state intervention has its own forms and limits.

The countries in transitional economy area (including Georgia) in the process of working out the economic policy it is necessary to define clearly desirable results of political decision and expected joint effects. It is also necessary to estimate the justification of expenses to achieve such results and the possibility of their decrease. At the same time, the basis for state regulation of economic sphere in a transitional economy countries should be the system consisting of such elements, as goals, methods, mechanisms, multipliers. Such approach to state regulation of the economy would create a theoretical platform and conception of efficient economic policy formation in the country, would adequately define real possibilities to avoid negative results of market defects and state flaws.



**სოლომონ პაპლიაშვილი**  
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**  
**სრული პროფესორი,**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

სახელმწიფო საწარმოთა მართვა ხასიათდება როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე (მაკროეკონომიკური დონე), ასევე ზოგადად საწარმოთა ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მიკროეკონომიკური დონე) ზემოქმედი პრობლემებით. მაკროეკონომიკურს მიეკუთვნება: ინვესტიციების განხორციელების დაბალი დონე; საბანკო კრედიტების მაღალი განაკვეთი; საგადასახადო სისტემის არასაკმარისი ეფექტიანობა; ბიუროკრატია და პროტექციონიზმი; სამთავრობო აპარატის საქმიანობის დაბალი ეფექტიანობა; ენერგორესურსების ფასების მაღალი დონე; გამოკვლევებისა და დამუშავების დაბალი დონე; მატერიალური რესურსების დეფიციტი და სხვა. მიკროეკონომიკურ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს: მოძველებული საწარმოები და მოწყობილობა; მენეჯმენტისა და მარკეტინგის დაბალი დონე; ორიენტაცია მიმდინარე მიზნებზე; პროგრესული ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციის უგულვებელყოფა; არასაკმარისი ყურადღება ხარისხისადმი; პერსონალის მომზადების დაბალი დონე; შრომის სუსტი სტიმულირება და სხვა. ამ ჩამონათვალში შედის როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები.

როგორც საქართველოს, ასევე სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საწარმოს ზარალიანობა ხშირად მენეჯმენტის მიერ ხელოვნურად ინიცირდება პასიურობით, ეფექტიანობისადმი უყურადღებობით და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა 2002 წლის (პრივატიზების ახალი ეტაპის დაწყებამდე) ანგარიშების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: ეს წელი მოგებით დაამთავრა 121 საწარმომ. წმინდა მოგების მთლიანმა თანხამ 72,8 მლნ ლარი შეადგინა, ზარალით დაამთავრა 137 საწარმომ, ზარალის მთლიანმა თანხამ კი 25,4 მლნ ლარი შეადგინა. 8 საწარმოს ბალანსით ნაჩვენები ჰქონდა ნეიტრალური შედეგი, ხოლო 36

საწარმო ვერ ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიზეზის გამო. მაშასადამე, ზარალიანი და უმოქმედო საწარმოების რიცხვმა 57% შეადგინა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და გამოუყენებელ რეზერვებსა და საწარმოების რესტრუქტურისაციის აუცილებლობაზე მიუთითებს. ამჟამინდელი მდგომარეობა თითქმის იდენტურია, ანუ 1400 საწარმოდან მხოლოდ 317 არის მომგებიანი, 163 – ზარალიანი. ამ მიმართულებით მკვეთრი გაუმჯობესება არ იგრძნობა და ზოგ შემთხვევაში შეიძლება მდგომარეობა გაუარესებულიც არის<sup>1</sup>.

2002 წელს, უწყებრივი სამინისტროებიდან სახელმწიფო საწარმოების მართვის ფუნქციის დაბრუნება ქონების მართვის სამინისტროსთვის, ძალზე წინააღმდეგობრივი პროცესი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქონების მართვის სამინისტროს კანონით უშუალოდ ევალებოდა სახელმწიფო ქონების მართვა, ფლობა და განკარგვა.

უწყებრივი ინტერესები იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ საკითხს ორი - სამის გარდა არცერთი სამინისტრო არ უჭერდა მხარს. საწარმოთა მართვის თვალსაზრისით, სამინისტროები უშუალოდ ერეოდნენ ამ საწარმოების სამეურნეო საქმიანობაში, ნიშნავდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და დირექტორებს, რომელთაც ხშირად საწარმოების ეფექტიანად ფუნქციონირების არავითარი ინიციატივა და ინტერესი არ გააჩნდათ საწარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ისინი თავს თვლიდნენ ამ საწარმოების ბატონპატრონად და მათი თანამდებობა აღქმული იყო, როგორც მხოლოდ თბილი ადგილი“. ყოველივე აღნიშნული ხელს უშლიდა ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესების დაწყებას, საწარმოთა რესტრუქტურისაციას, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას, გაკოტრების მექანიზმების ამუშავებას, ინვესტიციების მოზიდვას და სხვა. დასამალი არ არის, რომ ეს განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული ქაოსით, კლანური მმართველობითა და იმდროინდელი ხელისუფლების უსუსურობით. ეს პრობლემა გარკვეულწილად დღესაც არსებობს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად ინიშნებიან სრულიად არაპროფესიონალი ადამიანები. დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ხდებიან საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრები, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, არავითარი სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნიათ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უნდა იყოს საწარმოში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი. ამიტომ, დაუშვებელია მისი უშუალოდ აღმასრულებელი დირექციის ფუნქციებში ჩარევა ან პასიურობა და დირექციის

<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სტატისტიკური მასალები.

ზეგავლენაში მოქცევა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან კარგად ერკვეოდნენ არამარტო მოქმედ კანონმდებლობაში, არამედ აგრეთვე საწარმოებისა და დარგის პრობლემებში, სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგიასა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გაკეთდა სახელმწიფო ქონების მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ეს იყო ის რეფორმები, რომელიც განხორციელდა სახელმწიფო ენერგეტიკული საწარმოების მართვის სფეროში ჯერ კიდევ 2000-2003 წლებში. ამ რეფორმებმა ხელი შეუწყო პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას და აღნიშნული ობიექტებით უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას. აღნიშნული რეფორმებით გამსხვილდა ენერგეტიკული ობიექტები და სამართავად გადაეცა უცხოელ ინვესტორებს. კერძოდ, ჯერ კიდევ 2000 წელს, საქართველოს ენერგეტიკული ბაზარი 5 წლიანი მართვის უფლებით ესპანურ კომპანია „იბერდროლა“-ს გადაეცა. მოგვიანებით, სახელმწიფო კომპანიების შპს „ელექტროლისპეტრინიზაცია 2000“-ის და სს „ელექტროგადაცემის“ გაერთიანების შედეგად შეიქმნა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. 2003 წლის მარტიდან, ეს კომპანია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სამართავად 5 წლიანი ვადით ირლანდიურ კომპანია „ESBI“-ს გადასცა. ირლანდიური კომპანია ინტენსიურად თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციებთან – მსოფლიო ბანკთან და გერმანულ ბანკ „KFW“-სთან. კომპანიაში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოწვეულნი იყვნენ კომპანია „SIENS“-ის სპეციალისტები, რამაც ხელი შეუწყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ენერგო სისტემის მართვის სრულყოფას. საყურადღებოა, რომ დანაკარგების პიკური მაჩვენებელი 2007 წლისთვის უკვე 4%-ზე ნაკლები იყო.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო რაიონული და რეგიონული ენერგოსადისტრუბუციო კომპანიების გაერთიანება 2001-2002 წლებში. მათი გაერთიანება იმ დროისთვის საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო, ვინაიდან ადგილობრივი დისტრუბუციები, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის, მერებისა და გუბერნატორების გავლენის სფეროებს. მოშლილი იყო აღრიცხვიანობა, მენეჯმენტი – ძალიან სუსტი, შესაბამისად, დაბალი იყო გადასახადების ამოღება, ენერგომომხმარებელი არ იყო უზრუნველყოფილი საბითუმო, კომუნალური და ინდივიდუალური მრიცხველებით. დიდი იყო ურნ გადამხდელთა წილი, მაღალი იყო დანაკარგები, მასობრივი ხასიათი ჰქონდა დატაცების შემთხვევას. აღნიშნული გარემო აწყობდა როგორც მიმწოდებელს, ასევე მომხ-

მარტებელს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში გადასახადების გადახდა ხდებოდა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, კორუფციული გარიგების გზით.

სადისტრიბუციო კომპანიებს უზარმაზარი ვალები დაუგროვდა, რაც იმდროინდელი პოტენციური ინვესტორებისათვის (მყიდველებისათვის) ყოველად არამიმზიდველი, არარენტაბელური იყო. საბოლოოდ, 2002 წელს ხელისუფლებამ შეძლო იმერეთის, ქვემო ქართლის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის სადისტრიბუციო კომპანიების გაერთიანების საფუძველზე, „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ შექმნა. აღნიშნული კომპანიის მძიმე ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა თავისთავად ხელს უშლიდა და არამიმზიდველს ხდიდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ჰიდროელექტროსადგურებს, რომლებიც ძირითადად იმერეთის რეგიონში იყო განთავსებული („ლაჯანურჰესი“, „რიონჰესი“, „აწი“, „გუმბათჰესი“, „შაორი“, „ძველურა“). მიუხედავად იმისა, რომ 2002-2003 წლებში ბევრი უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორი დაინტერესებული იყო მხოლოდ აღნიშნული ელექტროსადგურების შესყიდვით სადისტრიბუციო კომპანიის გარეშე, სახელმწიფომ დონორ ორგანიზაციებთან ერთად, თავი შეიკავა მათ პრივატიზებაზე (როგორც შემდგომში გამოჩნდა, ეს გადაწყვეტილება ქვეყნისთვის ძალზე მომგებიანი იყო).

ამ სფეროში მართვისა და პრივატიზების ძირითადი სტრატეგია 2001-2003 წლებში შემდგომი იყო:

- \* ჯერ უნდა გაუმჯობესებულიყო სადისტრიბუციო კომპანიის მენეჯმენტი;
- \* მოგვარებულიყო ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდება მომხმარებელზე;
- \* გაზრდილიყო მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების მაჩვენებელი;
- \* მოწესრიგებულიყო აღრიცხვიანობა;
- \* მომხდარიყო ვალების რესტრუქტურისაცია და ნაწილობრივი დაფარვა და ა.შ.<sup>1</sup>

ყოველივე ეს კი გულისხმობდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის დროულად ამოღებას და ელექტროსადგურების სრული დატვირთვით ამუშავებას. ეს საგრძნობლად გაზრდიდა მათ საპრივატიზაციო ღირებულებას, რისი გაკეთებაც ადგილობრივი მენეჯმენტს ძალზე გაუჭირდებოდა. სწორედ ამ მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, ენერჯეტიკის სამინისტროსთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება და „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“ 2003 წლის მაისში, „USAID“-ის დაფინანსებით, ამერიკულ კომპანია „PA CONSULTING GROUP“-ს 18 თვიანი ვადით გადასცა. 2004 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ორი წლით გააგრძელა აღნიშნული კონტრაქტი.

<sup>1</sup> კავლიაშვილი ს. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში, გამომცემი ტექნიკური უნივერსიტეტი; თბ; 2009წ, გვ-117.

ტროსთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება და „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“ 2003 წლის მაისში, „USAID“-ის დაფინანსებით, ამერიკულ კომპანია „PA CONSULTING GROUP“-ს 18 თვიანი ვადით გადასცა. 2004 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ორი წლით გააგრძელა აღნიშნული კონტრაქტი.

„PA CONSULTING GROUP“-ის მუშაობის შედეგად, დროის მცირე მონაკვეთში, ელექტროენერჯიაზე ამოღებული გადასახადები საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ, 2004 წლის ბოლოს - 20%-დან, 2006 წლის დეკემბრისთვის - 85%-მდე.

ყოველივე ამან კი, შემდგომ პერიოდში ქვეყნის ახალ ხელისუფლებას სამი სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის და ექვსი ჰიდროელექტროსადგურის მაღალი ფას პრივატიზების საშუალება მისცა (300 მლნ-მდე დოლარის განსახორციელებელი ინვესტიციების ჩათვლით).

საწარმოთა დავალიანების წარმოშობის მიხეზი, ხშირად, საწარმოთა სუსტი მენეჯმენტი, ქაოსი და ხელისუფლების უსუსურობა იყო. ბევრჯერ სახელმწიფო საწარმოში დაქირავებული დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეების აზრი აღიქმებოდა როგორც შრომითი კოლექტივის აზრი, რაც ყოველთვის ამ ხელმძღვანელების პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობდა და არავითარი სახელმწიფოებრივი ხედვა აქ არ იგრძნობოდა. ხდებოდა ამ კოლექტივების გამოყენება პირადი მიზნებისთვის. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს 123 მლნ დოლარის საკრედიტო დავალიანება ჰქონდა, მათ შორის 60 მლნ – სახელმწიფო ბიუჯეტის. ასეთ სიტუაციაში, 2001-2003 წლებში მეტალურგიული კომბინატის ადგილობრივი მენეჯმენტის გაუგებარი წინააღმდეგობის გამო, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მსოფლიოში უდიდეს თურქულ კომპანია „ჩუქუროვა ჰოლდინგთან“ 100 მილიონიანი საინვესტიციო კონტრაქტის გაფორმება (რასაც თან ერთვოდა პოპულისტური, მართვადი გამოსვლები თურქული ინვესტიციების წინააღმდეგ), როცა ქართული მხარე აღნიშნულ საკითხზე თურქეთის სახელმწიფოსთან მართვადი მოლაპარაკებას და შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაშინ საწარმოს ხელმძღვანელობამ საეჭვო რეპუტაციის მქონე იტალიურ კომპანიასთან - „არეს ინტერნეიშენელი“ დაიწყო თანამშრომლობა, რომელსაც საერთოდ შეხება არ ჰქონდა მეტალურგიულ წარმოებასთან და მხოლოდ ჯართის ექსპორტით იყო დაკავებული საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მას 2004 წელს რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილებით აკრძალა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში საქმიანობა.

ასევე ხელისუფლების უსუსურობის შედეგი იყო ის, რომ ზოგიერთი კერძო სატელეკომუნიკაციო საშუალების მფლობელების ინტრიგებ-

ის, მათ მიერ ქართულ მედიაში გაკეთებული ტენდენციური, დაკეოთილი სიუჟეტების გამო ვერ მოხერხდა საქართველოს „ელექტროკავშირის“ პრივატიზება. როდესაც 2002 წელს მსხვილი ნორვეგიული კომპანია „ტელენორი“ აპირებდა „ელექტროკავშირში“ მენეჯმენტის განხორციელებას და საპრივატიზაციოდ მის მომზადებას, ამ სერიოზული კომპანიის შემოყვანას ხელი შეუშალეს იმათ, ვისი კერძო ინტერესებიც უშუალოდ იყო მიბმული „ელექტროკავშირის“ საქმიანობასთან. ანალოგიური მდგომარეობა იყო, როდესაც “თბილგაზში” ისრაელის კომპანია “ტაპალი” შემოდიოდა. ხშირ შემთხვევაში, დაინტერესებული მცირე ჯგუფების აზრი აღიქმებოდა როგორც საზოგადოებრივი, რომელიც საბოლოოდ ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ჩვენი აზრით, საწარმოთა მართვის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია მათი ორ ჯგუფად კლასიფიკაცია: პირველ ჯგუფში საჭიროა იმ საწარმოების თავმოყრა, რომელთა პრივატიზება შეზღუდული ან აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით და საწარმოები, რომლებიც განსაკუთრებული ფუნქციით და საქმიანობით გამოირჩევა, ხოლო მეორე ჯგუფში მოხვდება ის საწარმოები, რომელთა პრივატიზება შეზღუდული არ არის და აქედან გამომდინარე, დროებითაა სახელმწიფო მართვაში.

ცნობილი უნგრელი ეკონომისტის ი. კორნაის აზრით, მიზანშეწონილი არ არის ხებისმიერ ფასად შევიხარჩუნოთ ქრონიკულად წაშვებიანი სახელმწიფო საწარმოები. სახელმწიფოს მკაცრი საბიუჯეტო - საფინანსო პოლიტიკის განხორციელების პირობებში, კონკურენციის საფუძველზე, ამ საწარმოებს შორის ბუნებრივი შერჩევა მიმდინარეობს. ამიტომ აუცილებელია ასეთ საწარმოებში ამუშავდეს რესტრუქტურისაციის, გაკოტრებისა და ლიკვიდაციის მექანიზმები, როგორც საკუთრების ფორმის შეცვლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმები.<sup>1</sup>

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ინსტიტუტის მუშაობის სრულყოფას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის სამეურნეო მუშაკი. იგი საწარმოში სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელია. ამიტომ დაუშვებელია მისი უშუალოდ აღმასრულებელი დირექციის ფუნქციებში ჩარევა ან უმოქმედობა და დირექციის ზეგავლენაში მოქცევა.

აუცილებელია საწარმოთა ბიზნეს - გეგმების შემუშავება და განხორციელება, მათ მიერ მარკეტინგული, ტექნოლოგიური, კონკურენტული, საგარეო-ეკონომიკური, ფინანსური სტრატეგიის რეალიზაცია, ანტიკრიზის-

<sup>1</sup> Корнаи Я. Путь к свободной экономике: десять лет спустя, журн. Вопросы экономики, №12, 2000, с.27.

ისული მართვის დაუფლება, რადგან სხვანაირად წარმატების მიღწევა გლობალიზაციის და რისკების ზრდის პირობებში შეუძლებელია.

ძალიან სერიოზული საკითხი იყო და ასეთად რჩება საწარმოთა კრედიტორული დავალიანების გამო, კრედიტორების მხრიდან მათი ქონების დაყადაღების, აუქციონის წესით ამ ქონების რეალიზაციისა და მიღებული შემოსავლებით კრედიტორების გასტუმრების არსებული წესი. ასეთმა ქმედებებმა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიმართ, საგადასახადო სამსახურების მიმართ, მასობრივი ხასიათი მიიღო. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი თითქოს მისაღებია, სახელმწიფო ნაწილობრივ იკმაყოფილებს ფისკალურ ინტერესებს. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმასაც, რომ ეს ფაქტობრივად ხდება სახელმწიფო ქონების განიავების ხარჯზე, რადგანაც სახელმწიფო ქონება იყიდება ძალიან დაბალი ფასებით. ასეთი ქმედებით ხშირად ხდება წინასწარ შემუშავებული სქემების რეალიზაცია, სახელმწიფო ქონების ფარული პრივატიზება, მაშინ როდესაც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შესაძლებელია გამოინახოს სახელმწიფო ქონების დიდად უფრო ეფექტიანი გამოყენების მიმართულებები.

ბევრ საწარმოს ბიუჯეტის მიმართ გააჩნია მნიშვნელოვანი ვადა-გადაცილებული დავალიანება, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს მათი ქონების მასობრივად დაყადაღებისა და უკიდურესად დაბალი ფასით გაყიდვის საფუძველი. საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის მიხედვით და შესაძლებლობების შეფასება და ამის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ საწარმოთა მიერ წარმოდგენილ ბალანსებზე თანდართული აუდიტორული დასკვნები ხშირად არაფრისმოქმედი და ბალანსში ასახული ციფრების დადასტურებას წარმოადგენს. აშკარად ჩანს ხოლმე, რომ აუდიტორული კომპანიები მოქცეულია საწარმოთა კომპანიების ზეგავლენაში და თავისი დასკვნებით ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას კი არა, საწარმოთა ხელმძღვანელობის ქმედების კანონიერების დასაბუთებას ემსახურება. ამიტომ, აუდიტორული კომპანიების შერჩევა უნდა მოხდეს ტენდერების მეშვეობით უცხოური და ქართული კომპანიების მონაწილეობით.

ამგვარად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, აუცილებელია როგორც ინსტიტუციური ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენება, ასევე მენეჯმენტის ხარისხის და პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა. კერძოდ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს:

- საწარმოთა მართვის სააგენტოს საქმიანობის რაციონალიზაციას;
- სახელმწიფო საწარმოების იგივე სამართლებრივ სივრცეში მოქცევას, როგორშიც კერძო საწარმოები მოქმედებს;
- სამეთვალყურეო საბჭოების ქმედითუნარიანობის გაძლიერებას;
- მენეჯერებისა და დირექტორების კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას.

უნდა ამაღლდეს საწარმოთა მართვის სააგენტოს კონტროლის ხარისხი საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობაზე, ანგარიშგებაზე. ვგულისხმობთ არა მარტო ფინანსური ანგარიშგების რეგულარულად წარდგენას სააგენტოში, არამედ იმასაც, რომ ხშირად ბევრი საწარმოს ბალანსები შედგენილია არაკვალიფიციურად, ბუღალტრული აღრიცხვის საერ-თაშორისო სტანდარტების დარღვევით.


უნდა დავანქაროთ საწარმოთა რესტრუქტურისა, ლიკვიდაციის და შემდგომში პრივატიზების პროცესები. წამგებიანი საწარმოების პრივატიზება შესაძლებელია განხორციელდეს გაკოტრების შემდეგ აქტივების სახით ან პირდაპირ მოგახდინოთ მათი პრივატიზება სიმბოლურ ფასად, ინვესტიციების შემდგომი განხორციელებისა და პროფილის შენარჩუნების მიზნით, თუ ეს პროფილი აუცილებელია ქვეყნისთვის.

რაც შეიძლება მალე უნდა განთავისუფლდეს სახელმწიფო აღნიშნული საწარმოებისგან, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან წარმოუდგენელია ასეთი საწარმოების დაფინანსება, მათი ინვესტირება, რადგანაც ისინი კერძო სამართლის იურიდიული პირებია. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს ისეთი საწარმოები, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით სოციალური დანიშნულება აქვს.

**The major problems of the management in the state owned factories**

*S.Pavliashvili*

The article covers the main problems,tsendences and dynamics in the state managemant.It speaks about the characteristic drawbacks which hinder to defend and carry out the interests of the country as a partner.The article also shows a considerable improvement in the directions of a factory management process.According to the auther,the restruaction of privatisation and liquidation of the non profitable factories should be carried out immediately.The article also underlines the importance of choosing the memebbers of the watch board in the correct way.



**სოსო პარლივილი**  
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
 პროფესორი

ბიზნეს-მენეჯმენტი ასრულებს კაპიტალის მართვის ფუნქციას, ქვეყნის სიმდიდრის შექმნის პროცესის წამმართველია, ამავე დროს, თვით სოციალური გარემოს გარდამქმნელი და განმავითარებელია. XX საუკუნის ბოლოდან დასავლეთში ინტენსიურად მიმდინარეობს მენეჯმენტის ნაციონალური თავისებურებების კვლევა. უკანასკნელ წლებში, დასავლეთში ჩამოყალიბდა ახალი კვლევითი და სასწავლო დისციპლინა „შედარებითი მენეჯმენტი“ (*Comporative Management*), რომელიც სწავლობს მენეჯმენტის ფუნქციების რეალიზაციის სპეციფიკას სხვადასხვა ბიზნეს - კულტურაში, მოწინავე თეორიული კონცეფციებისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას ნაციონალურ გარემოში. შედარებითი კონტექსტით განიხილება მენეჯმენტის სხვადასხვა მოდელი, ვლინდება „სხვისი“ და „საკუთარი“ მოდელების სუსტი და ძლიერი მხარეები. შესაბამისად იკვეთება სრულყოფის მიმართულებები, მსოფლიოში არსებული გამოცდილების ტრანსფორმირების და გამოყენების შესაძლებლობები.

ფ. ტეილორი წერდა, რომ მეცნიერული მართვის ხელოვნება არის ევოლუცია და არა გამოგონება. ისტორიული მოვლენების გამო, საქართველო პრაქტიკულად ჩამოშორებული აღმოჩნდა ბიზნესის მართვის განვითარების ევოლუციურ პროცესს, რომელიც დასავლეთში მიმდინარეობდა XX საუკუნეში.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარება ობიექტურად მოითხოვს მენეჯმენტის დასავლური თეორიისა და გამოცდილების შემოქმედებით გააზრებას და ამის საფუძველზე ბიზნესის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ბიზნესის მართვის პრობლემებისადმი თეორიული და მეთოდოლოგიური პოზიციების შემუშავებას.

სტატიაში ძირითადად ვეხებით ბიზნესის მენეჯმენტს, ამიტომ მოკლედ განვიხილავთ თუ რას წარმოადგენს დღეს სტრუქტურულად ქართული ბიზნეს-სექტორი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც რეალურად ფუნქციონირებს და იყენებს დაქირავებულ შრომას, დაახლოებით 33 ათასია.

მათგან მსხვილი საწარმოა (100 კაცზე მეტი დასაქმებული 1,5 მლნ ლარზე მეტი წლიური ბრუნვა) 6%, საშუალო (100 კაცზე ნაკლები დასაქმებული და 1,5 მლნ ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვა) – 11%, მცირე საწარმო (20 კაცამდე დასაქმებული და 0,5 მლნ ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვა) 83%. მსხვილ საწარმოებში წარმოებული პროდუქციის წილი შეადგენს დაახლოებით 85%-ს, დასაქმებულთა წილი 62%-ს საწარმოთა მთლიან რაოდენობაში ყველაზე დიდი წილი უკავია ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოებს - დაახლოებით 47%, გადამამუშავებელ მრეწველობას - 12%, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოებს - 6%, სასტუმროებს და რესტორნებს - 4%, მშენებლობის საწარმოებს - 5%<sup>1</sup> და ა.შ.

სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა ბიზნეს-მენეჯმენტის წამყვანი ფიგურის, საზოგადოების ყველაზე დინამიური ელემენტის<sup>2</sup> მენეჯერის შესახებ, იმის შესახებ, თუ ვინ ითვლება მენეჯერად, როგორია მათი შემადგენლობა და სტრუქტურა. ჩვენთვის ყველაზე მისაღებია ცნობილი ამერიკელი მეცნიერის თ. პარსონსის შეხედულება, რომლის მიხედვით თვითოეულ საწარმოში მართვის ფუნქციებს ახორციელებს პერსონალი, რომელიც იყოფა შემდეგ კატეგორიებად<sup>3</sup>:

1. მენეჯერები – ხელმძღვანელებენ დაქვემდებარებულ მუშაკებს, იღებენ გადაწყვეტილებებს, პასუხს აგებენ რესურსების გამოყენებაზე;
2. ფუნქციონალური სპეციალისტები – მართვის სხვადასხვა ფუნქციაზე დასპეციალიზებული დიპლომირებული მუშაკები – ბუღალტრები, ფინანსისტები, მარკეტოლოგები, სოციოლოგები, კომერსანტები და სხვ;
3. ინფრასტრუქტურული პერსონალი – ახორციელებს მენეჯერების საქმიანობის ტექნიკურ, ინფორმაციულ და სამეურნეო უზრუნველყოფას;
4. ინსტიტუციონალური პერსონალი – ექსპერტები და კონსულტანტები.

მენეჯერთა კატეგორიაც ერთფეროვანი არ არის. შესრულებული ფუნქციების ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით, პიტერ დრუკერის გამოყოფს მენეჯერთა სამ კატეგორიას:

- ქვედა დონის მენეჯერები (supervisors), რომელთა ძირითადი ფუნქციებია საწარმოს მუშების და სპეციალისტების საქმიანობის კონტროლი ინფორმაციის უწყვეტი გადაცემა მართვის ზემდგომი რგოლისათვის. ტიპური თანამდებობებია – ოსტატი, ბიუროს უფროსი;
- საშუალო რგოლის მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფის მართვას – საამქროს უმფროსი, კადრების, მარკეტინგის და სხვა განყოფილების ხელმძღვანელები;

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სპეციალური გამოკვლევა - მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, 2009 წ.

<sup>2</sup> П. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке. М., 2002.

<sup>3</sup> Парсонс Т. О социальных системах. М., 2002, с. 91.

– ტოპ-მენეჯერები – კომპანიის პრეზიდენტი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი.

მოქმედ საწარმოთა რაოდენობისა და მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მენეჯერთა რაოდენობა დაახლოებით 50-60 ათასი კაცია. აქედან მსხვილ ბიზნესში დასაქმებულია 10 ათასამდე, მცირე და საშუალო საწარმოთა 85% მენეჯერი თვით მესაკუთრეები, ბიზნესის დამფუძნებლები არიან, ე.ი. შერწყმულია კაპიტალის ფლობისა და მართვის, შესაბამისად, მეწარმეებისა და მენეჯერის ფუნქციები. ამ პირობებში ხელმძღვანელის საქმიანობა გაცილებით რთული და მრავალფეროვანია. მეწარმეობა დაკავშირებულია საკუთარი კაპიტალის დაბანდვასთან, ინოვაციასთან, რისკთან. მენეჯერისა კი – პროფესიულ ცოდნასთან, თანამდებობრივი მოვალეობების ზუსტად შესრულებასთან, ადამიანებთან მუშაობასთან. შესაბამისად გაზრდილია მენეჯერის თეორიული და პრაქტიკული მომზადებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

2009 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ბიზნეს - სექტორში განახორციელა სოციოლოგიური კვლევა<sup>1</sup>, რომლის შედეგების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ ფლობენ სამეწარმეო და საგადასახადო სამართლის ელემენტარულ საკითხებსაც კი. ხელმძღვანელთა მხოლოდ 20% იცნობს სრულყოფილად ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას, მხოლოდ 22% სარგებლობს კრედიტით და აუხლოესი ერთი წლის განმავლობაში ბიზნესის გაფართოებას არ აპირებს 75%. მენეჯერები არამობილური არიან, არა აქვთ უცხო კულტურულ გარემოსთან ურთიერთობის ცოდნა და გამოცდილება. მათგან მხოლოდ 2,3%-ს აქვს უშუალო ურთიერთობა საგარეო ბაზართან. თვით შპს - ის არსი შპს -ს მენეჯერებიდან დაახლოებით 70%-მა სწორედ ვერ განმარტა. მენეჯერთა უმეტესი ნაწილი მიჯაჭვულია გარკვეულ ბიზნესს, გარკვეულ ტექნოლოგიას, რის გამოც სხვა ბიზნესის ან უფრო თანამედროვე ტექნოლოგიურ პირობებში ბიზნესის მართვა არ შეუძლიათ, ხოლო მათგან მხოლოდ 5%-მდე მიიჩნევენ, რომ მათ მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს ბიზნესში მენეჯერთა დიდი ნაწილი დილექტანტია, არ გააჩნიათ მენეჯმენტის სპეციალური ცოდნა, არ იცნობენ ფინანსების, მარკეტინგის, ხარისხის მართვის თანამედროვე ინსტრუმენტებს. ბაზარზე წინმსწრებ მოქმედებებს კი არ ახდენენ, არამედ, მხოლოდ რეაგირებენ ბაზრის გამოწვევებზე. შექმნილ სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საწარმოთა დიდი ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესს მიეკუთვნება. ზუსტად

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სპეციალური გამოკვლევა - მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, 2009 წ.

ასეთი საწარმოებებია ყველაზე მაღალი რისკის შემცველი. მენეჯმენტის ცნობილი სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ეფექტიანი მენეჯმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით მცირე საწარმოში, ვიდრე მსხვილში. მცირე საწარმოში მენეჯერს კოლექტივის წევრებთან აქვს პირდაპირი და უშუალო კავშირი, მისი ავტორიტეტი დამოკიდებულია მის პროფესიონალიზმზე, პირადად ის, უკეთეს შემთხვევაში ერთ-ორ მუშაკთან ერთად მართავს ფინანსებს, მარკეტინგს, მომარაგებას. ის კარგად უნდა ერკვეოდეს საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობაში, ნორმალური შრომითი ატმოსფერო უნდა შექმნას და ჩამოაყალიბოს ეფექტიანი მუშაკთა ჯგუფი.

მენეჯერთა საერთო კორპუსის მხოლოდ 10-12%-ია სპეციალური განათლების მქონე პროფესიონალი მენეჯერი, რომლებმაც მომზადება გაიარეს როგორც დასავლეთის, ასევე საქართველოს უნივერსიტეტებსა და ბიზნეს-სკოლებში. მენეჯერთა ეს ჯგუფი დასაქმებულია ძირითადად მსხვილ ბიზნეს-სტრუქტურებში.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემაა მაღალკვალიფიციური მენეჯერების დეფიციტი, რომელთაც უნარი ექნებათ ახალ იდეებზე და პროექტებზე ააგონ მდგრადი ბიზნესი. ბიზნესზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია იმ ფაქტს, რომ მენეჯერული კადრების მომზადება საქართველოში, თითქმის 20 წელიწადია მიმდინარეობს. ჩვენი აზრით, შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული „მენეჯერთა კაპიტალიზმი“. პროფესიულ მენეჯერებზე ნაკლები მოთხოვნაა, რადგან მესაკუთრეების დიდმა ნაწილმა ისე ვერ გააფართოვა თავისი ბიზნესი, რომ მენეჯერები დაიქირავოს. ამასთან, საქართველოს უნივერსიტეტების დიდ ნაწილში ამ მხრივ სწავლების დაბალი დონეა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილში, რომელთაც პრეტენზია აქვთ, რომ დასავლეთის უნივერსიტეტების ადეკვატურ განათლებას აძლევენ, სწავლება ხდება დასავლური პროგრამებით და პოპულარული სახელმძღვანელოებით ყოველგვარი ადაპტირების გარეშე. კონკრეტული ბიზნეს-სიტუაციებიც განვითარებული ქვეყნების წამყვანი კომპანიების პრაქტიკიდანაა აღებული, რადგან თვით ლექტორების ძალიან მცირე ნაწილს აქვს მენეჯერის ან ბიზნესის პრაქტიკა, სტუდენტებს კი ფაქტობრივად არ გააჩნიათ ემპირიული გამოცდილება, რომელიც აუცილებელია თეორიის შეგნებულად გააზრებისა და მენეჯერის ჩვევების შესაძენად. შედეგად ამისა, საქართველოში მენეჯერული კადრების თეორიული მომზადება და პრაქტიკული გარემო ერთმანეთისაგან მოწყვეტილია. ასეთი განათლების მქონე მენეჯმენტის თანამედროვე თეორიის კონცეფციების და ინსტრუმენტების მცოდნე, კურსდამთავრებულსაც კი, შეი-

ძლება დიდი დრო დასჭირდეს საქართველოს ბიზნესის რეალურ გარემოში გარკვევისათვის.

ცხადია, მეჯერების მომზადებაში და პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მენეჯმენტის მეცნიერების მსოფლიო მიღწევები, მაგრამ ეს არ გულისხმობს ბრმა კოპირებას, მისი კონცეფციები და მოდელები განხილული და ადაპტირებული უნდა იქნეს საქართველოს სინამდვილესთან, რადგან, როგორც მ. ვებერი წერდა, დასავლური ტიპის კაპიტალიზმი შესაძლებელია მხოლოდ დასავლურ ცივილიზაციაში. მენეჯმენტის დასავლური თეორიებიც მრავალფეროვანია, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მათში ასახულია შესაბამის საზოგადოებაში ეკონომიკის ფუნქციონირების პირობები, დამახასიათებელი თავისებურებები, საზოგადოების მენტალობა, საქმიანი კულტურა და ა.შ.

მენეჯერთა მცირე ნაწილს განათლება დასავლეთის ბიზნეს-სკოლებში აქვს მიღებული, რაც ხელს უწყობს პროფესიული და ადამიანური თვალსაწიერის გაფართოებას, საქმიანი კონტაქტების დამყარებას. მაგრამ, დასავლეთის ბიზნეს-სკოლებში განათლების მიღებისას სტუდენტი მოწყვეტილია თავისი ქვეყნის სინამდვილეს, მისი ცოდნა ფოკუსირებულია სრულიად განსხვავებული ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებზე. ზოგჯერ დიდ ენერჯიას ახმარენ ისეთი საგნების სწავლას, რომელიც სამშობლოში არ გამოადგებათ. მაგალითად, პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის (Wharton) ბიზნეს-სკოლის ქართველი კურსდამთავრებული, რომელიც ორი წელია, რაც დაბრუნდა თბილისში, აღნიშნავს, რომ ის კმაყოფილია, რომ ისწავლა სტრატეგიული მენეჯმენტის და მარკეტინგის ზოგადი თეორია, ფინანსური მოდელირება, მაგრამ დიდი დრო და ენერჯია დახარჯა ბიზნეს-სამართლის შესწავლაზე, რაც მას აქ არ გამოადგა.

საერთოდ, ბოლო პერიოდში, დასავლეთშიც დიდი დავაა ბიზნეს - განათლების, განსაკუთრებით პრაქტიკასთან მისი კავშირის პრობლემების შესახებ. განვითარებული კრიზისის ფონზე, ასევე მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა მენეჯერთა განათლების მწვერვალად მიჩნეული MBA-ს პროგრამა, რომლის შინაარსი თითქმის სტანდარტიზებულია დასავლეთის ბიზნეს - სკოლებში. MBA-ს არსებული სისტემის მკვეთრი მოწინააღმდეგეა მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ჰენრი მინცბერგი (Henry Mintzberg). მან გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით „გვჭირდება მენეჯერები და არა MBA-ს კურსდამთავრებულები“ (Managers not MBAs), სადაც ამტკიცებს, რომ ბიზნეს-სკოლების კურსდამთავრებულნი პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენენ თვით ბიზნესისათვის, რადგან მათ მართვის თეორია ასწავლეს ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ისინი პრაქტიკულ გამოცდილებას შეიძენდნენ. მხოლოდ

გამოცდილებით არის შესაძლებელი შეცნობილ იქნეს მართვის პროცესის მრავალი ნიჟანსი. კ. მინცბერგის ცნობილი პოსტულატია – „არ არსებობს აუდიტორია, სადაც შეიძლება მენეჯერის შექმნა“. პრაქტიკასთან კავშირის ნაკლებობაზე მიუთითებს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის (Said Business school) დეკანი ენტონი ჰოპვუდი (Anthony Hopwood), ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის დეკანი გ. უაიტი (G. Whyte).

სთანფორდის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის ცნობილმა პროფესორმა ჯეფრი პეფერმა (Jeffrey Pfeffer) გამოიკვლია MBA-ს ხარისხის მქონე და ამ ხარისხის არ მქონე მენეჯერთა მიღწევები და დაასკვნა, რომ MBA-ს პროგრამის სწავლას აზრი არა აქვს, რადგან ის წარმატების ხელისშემწყობი არ არის. ლონდონის ბიზნეს-სკოლის პროფესორი სუმატრა გოშალი (Sumatra Ghoshal) წერს, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მენეჯმენტის არაეფექტიანი მეთოდებისა და კონცეფციების უმეტესობა დამუშავებული იყო მსოფლიოს ცნობილი ბიზნეს-სკოლების პროფესორების მიერ. ბიზნეს-სკოლები სტუდენტებს არ უყალიბებენ მორალურ პასუხისმგებლობის გრძობას, რის გამოც MBA-ს დიპლომის მქონე ტოპ-მენეჯერები ხშირად ფინანსურ აფორებში არიან გარეული. ოქსფორდის უნივერსიტეტის დეკანი პროფესორი ენტონი ჰოპვუდი (Antony Hopwood) აკრიტიკებს MBA-ს პროგრამებს, და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე ასკვნის, რომ კომპანიებში რაც უფრო მეტი მენეჯერია MBA-ს დიპლომით, მით უფრო მეტია დარღვევები.<sup>1</sup> იგი ხაზს უსვამს, პრაქტიკასთან კავშირის ნაკლებობაზე, თუმცა, მიუთითებს, რომ დასავლურ ბიზნეს-სკოლებს აქვთ წამყვან კომპანიებთან მჭიდრო კავშირის აწობილი სისტემა, კომპანიებს წარმომადგენლები ჰყავს ბიზნეს-სკოლებში და მზად არიან ლექტორებისა და სტუდენტების პერსპექტიული იდეები დაუყონებლივ დააფინანსონ; დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორები პარალელურად მუშაობენ ცნობილი კომპანიების კონსულტანტებად; ბიზნეს-სკოლები სისტემატურად ეძებენ საინტერესო ბიზნეს-გამოცდილებას სწავლის პროცესში გამოყენებისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველივე ეს საკმარისი არაა პრაქტიკული ცოდნის გადრმავებისათვის. რაც შეეხება საქართველოს უნივერსიტეტებს, მათი პრაქტიკასთან კავშირი ამოიწურება იმით, რომ თვითონ სტუდენტებმა უნდა მოძებნონ კომპანიები, სადაც პრაქტიკას გაივლიან და როგორც წესი, ისიც ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ჩვენი მონაცემებით, საქართველოში საზღვარგარეთელი კომპანიების წარმომადგენლებად ან ადგილობრივ მსხვილ კომპანიებში დასაქმებულია 1500-მდე ექს-

<sup>1</sup> www.evidence-based/management.com.

პატი (expat ინგლისური სიტყვიდან expatriate – მენეჯერი, რომელიც სპეციალურად არის მოწვეული სხვა ქვეყნიდან). საერთოდ, ექსპატებს აქვთ სპეციალური განათლება, ფლობენ მენეჯმენტის მოწინავე თეორიას და პრაქტიკას, ბიზნესის გაძლიერების მეთოდოლოგიას, ცალკეულ სიტუაციაში არ სჭირდებათ „ველოსიპედის გამოგონება“, ისინი ცივილური ბიზნეს-კულტურის მატარებლები არიან. მათი ყველაზე ძლიერი მხარეებია პროექტ-მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, დარგის განვითარების ტენდენციების ღრმა ცოდნა. უარყოფითია ის, რომ მათი მომსახურება მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაღალ ხელფასთან ერთად უნახლადურდებათ ბინის, ავტომობილის, თავის ქვეყანაში გამგზავრების და სხვა ხარჯები. აღსანიშნავია ისიც, რომ არც თუ იშვიათად, ამ სპეციალისტების მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ მათზე მოთხოვნა თვით მათ მშობლიურ ქვეყანაში არ არის. მთავარი მაინც ის არის, რომ აკლიათ საქართველოს ბიზნესის სპეციფიკის ცოდნა, ანუ ამა თუ იმ პრობლემასადმი რეალური მიდგომის ცოდნა. ბიზნესის კვლევის საერთაშორისო კომპანიის (რომელსაც 90 ქვეყანაში 9000 მეტი კლიენტი ემსახურება) გენერალური მენეჯერი ა. ნილსენი (A. Nielsen) წერს: „არ არსებობს გლობალური მყიდველი, თვითოეული ქვეყანა და თვითოეული ქვეყანაში მყიდველი ავლენს განსხვავებულ ქცევას და განსხვავებულ დამოკიდებულებას ფულის ხარჯვისადმი.“<sup>2</sup> მაგალითად, კომპანია „სილქნეტის“ (ყოფილი „გაერთიანებული ტელეკომი“) მენეჯმენტმა, სტრატეგიად დაისახა უსადენო სატელეფონო კავშირის გავრცელება. შექმნილ იქნა 150 ათას აბონენტზე გათვალისწინებული ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებები. მაგრამ, ტარიფის დადგენისას არ იქნა გათვალისწინებული მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, არ იქნა შეთავაზებული შეღავათიანი გადახდის სისტემა, რითაც კარგად ისარგებლა კონკურენტმა კომპანიამ, რომელმაც დაგვიანებით, მაგრამ უფრო შეღავათიანი ტარიფით შესთავაზა მოსახლეობას იგივე მომსახურება. შედეგად ამისა „სილქნეტი“ მომსახურებით სარგებლობს მხოლოდ 20-22 ათასი აბონენტი, უმოქმედოდაა დიდძალი ტექნიკა, არაეფექტიანი აღმოჩნდა გაწეული ინვესტიციები. რეალობა გვიჩვენებს, რომ ექსპატები საქართველოს, სულ სხვა სპეციფიკით არიან დაინტერესებულნი, რაზეც მიუთითებს ინტერნეტში განთავსებული მათი მონათხრობები, მაგალითად, ყაზახი ქალი - ექსპატი წერს: „თბილისში ოქროს ბირჟაზე შექმნილი ბრილიანტის ბეჭედში გადავიხადე 430 დოლარი, რომლის ფასიც ჩვენთან, სულ მცირე 800 დოლარია“. ავსტრიელი ექსპატი კი სიამოვნებით იხსენებს, რომ „მეგობარ გოგონას თვეში 500 ევროს ვაძლევდი და ის ძალიან კმაყოფილი იყო, ჩვენთან ვენაში კი 500 ევრო ქალის ერთი ღამით გამოძახება ღირს“.<sup>2</sup>

ექსპატებთან დაკავშირებით, საქართველოშიც შეინიშნება ერთი

<sup>1</sup> Менеджмент XXI века. М., 2002.

<sup>2</sup> www.continent.kz/2008/18.8htm.

მოვლენა, რომლის შესახებაც წერს მენეჯმენტის ცნობილი სპეციალისტი ს. ჩოუდჰური (S. Chowdhury): გლობალიზაციამ შექმნა ინგლისურენოვანი ბიზნესმენთა ელიტა, რომლებიც ქვეყნებსა და ნაციონალურ ბაზრებზე მადლა დადგა და საჭიროდ არ მიიჩნევს მათ თავისებურებათა შეცნობას.<sup>1</sup> საქართველოს მსხვილ ბიზნესში შემოსული უცხოური კომპანიების ფილოსოფია და ინტერესები, ზოგჯერ, ეწინააღმდეგება ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის ინტერესებს, უფრო მეტიც, ხდება მათი აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა. ასეთი დამოკიდებულების მაგალითი ბევრია: „ენერგოპროჯექტის“ მიერ შემოღებული კომუნალური მრიცხველები, ზესტაფონის ფეროშენადნობსა და კასპის ცემენტის ქარხნებში შესული კომპანიების მენეჯერთა უდიერი დამოკიდებულება გარემოსადმი, „ვახტრანსვაზთბილისი“-ის თანამშრომლებთან ორი კვირის ხანგრძლივობით დადებული შრომითი ხელშეკრულება და ა.შ.

დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში იქმნება მკვლევარ-მეცნიერთა ჯგუფები, რომლებიც ქვეყნის კულტურულ-ინსტიტუციური თავისებურებებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ მენეჯერთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების პრიორიტეტებს და თავისებურებებს. შედარებითი მენეჯმენტის მეთოდოლოგიის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს საქართველოში მენეჯერთა მომზადების და პრაქტიკული საქმიანობის სპეციფიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

– მენეჯმენტის დასავლური სკოლები ორიენტირებულია უფრო პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე თეორიულ ცოდნაზე. მენეჯერს უნარი უნდა შესწევდეს არასტანდარტული, სწრაფად ცვალებადი სიტუაციები გააანალიზოს და სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება. ჩვენთან კი, მენეჯერების განათლება ძირითადად აგებულია თეორიულ ცოდნაზე, პრაქტიკა მერე პლანზე დგას. აპრიორი იგულისხმება, რომ თეორიულად მომზადებული მენეჯერი ნებისმიერ სიტუაციაში იპოვის სწორ გამოსავალს;

– ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება მენეჯერის უნარს - მართოს ადამიანები და რესურსები. მაშინაც კი, თუ ის ხელმძღვანელობს ტექნიკურ ან საწარმოო ქვედანაყოფს, ითვლება, რომ მენეჯერს პირადი ავტორიტეტის შელახვის გარეშე შეუძლია ტექნიკურ საკითხებზე კონსულტაციების და დახმარებების მიღება. მის მაგიერ სხვა ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას;

– მენეჯერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებად ითვლება პრეზენტაციის უნარი. მის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა არამარტო ბიზნეს-სკოლებში, არამედ კომპანიებშიც. როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს რისი პრეზენტირება ხდება – ქვედანაყოფის მიღწევების, ბიუჯეტის, ახალი საქონლის თუ საკუთარი მიღწევების. აუდიტორიასთან ურთ-

იერთობის უნარი უფრო ფასობს, ვიდრე მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;

– დასავლურ კომპანიებში დიდი მოთხოვნაა პრაქტიკოს ადამიანებზე, რომელთაც დიდი ამბიციები აქვთ. სამსახურში მიღებისას, როგორც წესი, უსვამენ შეკითხვას: როგორ ხედავთ თქვენს მომავალს 3-5 წლის შემდეგ – კარგი მომავლის რწმენა პროაქტიური პოზიციის ნიშნად არის მიჩნეული. დასავლურ კომპანიებში ადამიანის ამბიციურობას აქვს მკვეთრად გამოხატული დადებითი შინაარსი. ჩვენთან კი ხშირად ისმის – „მერწმუნეთ, მე ამბიციური არა ვარ“. ამბიციის ქონა მიჩნეულია უარყოფით თვისებად, ყოყლონიობად, მოკლედ აქვს მკვეთრად უარყოფითი შეფასება. განსხვავებულია ხელმძღვანელსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს შორის დამოკიდებულება. დასავლურ კომპანიებში ყოველწლიურად ხაზი ესმება მათ პარტნიორულ ურთიერთობას და სიახლოვეს. ხელმძღვანელს შეიძლება არ ქონდეს ცალკე კაბინეტი და საქმიანობდეს დაქვემდებარებულ პირების თვალწინ, ისარგებლონ ერთი მანქანით, ერთი სასადილოთი და ა.შ. ზოგიერთი კომპანია თავის სტრუქტურას სქემატურად გამოსახავს გადმოტრიალებული პირამიდის სახით. უცხოური კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობენ გუნდურობას, კოლექტივში მუშაობის უნარის განვითარებას, იმას, რასაც დასავლეთში „Team building“-ს ან „Team spirit“-ს უწოდებენ. ტარდება კოლექტიური თამაშები, ერთობლივი საღამოები, ღონისძიებები.

დასავლურ კომპანიებში ყველა თანამშრომლისათვის ნათელია, რომ მათი შრომა ფასდება საბოლოო შედეგით. შედეგის მისაღწევად კი ყველა იჩენს შეუპოვრობას და ქრეათიულობას. ჩვენთან კი, საყოველთაოდ გავრცელებულია აბსურდული წარმოდგენა, რომ საქმიანობა ფასდება არა საბოლოო შედეგით, არამედ ინტენსიური შრომით. მენეჯერისათვის დავალების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენისას, ხელქვეითები ყურადღებას ამახვილებენ თვით შესრულების პროცესში წარმოშობილ პრობლემებზე, მათი გადალახვის მცდელობაზე და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგს ვერ მიაღწიეს, თვლიან, რომ კარგად იმუშავეს, რადგან ძალიან დაილაღნენ, ე.ი. მათთვის საქმიანობის შედეგიანობის შემფასებელი კრიტერიუმი არის დადებითობა. ვიმეორებთ, რომ ეს განწყობა ფართოდაა გავრცელებული, რასაც მოსდევს მოჩვენებითობა და ცრუ ფაციფუცი.

დასავლეთის დემოკრატიის პირობებში ცხოვრების შედეგად საზოგადოების წევრს მიაჩნია, რომ ის ირჩევს და ინახავს მთავრობას, ჩინოვნიკები საზოგადოების მიერ არიან დაქირავებული და ვალდებული არიან იზრუნონ მათ კეთილდღეობაზე. ამიტომ, მას სრულიად მისაღებად და ღირსეულად მიაჩნია საზოგადოებაში მის მიერ შემწხველ

<sup>1</sup> Менеджмент XXI века. М., 2002.

ნაკლოვანებებზე მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს, ეს ცუდადაც რომ ეხებოდეს ნაცნობს, მეზობელს და ა.შ. კომპანიებში მუშაკი თავს გრძნობს საერთო საქმის მონაწილედ, პარტნიორად და მზად არის მენეჯერს მიაწოდოს ინფორმაცია არსებულ ნაკლოვანებებზე, თანამშრომლის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. ჩვენ საზოგადოებაში კი ასეთი ქცევა მინჩეულია „ჩაშვებად“, უფრო მეტიც, აქტიურობა და ინიციატივა შეიძლება ჩაითვალოს ცუდ „ტონად“, უფოსისადმი თავის მოწონების მცდელობად. ამიტომ, მენეჯერისთვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს კოლექტივის რომელიმე წევრის კომპანიისათვის ზიანის მომტანი ქცევა. ან კიდევ - ცალკეულ მუშაკს შეიძლება გააჩნდეს ეფექტიანობის ამაღლების რეალური წინადადება, მაგრამ არაფერი გააკეთოს მის პრაქტიკულ რეალიზაციაზე;

– დასავლეთში შეიცვალა მენეჯერთა წარმოდგენები ბიზნესის გაძღვლის ფორმების და მეთოდების შესახებ. თანამედროვე მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ოპერაციულ პროცესებზე. მენეჯერებს შორის ფორმირებულია აზრი, რომ ეფექტიანობის ამაღლების მთავარი რეზერვია ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია. პროცესული მიდგომა საშუალებას იძლევა ამაღლდეს კომპანიის მოქნილობა, პრინციპულად გაუმჯობესდეს პროდუქციის და მომსახურების ხარისხი. პროცესული მიდგომის დანერგვა კი მოითხოვს სპეციალური ინსტრუმენტარის გამოყენებას, რომლითაც მოხდება ბიზნეს-პროცესების აღწერა და ანალიზი. მაგრამ, საქართველოს კომპანიებში პროცესების დოკუმენტირება არ ხდება, წერილობით არ არის დაფიქსირებული ცალკეული ქვედანაყოფის ფუნქციები, შედეგების შეფასების მანქნებლები, სხვა ქვედანაყოფებთან ურთიერთობის ხერხები. ე.ი. ქართული მენეჯმენტისათვის დამახასიათებელია „მასსოვრობითი მართვა“. როდესაც თანამდებობაზე მოდის ახალი მენეჯერი, ზეპირ ინსტრუქციას ღებულობს ზემდგომი თანამდებობის პირისაგან, შემდეგ დაქვემდებარებაში მყოფი მუშაკებისაგან და ქვედანაყოფს მართვას იწყებს ისე, როგორც მიიჩნევს საჭიროდ. პროცესების და მათი შესრულების დოკუმენტირების არარსებობის გამო, ვერ ხდება ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია, შეუძლებელია ფუნქციების დელეგირება, რადგან ვერ ფიქსირდება დელეგირებით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების საზღვრები. თანამშრომელი, ვინც ფლობს ზეპირ ინფორმაციას შესასრულებელი პროცესების შესახებ, ხდება შეუცვლელი, რადგან მისი წასვლის შემთხვევაში კომპანიაში იკარგება ეს ინფორმაცია და ხშირად ამ ინფორმაციის მფლობელი ხდება კონკურენტი ფირმა (თუ ეს პირი იქ დასაქმდა).

ჩამოყალიბებული თავისებურებების, მართვის კულტურისა და კონკურენციის პირობების თითქმის არ არსებობის გამო შეუძლებელია საქართველოს სინამდვილეში რეალურად დანერგილი და ეფექტის მო-

მტანი იყოს თანამედროვე მენეჯმენტის ისეთი ცნობილი კონცეფციები, რომლებიც დასავლეთის კომპანიებში ფართოდ გამოიყენება და საქართველოს უნივერსიტეტებში ინტენსიურად ისწავლება, როგორცაა:

ა) მ. პორტერის კონცეპცია **SCM (Supply Chain Management)**, რომელიც მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების დაგეგმვის, დანერგვის მართვის პროცესებზე ორიენტირებული სტრატეგიაა. საქართველოს კომპანიების პრაქტიკაში **SCM**-ის გამოყენება თითქმის შეუძლებელია, რადგან კომპანიებს შორის ნდობის დაბალი დონეა, საბაჟო კანონმდებლობა და საბაჟო სტრუქტურების მუშაობის ხასიათი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მიწოდების ეფექტიან ორგანიზაციას;

ბ) საქართველოს კომპანიებში ორმაგი ბუღალტერიის, იძულებითი „ქველმოქმედების“ და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობა გამოუყენებელს ხდის ნორტონისა და კაპლანის **BSC (Balanced scorecard)** კონცეფციას, რომელიც დასავლეთში ეფექტიან ინსტრუმენტად არის აღიარებული და გულისხმობს რესურსების განაწილებას სტრატეგიის შესაბამისად;

გ) **Toyota**-ს საწარმო სისტემის (**Toyota Production System**), **JIT (just in Time)**, კანბანის სისტემების, აგრეთვე ხარისხის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების (**ISO-9000, TQM**, „ექსი სიგმა“) პრაქტიკული გამოყენებისათვის, აუცილებელია, შესაბამისი გარემოს არსებობა, კერძოდ, საიმედო პარტნიორების შერჩევის შესაძლებლობა, ე.ი. კონკურენტული გარემო, განვითარებული საბაზრო ურთიერთობა, კომპანიებს შორის ნდობის მაღალი დონე, კომპანიებში დასაქმებულთა აქტიურობა და შემოქმედებითი დამოკიდებულება და რაც მთავარია, მართვის პროცესული მიდგომა, რომელიც ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს კომპანიებში მართვის სტილი თითქმის ყოველთვის მკაცრი და ავტორიტარულია, მაშინ როცა დასავლეთში მენეჯმენტის განვითარების სტრატეგიული პერსპექტივაა - უფრო რბილი და მოქნილი და შინაარსით უფრო ეფექტიანი ფორმებისკენ მოძრაობა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს უნივერსიტეტებში მომავალ მენეჯერებს ასწავლიან მსოფლიოს წამყვანი ბიზნეს-სკოლების პროფესორთა შეხედულებებს, კონცეფციებს, სისტემებს, მეთოდებს, განიხილავენ დასავლური კომპანიების მაგალითზე აგებულ ქეისებს, მაგრამ ეს ხდება ქართულ ბიზნესში მიმდინარე პროცესებისაგან მოწყვეტილად. ქართული სინამდვილე, სადაც საბოლოო ანგარიშით, უნდა დასაქმდეს მომავალი მენეჯერი, შეუცნობელ, ვირტუალურ სამყაროდ რჩება.

იმისათვის, რომ საქმიანობის დაწყებისთანავე, მენეჯერს ჩამოყალიბებული პოზიცია ქონდეს, თავიდანვე აუღოს ადლო, არ მოიხიბლოს, არ შეეგუოს „გრუზინული მენეჯმენტის“ (ქართულ პრაქტიკოს მენეჯერთა

შორის გაგრძელებული ტერმინია, რომელიც ასახავს ქართულ-რუსული მენეჯმენტის და მენტალიტეტის ნახევს) მრავალფეროვან კომბინაციას, უნივერსიტეტებში თეორიული განათლება უნდა განხორციელდეს რეალური კონტექსტით, ქეისების იდეები გადატანილ უნდა იქნეს რეალურ პრაქტიკაში, განხილული და გაანალიზებულ უნდა იქნეს არა მარტო დადებითი პრაქტიკა, ის უარყოფითიც, რაც ასე მრავლადაა ქართული მენეჯმენტის რეალობაში და რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, რათა წარმატებული და ეფექტიანი გახდეს მენეჯმენტი. საბოლოო ანგარიშით დაგროვდება თანამედროვე მენეჯერთა ის „კრიტიკული მასა“, რომელიც შეცვლის საერთო სიტუაციას მენეჯმენტში.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტების მიერ შესწავლილი მენეჯმენტის დასავლური თეორიები, კონცეფციები, სისტემები ისე მოძველდება და შეიცვლება ახლით, რომ საქართველოს სინამდვილეში მათი არც ძველის და არც ახლის გამოყენების მზადყოფნა და შესაძლებლობა არ იქნება. მითუმეტეს, თვით დასავლეთში, სპეციალისტებს შორის ჩამოყალიბებულია აზრი, რომ იმ მენეჯმენტმა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის დასაწყისში, მიაღწია განვითარების ზღვარს და საჭიროა მისი ახლადშექმნა სრულიად ახალ პრინციპებსა და კონცეფციებზე.

### *Modern Management and Georgian Reality*

*S. Vardishvili*

The article is dedicated to peculiarities of Georgian Management, modern theoretical conceptions and practical experience use ability in the management functions realization of Georgian socio-cultural surroundings.

In the article on the ground of statistical data and sociological researches was made a decision that most part of managers is dilettante, only 10-12% are managers with special professional education. In Georgia, training of managers' takes place for nearly 20 years, but at the universities education is lead by western programs and text-books all without adaptation, they discuss the cases made by examples of western companies. Few lectors have managerial or business practice. As a result, theoretical training of managerial stuff and practical surroundings are separated from each other, Georgian reality where the future manager has to be employed by the final account stays a virtual reality. The graduates need long time to get acquainted with real Georgian business surroundings.

It is obvious that in preparing of managers and practical activities there has to be widely used the world achievements of science, but it cannot be blindly copied without adaptation with Georgian reality.



**შოთა შაბურიშვილი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი**

თანამედროვე ბიზნესში მიღებულია კომპანიის ზრდისა და განვითარების პროცესის დაყოფა ეტაპებად. განვითარების სტადიების გამოყოფისას გადამწყვეტს რისკის დონე და მისი ხასიათი წარმოადგენს. მაგალითად, მოიაზრება, რომ თესვის სტადიის დასრულება ხსნის ახალ ტექნოლოგიასთან, საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებულ რისკს. სთარტ-აფ (Start up) სტადიის დასრულება კი უზრუნველყოფს პრინციპული არაკომერციულობის (საქონლის ბაზარზე გასვლის შეუძლებლობა) რისკის მოხსნას (იხ. ცხრილი 1).


ბიზნესის განვითარების ეტაპების კლასიფიკაცია ქვეყნებისა და კონკრეტული ინვესტორების მიხედვითაც კი განსხვავებულია. ზოგჯერ ერთ კატეგორიაში აერთიანებენ თესვისა და სთარტ-აფ პროექტებს, ან პირიქით დამატებით გამოყოფენ იდეის თავდაპირველი დამუშავების სტადიას (Pre-Seed). აღნიშნულის მიუხედავად, პროექტის განვითარების ეტაპების გამოყოფა დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ბიზნესში. მას აქვს მკაფიო პრაქტიკული დატვირთვა, რადგან სხვადასხვა ეტაპზე პროექტი განსხვავებული წყაროდან ფინანსდება. ამ მოვლენას „საინვესტიციო ჯაჭვი“ ეწოდება (იხ. ნახ. 1).

საწარმოს განვითარების სტადიები<sup>1</sup>  
ცხრილი 1

დასახელება		საჭირო ინვესტიციების მოცულობა	მოკლე აღწერა
ინტელისური	ქართული		
Seed	საწყისი, თესვა	1000000-დან დოლარამდე	საწარმოს ფორმირება, პროექტის და ბიზნეს-იდეის არსებობა, მმართველი გუნდის შექმნა და მარკეტინგული კვლევების ჩატარება.
Start up	სთარტ-აფ	1000000-დან 5 000000 დოლარამდე	საწარმო ფუნქციონირებს, არსებობს ბიზნეს-გეგმა, საცდელი ნიმუშები, მიმდინარეობს სერიული წარმოების ორგანიზება, ტარდება სამუშაოები პროდუქტის ბაზარზე გასატანად.
Early stage, Early growth	ადრეული ზრდა	5000000-დან 10000000 დოლარამდე	მიმდინარეობს მზა პროდუქციის გამოშვება და კომერციული რეკლამაცია. საწარმოს ჯერ არ გააჩნია მყარი მოგება. ამ სტადიაზე ხდება უზარალოდის წერტილის მიღწევა.
Axspantion	გაფართოება	10000000 დოლარზე მეტი	საწარმო იკავებს მყარ პოზიციას ბაზარზე, იღებს სტაბილურ მოგებას, ფართოვდება წარმოება და რეალიზაცია, იზრდება ძირითადი ფონდები.
Later stage	ბევანი სტადია, მდგრადი განვითარება	დამოკიდებულია საწარმოს საჭიროებებზე	მტკიცე პოზიციება სხვადასხვა მიზნობრივ ბაზარზე, მდგრადი მოგება და დივერსიფიკაციის გადახდა, ექსპლუატიური ზრდის ტემპი მცირეა, საწარმოს აქციები უკვე იყიდება საფონდო ბირჟაზე.

<sup>1</sup> Odeh A., Iadub A., Aqcián-afááéú, I., «Ýéñin», 2008, c 67.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დინამიკაში<sup>1</sup>  
ნახ. 1.



1 – თესვის სტადია; 2 – სთარტ-აფი; 3 – ადრეული ზრდა; 4 – გაფართოება; 5 – მდგრადი განვითარება.

საწარმოს ფინანსური ჩაყარდნა, რომელიც გამოსახულია ნახაზ 1-ზე, გამოცდილი კერძო ინვესტორების წრეში „სიკვდილის ველის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მისი პიკი სთარტ-აფიდან ადრეული ზრდის ფაზისაკენ გარდამავალ ეტაპზე მდებარეობს. ეს დაკავშირებულია წარმოების მოცულობის ზრდასთან, როდესაც ფირმა ცდილობს მზარდ საბაზრო მოთხოვნას შესაბამისი მიწოდებით უკასუროს. ამისათვის, ბუნებრივია, საჭიროა დამატებითი დაფინანსება, რათა დაიფაროს გასაწევი ხარჯები მოწყობილობებზე, ნედლეულზე, მასალებზე, სამუშაო ძალაზე, ენერჯიაზე და ა.შ.

არანაკლებ რთულია თესვის სტადია, როდესაც პროექტი მხოლოდ იდეის ან ინტელექტუალური საკუთრების პაკეტის დონეზეა, ხოლო საწარმო ჯერ ისევ ფორმირების სტადიაზეა. როგორც წესი, ამ ეტაპზე მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ბიზნესის მოდელი, ძირითადი გუნდის შემადგენლობა, მიზნო-

<sup>1</sup> K. Паркс, Как финансировать бизнес. М., «Дело и Сервис», 2008, с. 53.

ბრივი ბაზარი და მისი ათვისების სტრატეგია, ხოლო ფინანსური მანქანები კი საწარმოს დამფუძნებლების ოპტიმისტური ვარაუდები უფროა, ვიდრე ობიექტურ გათვლებზე დაფუძნებული პროგნოზები. თუმცა, სიკვდილის ველის“ ფაზისაგან განსხვავებით, საჭირო ფინანსების მოცულობა არც ისე დიდია. ამის საჭიროება განდება მოგვიანებით, როდესაც საქონელი წარმატებით გაივლის საბაზრო გამოცდას, წარმოების ტექნოლოგიისა და ხარისხის მიხედვით შეიძენს საბოლოო, სტანდარტულ ფორმას და დაიწყება მისი მასობრივი წარმოება.

ფორმის ღირებულება არაწრფივ დამოკიდებულებაში იმყოფება მისი განვითარების ეტაპებთან, რაც, ბუნებრივია, თვით საწარმოს თავისებურებებიდან და მისი განვითარების სტადიების განსხვავებული, რთული ბუნებიდან გამომდინარეობს. ბიზნესის წარმატების შემთხვევაში, როგორც წესი, მკვეთრი ზრდა „გასვლამდე“ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღწევა. ამ მოვლენის ამსახველ გრაფიკს, ინვესტორების უარგონით, „ხოკეის ჯოხს“ უწოდებენ (ნახ. 2).

**საწარმოს კაპიტალიზაციის ზრდა მისი განვითარების სტადიასთან მიმართებით („ხოკეის ჯოხი“)<sup>1</sup>**

ნახ. 2.

თესვა	სთართ-აფი	აღრეული ზრდა	გაფართოება	მდგრადი განვითარება	ასობით მლნ დოლარი
					ათობით მლნ დოლარი
					მლნ დოლარი
					ათობით და ასობით ათასი დოლარი
1	2	3	4	5	

ამგვარად, საწარმოს დაფინანსების ერთიანი პროცესი შეიძლება დავეოთ ფაზებად, რომლებიც ერთმანეთისაგან რისკ-

<sup>1</sup> À. Èàðèèè, À. Ñàíàííà. Á Ìèñèàð áèçíàñ-àíàáèà, Ì., «Áàðèèà», 2008, ñ.24.

ის დონითა და საჭირო ფინანსების მოცულობით განსხვავდება. ამასთან, თითოეულ ეტაპზე დაფინანსების სხვადასხვა წყაროა პრიორიტეტული (ცხრილი 2).

**დაფინანსების წყარო საწარმოს განვითარების ფაზის მიხედვით (მდგრადი განვითარების მიღწევამდე)**

ცხრილი 2

განვითარების სტადია	დაფინანსების წყარო
თესვა	ბიზნეს ანგელოზები, 3F <sup>1</sup> სათესლე ფონდები, სახელმწიფო ფონდები
სთართ-აფი	ვენჩურული ფონდები
აღრეული ზრდა და გაფართოება	ბანკები, საინვესტიციო ფონდები, საფონდო ბაზარზე გასვლა

ჩვენ მიერ განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან მკვეთრად გაემიჯნოთ თესვის და სთართ-აფ სტადიები. სთართ-აფი – უკვე არსებული საწარმოა, რომელიც საქმიანობას ანვითარებს მაშინ, როდესაც თესვის პროექტი ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ბიზნესია. ამ ორი სტადიის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი 3).

საჭიროა კარგად გაეიაზროთ, რომ თესვის და სთართ-აფ სტადიაზე რისკებს განსხვავებული ბუნება გააჩნია. თუ პირველ-სათვის ძირითადი რისკი დაკავშირებულია პროექტის პერსპექტივის გაურკვეველობასთან, მეორე შემთხვევაში ესაა საბრუნავი საშუალებების უკმარისობასა და წარმოების გაფართოების ხარჯებთან დაკავშირებული რისკი. ამიტომაც, სთართ-აფში დაბანდებული კაპიტალი მნიშვნელოვნად აღემატება თესვის სტადიის საწარმოში განსორციელებულ ინვესტიციებს.

<sup>1</sup>3F – friends, family, founders (fools) (მეგობრები, ოჯახი, დამფუძნებლები (გულუბრყვილოები)).

თესვის და სთართ-ავ სტადიის შედარება

		ცხრილი 3	
პარამეტრები	თესვა	სთართ-ავი	
მომავალი ფულის ნაკადი	პროგნოზირებას თითქმის არ ქმნიან	კმედიერება არსებითი სიხუსით პროგნოზირებას	
საწარმოს ფორმირება	ფორმირების პროცესშია	ფორმირებულია	
ბიზნეს-გეგმა	არსებობს ბიზნესის ზოგადი ხედვა და გეგმის ცალკეული ელემენტი	არსებობს წამოყალიბებული ბიზნეს-გეგმა	
ბუნდი	ფორმირდება	ფორმირებულია	
დამფუძნებლების სამეწარმეო გამოცდილება	მწირი, საჭიროებენ ინვესტორის დახმარებას	შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემები	
ბაზარი	მიმდინარეობს შესწავლა, არსებობს ზოგადი ხედვა და მოსაზრებები პროდუქტის წინსვლის თაობაზე	ბაზარი შესწავლილია, განსაზღვრულია მიზნობრივი სეგმენტი, მიმდინარეობს მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება	
ინტელექტუალური საკუთრება	არასრულყოფილი ხასე გააჩნია, ხშირდ არ არის დარეგისტრირებული	პირველადი პაკეტი ჩამოყალიბებული და რეგისტრირებულია	
წარმოება	ხდება საცდელი წარმოების აწყობა	საცდელი წარმოება აწყობილია, მიმდინარეობს მასობრივ წარმოებაზე გადასვლა	
საჭირო ინვესტიციები	მდნ დოლარამდე	1-დან 5 მლნ დოლარამდე	
დანახარჯების სტრუქტურაში გამოკვეთილია	საწარმოს რეგისტრაციის ხარჯები, გუნდის წევრების ხელფასი, შენობის არქონა, ინტელექტუალური საკუთრების გაფორმება, ნედლეულის და მასალების შესყიდვა, ბაზრის შესწავლის და საქონლის წინსვლის სამუშაოები	თანამშრომლების შტატის გაზრდა, მასობრივ წარმოებაზე გადასვლის სამუშაოები, მარკეტინგული კვლევები, რეკლამა, საწარმოს იმიჯის ფორმირება, საბრუნავი საშუალებები	
ინვესტორისა და მეწარმის შეხვედრები	არაფორმალური პირადი შეხვედრები	ფორმალური შეხვედრები და დოკუმენტი გრაფიკით	

განსხვავება საწარმოთა მიზნებში, განაპირობებს არსებით განსხვავებას მათი მართვის სტილში. სტართ-ავის დროს მიმდინარე და სტრატეგიული ამოცანების შესრულების საფუძველს ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს, რომელიც გადახედვას იშვიათად ექვემდებარება. საწარმოში თესვის სტადიის სტრატეგია და მმართველობითი პროცედურები ფორმირების პროცესშია, ბიზნესი კი ზოგადი ჭრილით განსაზღვრული და ხშირად კორექტირებადი მიზნების პირობებში ხორციელდება. სწორედ ამიტომ, სტრატეგიის ფორმირება თესვის სტადიის საწარმოს ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა, რომელიც პროექტის მონაწილეებისაგან დიდი დროისა და ენერჯის ხარჯვას ითხოვს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თესვისა და სთართ-ავ სტადიის საწარმოებს ბევრი საერთო ნიშანიც გააჩნია, რაც მათ ანათესავებს და მნიშვნელოვნად განსხვავებს განვითარების უფრო გვიან სტადიაზე მყოფი საწარმოებისაგან. თესვის სტადიაზე მყოფი პროექტი და სთართ-ავი – ესაა მარტივი მართვის სტრუქტურა, არაფორმალური ურთიერთობები საწარმოს კოლექტივში, მდგრადი მოგების უქონლობა, ახალ ბაზრებზე მუშაობა, მსხვილი და ლიკვიდური აქტივების არქონა. ამიტომ, ადრეული სტადიის საწარმოებზე მსჯელობისას ხშირად ორივეს (თესვა და სთართ-ავი) ერთად მოიაზრებენ.

Business Funding Aspects in Dynamics

Sh. Shaburishvili

Business development and growth process are divided into stages. Risk level and its feature has paramount role in the moment of picking out firm development stages. Diversifying of the project development stages are gaining great significance in the contemporary business. It has distinct practical meaning as the project is financing from the various sources. This phenomenon is called as an „Investment chain”.

Firm value has no rectilinear dependence with its development stages, which is caused because of particular feature of the firm and different and complicated nature of its development stages. As usual, in case of business success, firm achieves superior growth during several last years. According to the Investors' slang the diagram that describes above mentioned phenomenon is called „Hockey Stick”.



**მარინა ლუღუშაური**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

ტურიზმი ბოლო წლებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესი გახდა. მსოფლიო ექსპორტში ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს მესამე ადგილი უჭირავს ნავთობისა და ავტომობილების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების შემდეგ. ექსპერტების პროგნოზით, საერთაშორისო ტურიზმის განვითარება შემდგომშიც გაგრძელდება.

საქართველოს თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, რეკრეაციული შესაძლებლობების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია. ამ მნიშვნელოვანი რესურსების მეოხებით საქართველო ტურიზმის განვითარებისთვის გამორჩეული ქვეყანაა. კერძოდ, განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია ტურიზმის შემდეგ სახეობებს: 1. საკურორტო და რეკრეაციული ტურიზმი; 2. კულტურული ტურიზმი (არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია); 3. სათავგადასავლო ტურიზმი (ლაშქრობა, წყალჯომარობა, ცხენებით ჯირითი, თხილამურებით სრიალი); 4. ეკო-ტურიზმი (დაკვირვება ფლორასა და ფაუნაზე); 5. აგრო-ტურიზმი; 6. სპეციალური დაინტერესების ტურიზმი (მედიცინის მოყვარულებისთვის, გურმანებისთვის, ფოტომოყვარულთა და კინოდოკუმენტალისტებისთვის); 7. საქმიანი ტურები (თემატური შეკრებები, ფესტივალები, კონგრესები და კონფერენციები).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. კრიზისი მწვავედ

შეესო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგსაც – ტურიზმსაც. მოიშალა და გაჩანაგდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, სასტუმროების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების და პანსიონატების დიდი უმრავლესობა დევნილი მოსახლეობის თავშესაფრად იქცა.

1993

წელს, მას შემდეგ რაც საქართველოს მიერ აღიარებულ იქნა „ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი“, საქართველო გაწვერიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში. 1997 წლის 6 მარტს მიიღეს საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. კანონში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები და დამატებები, რაც დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მომენტებს ითვალისწინებდა, შემუშავდა ასევე სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებიც. აქედან იწყება ტურიზმის თანდათან აღდგომის პროცესი.

ტურიზმის მეშვეობით დროის მოკლე მონაკვეთში შესაძლებელია ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების მიღება, სოფლის განვითარება. მთავრობამ, გაითვალისწინა რა ტურიზმის პოტენციალი, იგი გამოყო, როგორც მთავარი ეკონომიკური პრიორიტეტი. ბოლო რამდენიმე წელი საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგად ამ მხრივ დაიწყო გამოცოცხლება. ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ზრუნვისა და საკანონმდებლო სისტემის დახვეწის შედეგად ტურიზმის სფეროში აშკარა წინსვლა ფიქსირდება, თუმცა ტურიზმსა და საკურორტო ბიზნესში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი მაინც არსებობს. ზოგადი კანონების პარალელურად აუცილებელია, რომ საკანონმდებლო აქტებში სასტუმროების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების და ა.შ. ფუნქციონირების და მომსახურების ნორმატივები დეტალურად რეგულირდებოდეს გარკვეული სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, აუცილებელია, რომ ტურპროდუქტის მომხმარებლის უფლებები და ინტერესები დაცული იყოს საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებისა და ნორმე-

ბის შესაბამისად.

ტურიზმი, როგორც მომსახურების სფეროს დარგი, შედგება საერთაშორისო ტურიზმისა და შიგა ტურიზმისაგან. საერთაშორისო ტურიზმი, თავის მხრივ, მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს. საქართველოში ამ ეტაპზე აქცენტი კეთდება შემომყვან ტურიზმზე. ეს მარტივად აიხსნება, რადგან ამ სექტორში შედარებით იოლი მოსაგვარებელია შემოსავლების მიღება უცხოელი რეზიდენტების მხრიდან, გადასახადების აკრეფა და სხვა, ვიდრე გამყვანი ტურიზმის სექტორში, რომელიც ჯერ-ჯერობით სრულიად გაუკონტროლებელი სფეროა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონით „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, უცხოელი ტურისტების მიღება და მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე განიხილება, როგორც ტურისტული მომსახურების ექსპორტი, ამიტომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით.

შემომყვანი ტურიზმის განვითარების კვლადაკვალ საჭიროა საქართველოში განვითარდეს სასტუმრო მეურნეობის ისეთი ინდუსტრია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პროგრამის, ეროვნული სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს საქართველოს მთავრობა და რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ სფეროს განვითარების მიზნები, პრიორიტეტები, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ის სახელმწიფო უწყებები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით საინტერესია თურქეთის რესპუბლიკის გამოცდილება, სადაც ტურისტული ინდუსტრიის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე მოკლე დროში შესაძლებელი გახდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე აშენებულიყო სასტუმროების თანამედროვე ქსელი შესაბამისი ინფრას-

ტრუქტურით.

ამჟამად დაწყებულია ტურიზმის სტრატეგიის შემუშავების პროცესი მთელი საქართველოსათვის. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის საგრანტო პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა ჩაატარა ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალის კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტურისტული პოტენციალის შესწავლა, რომელშიც კახეთი გამოიყო, როგორც პრიორიტეტული რეგიონი. ძირითადი აქცენტი ამ რეგიონზე იმ მიზნით გაკეთდა, რომ კახეთში და კერძოდ, ქალაქ სიღნაღში განესაზღვრათ ღვინის ტურიზმის განვითარების საუკეთესო სტრატეგია.

ბაზრის აღნიშნული კვლევა წინადადებული პრაქტიკული ნაბიჯია, რომლის შედეგებსაც გაეცნო ყველა დაინტერესებული მხარე. მომხმარებლისთვის საბოლოო პროდუქტის შეთავაზების მიზნით, მათ საშუალება მიეცათ ზუსტად განსაზღვრონ სასტუმროებთან, კვებასთან, ტურისტულ მარშრუტებთან და სხვა ტურიზმთან დაკავშირებული მოთხოვნები.

მიმდინარე წელს, 23-25 აპრილს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიამ“ უმასპინძლა XII საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას – “CTF 2010-ს”, სადაც წარმოდგენილი იყო 90 სხვადასხვა ორგანიზაცია, კერძოდ, ტურისტული კომპანიები, დასასვენებელი კომპლექსები, სასტუმროები, მუზეუმები, ტურისტული პროფილის სასწავლებლები და სხვა. ამ გამოფენაზე დამთვალიერებელი გაეცნო საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და საშუალება მიეცა საქმიანი კონტაქტები დაემყარებინა სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან, აქვე არსებობდა საზაფხულო დასვენების (როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ) წინასწარი დაგეგმვის შესაძლებლობაც.

გამოფენაში, გარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა, მონაწილეობდნენ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ეს იმითაც არის მნიშვნელო-

ვანი, რომ ყოველწლიური გამოფენის მეშვეობით თბილისმა შეიძინა კავკასიური ტურიზმის პლატფორმის ერთგვარი იმიჯი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენა წელს ნაკლებად მასშტაბური იყო, რაც გლობალურ ფინანსურ კრიზისს უკავშირდება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (ქენევა, შვეიცარია) ყოველწლიურად 1 მარტს აქვეყნებს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშს. ქვეყნების გრადაციან ეფუძნება მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსს (Travel & Tourism Competitiveness Index - TTCI), რომელიც მოიცავს მსოფლიოს 130-მდე ქვეყანას. ინდექსი აფასებს იმ ფაქტორებსა და პოლიტიკას, რომელიც მიმზიდველს ხდის მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში. შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ფაქტორები: 1. პოლიტიკის განმსაზღვრელი კანონები და რეგულირება; 2. გარემოს რეგულირების წესები; 3. დაცულობა და უსაფრთხოება; 4. ჯანდაცვისა და ჰიგიენის მდგომარეობა; 5. მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა; 6. საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; 7. სახმელეთო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; 8. ტურისტული ინფრასტრუქტურა; 9. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; 10. ფასების კონკურენტუნარიანობა; 11. ადამიან-კაპიტალი; 12. ტურიზმისადმი ეროვნული დამოკიდებულება; 13. ბუნებრივი და კულტურული რესურსები.

აღნიშნული გრადაციის მიხედვით საქართველო 2007 წ. 124 ქვეყანას შორის 66-ე, 2008 წ. 130 ქვეყანას შორის – 72-ე, 2009 წ. კი 133 ქვეყანას შორის – 73 ადგილზე იმყოფებოდა.<sup>1</sup> საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიუხედავად, TTC-ს ინდექსის მიხედვით წინსვლა არ ფიქსირდება, ეს კი ძირითადად არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და ფასების დაბალი კონკურენტუნარიანობით არის განპირობებული.

საქართველოს ტურპროდუქტი არასაკმარისად კონკურენტუნარიანია.

<sup>1</sup> World Economic Forum \_ The Travel & Tourism Competitiveness Report 2009.

ტუნარიანია. ტურისტულ ინდუსტრიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურპროდუქტის ფასისა და ხარისხის ისეთი შეფარდება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ლოკალურ (ადგილობრივ), ასევე უახლოესი მეზობელი ქვეყნების ბაზრებზეც. ტურიზმის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იქნება მოხდეს საქართველოსა და კონკურენტი ქვეყნების ტურისტული კომპანიების საშუალო დღიური ღირებულებების შედარება. ამ თვალსაზრისით თურქული და რუმინული ტურპროდუქტის უპირატესობა აშკარაა. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ეს ავიაბილეთების შედარებით დაბალი ფასებითაცაა მიღწეული, რაც ზრდის ამ ქვეყნების ტურპროდუქტების კონკურენტუნარიანობას ქართულთან შედარებით.

საქართველოში ტურიზმის განვითარების დიდი ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მომსახურება ანალოგიური მოცულობის ევროპის აეროპორტებთან შედარებით 5-ჯერ და ხშირად მეტჯერ ძვირი ჯდება. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორი კომპანია „ტავ ურბან ჯორჯიას“ მომსახურების მაღალი ტარიფები მნიშვნელოვნად აძვირებს ავიაბილეთებს. ეს ფაქტორი საქართველოში ევროპელი ტურისტების რაოდენობას ძლიერ ამცირებს. მაგალითად, ბალტიისპირელმა ტურისტმა საქართველოში ჩამოსვლისას მარტო ავიაბილეთში 500-600 დოლარი უნდა გადაიხადოს, მაშინ, როცა ამ ფასად ავსტრიაში გაემგზავრება და სასტუმროს ღირებულებასაც დაფარავს. ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, საქართველოში ჩამოსული ვიზიტორის ხარჯების 40-50%-ს მხოლოდ ავიაბილეთის ფასი შეადგენს, რაც ტურიზმისათვის დამღუპველია.

გარდა ამისა, ქვეყანაში არსებობს სასტუმროების დაჯავშნის პრობლემაც. ინტერნეტ-გვერდი „TOP.GE“ გვთავაზობს ინტერნეტის ქართველი მომხმარებლების სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოქმედი ტურისტული ფირმების დიდ უმეტესობას ინტერნეტში გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი

და მონაცემებს მეტ-ნაკლებად ანახლებს. მიუხედავად ამისა, სასტუმროებისა და საინტერესო ტურების ონლაინ დაჯავშნა მაინც დიდი პრობლემაა. ინტერნეტის გამოყენება ქართული ტურისტული პროდუქტის მიმართ სწორად მხოლოდ დათვალიერებითა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაკავშირებით ამოიწურება.

ტურიზმის განვითარების ღონისძიებათა რეალიზაციისთვის, აუცილებელია კადრების მომზადების თანამედროვე სისტემის შექმნა, კერძოდ, საჭიროა კომუნიკაბელური და კვალიფიციური კადრების მომზადება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ახლო მომავალში წინა პლანზე წამოიწევს ე.წ. „ახალი ტურისტი“, რაც ნიშნავს, რომ ტურიზმის ტრადიციული სახე – ყოველწლიურად ზღვაზე, ან მთაში დასვენება, თანდათან გარკვეულ ადგილს დაუთმობს ახალ სახეობებს, მაგალითად, საქმიან ტურიზმს, ეკო-ტურიზმს, სათავგადასავლო, შემეცნებით ტურიზმს და ა.შ. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობის მმართველობითი გამოცდილების უქონლობისა და ფინანსური შეზღუდვების გამო განთავსების ადგილებში მომსახურების ღონის ამადლება რთულდება. ეს ფაქტორი ხარისხიანი ტურპროდუქტის მიწოდების საქმეში მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის და შემომყვან ტუროპერატორებს ხელს უშლის საერთაშორისო ტურისტული პროგრამების შემუშავებაში.

ტურიზმის დარგის განვითარებისა და მისი ეფექტიანი მართვისათვის ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომსახურე პერსონალისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. ამჟამად საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ მოსახლეობას ეძლევა საშუალება, რომ შეისწავლოს ინგლისური ენა, ასევე სხვადასხვა რეგიონში ტარდება ტრენინგები ტურისტთა კვალიფიციური მომსახურებისათვის. აღნიშნული ღონისძიებები უსათუოდ დადებითად აისახება

<sup>1</sup> World Economic Forum \_ The Travel & Tourism Competitiveness Report 2009.

ტურიზმის განვითარებაზე.

ქვეყნის და დარგის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მთავარი პირობაა საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება. საინვესტიციო აქტიურობა, როგორც ცნობილია, დიდად არის დამოკიდებული ფაქტორთა მთელ რიგზე (მაგალითად, სტაბილური პოლიტიკური ვითარება, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, საბაჟო-საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ქმნის განსახლებურ საინვესტიციო კლიმატს. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით, 2004-2008 წლებში (ომამდე) მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ტურიზმში და 2007 წელს 1 მრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, რამაც ხელი შეუწყო ტურისტების ნაკადების ზრდას საქართველოში. ამჟამად ინვესტორების ინტერესების სფეროშია საქართველოს ზღვის სანაპირო. ასევე დღის წესრიგში დგას კურორტ წყალტუბოს რეაბილიტაციის და კურორტების – უჯარმისა და ბახმაროს პერსპექტიული განვითარების საკითხები.

ტურიზმის განვითარებისთვის სასურველია მთავრობის ხელშეწყობით მოეწიოს გაცნობითი ტურები მასმედიის და ძირითადი ბაზრის წარმომადგენლებისთვის, საერთაშორისო ტუროპერატორებისთვის – ტურიზმის ყველა სექტორის მონახულებით.

კარგი იქნება ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის საქმიანობა პირდაპირ უკავშირდებოდეს და ორიენტირდებოდეს ტურიზმის ბიზნესიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაზე. ტურიზმის სფეროში არსებული იურიდიული და კერძო პირების შემოსავლების ზრდა უნდა ხდებოდეს საგადასახადო განაკვეთების შემცირების საფუძველზე, ხოლო ტურიზმის დეპარტამენტის მუშაკების (რომლებიც პასუხისმგებლები არიან დარგის წარმატებით ფუნქციონირებაზე) შრომის ანაზღაურება დაკავშირებული უნდა იყოს ტურიზმის დარგიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლების ზრდის პროცენტულ მაჩვენებელთან. შედეგად, მმართველი ორგანოს მუშაკები მეტად მოტივირებულნი იქნებიან ეფექტიანად მართონ ტურისტული ინდუსტრია.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით, 2010

წლისთვის საერთაშორისო ტურისტული შემოსვლები გაიზარდა 937 მლნ კაცამდე, ხოლო მსოფლიო ტურიზმის ყოველწლიური ზრდის ტემპი 3,5% გახდება.

რამდენად აისახება საქართველოს ტურიზმის სფეროზე ეს დადებითი ტენდენციები, ამას წლევანდელი ტურისტული სეზონი აჩვენებს.

### Trends of Tourism Development in Georgia

*M. Ghudushauri*

This article aims to discuss general problems and basic tendencies of tourism development in Georgia.

Lately tourism became one of the most profitable businesses in the world and according to the experts prognosis, development of the international tourism will continue in the future. Georgia is one of the most distinguished countries according to its natural resources.

Due to the reforms realized in Georgia, tourism started reviving. It aims to maintain high standerds of castomer care. Also it is necessary to work aut unified plan of the government program for developing tourism in our country.


It is necessary to make mational strategical plan, which will be coordinated by the Georgian government and in which, there will be defined aims for developing this field , its priorities and strategies. Besides, it is important to withdraw country and this sphere of business from crisis , increase the investing environment and become more active.

At present a process of the government tourism strategy has started all over the country.

Acoording to the data presented by tourist organization (UNWTO) , number of visitors increased to 937 million in 2010.

The yearly rate of the world tourism will increase by 3.5%

How all these positive basic tendencies reflect on Georgian tourism will show tourist season this year.



**გიორგი ლოღონაძე,**  
**პაატა კოლუაშვილი,**  
**ივ ჯავახიშვილის თსუ**  
**პროფესორები, ეკონომიკურ**  
**მეცნიერებათა დოქტორები**

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო), რომელიც აღიარებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ, ადგენს მსოფლიო ვაჭრობის წესებს და არეგულირებს ამ წესებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს. ვმო-ს ძირითადი მიზანია მსოფლიო ვაჭრობაში ყველა ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა ან შემცირება. დღეისათვის ვმო -ში გაერთიანებულია 153 ქვეყანა.

სამრეწველო საქონლის ბაზრებთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრების ლიბერალიზაციამ ნაკლებ წარმატებას მიაღწია. რამდენადაც ტრადიციულად სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის ყველაზე რეგულირებად სექტორს წარმოადგენს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში GATT-ის ჩარჩოებში ის მრავალმხრივი მოლაპარაკებების თემას საერთოდ არ წარმოადგენდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლების, სოფლის მოსახლეობის შესაბამისი ცხოვრების დონისა და მისადები ფასებით მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული ქვეყანა თუ გაერთიანება საკუთარი „თამაშის წესებს“ თავად ადგენს. ასე მაგალითად, ევროკავშირმა (ეკ) განვლილ პერიოდში საერთო აგრარული პოლიტიკის ფარგლებში მეტად დაცული შიგა ბაზარი შექმნა. რასაც ადას-

ტურებს ისიც, რომ ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო მოსაკრებლები საშუალოდ 62%-ს შეადგენს.

ეკ-მა უკანასკნელ წლებში ექსპორტის სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხების მოცულობა მნიშვნელოვანად შემცირდა. 2000 წლისთვის იგი დახლოებით 5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. სახელმწიფოს მიერ ექსპორტის ფინანსური მხარდაჭერა, ხელშეწყობად ზრდიდა ეროვნული მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას საგარეო ბაზარზე, მნიშვნელოვნად ამახინჯებდა საერთაშორისო ვაჭრობას და გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებზე.<sup>1</sup>

ეკ-ის საერთო აგრარული პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ფასების შიგა მხარდაჭერა წარმოადგენს. იგი ვმო-ს მიერ აღიარებული „სამი ყუთის“ სისტემით არის ფორმირებული. მათ შორის, დახმარებები, დაკავშირებული წარმოების მოცულობასა და ფასების სუბსიდირებაზე, „ქარვის ყუთის“ ღონისძიებებს მიეკუთვნება და საგარეო ვაჭრობის შემზღვეველი ღონისძიებებია. „ლურჯი ყუთის“ ღონისძიებებს სახელმწიფო პირდაპირი დახმარებები მიეკუთვნება. ისინი ან საერთოდ არ აბრკოლებენ ვაჭრობას ან ეს დაბრკოლება უმნიშვნელოა (მაგალითად დახმარებები პირუტყვის სულადობის ან მიწის ფართობის მიხედვით). „მწვანე ყუთის“ ღონისძიებებს ის სახელმწიფო დახმარებები მიეკუთვნება, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებას არ უკავშირდება და საგარეო ვაჭრობას არ აფერხებს (მაგალითად, სტრუქტურული ადაპტაციის მხარდაჭერის პროგრამები, აგრარული ეკონომიკური პროგრამები, რეგიონული მხარდაჭერის პროგრამები, სასურსათო დახმარება).

ეკ-ის ქვეყნების შიგა მხარდაჭერის ღონისძიებების დახლოებით 53% „ქარვის ყუთზე“ მოდის, ხოლო დანარჩენი – „მწვანე“ და „ლურჯი“ ყუთებს შორის დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული. ეკ-ის ასეთი აგრარული პოლიტიკა მძიმე ტვირ-

<sup>1</sup> სამახსოვრო საერთაშორისო-სავაჭრო რეჟიმებზე. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და სამართლის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2004.

თად აწევა ბიუჯეტს. ასე მაგალითად, 2003 წელს მისი ბიუჯეტის 45% საერთო აგრარული პოლიტიკის განხორციელებაზე დაიხარჯა.


პირველი ნაბიჯები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრების ლიბერალიზაციისთვის „ურუგვაის რაუნდის“ მართონულ მოლაპარაკებაზე (1986-1994წ) გადაიდგა, სადაც სოფლის მეურნეობის შესახებ პირველ მრავალმხრივ შეთანხმებას მიაღწიეს. შეთანხმებაში განსაზღვრული იყო ვალდებულება საქსპორტო სუბსიდიების შემცირებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტის ბაზრებზე შესვლის გაუმჯობესების შესახებ. ეს შეთანხმება შეფასდა როგორც წარმატება, რადგან პირველად გახდა შესაძლებელი აგრარული სექტორის ჩართვა მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში. მიუხედავად ამისა, შეთანხმების შედეგად ჯერ კიდევ შეზღუდულია კონკურენციული ბაზრის ჩამოყალიბების პირობები, ხოლო ბარიერები სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობაში ძალზე მაღალია. სოფლის მეურნეობაში პროტექციონიზმის განსაზღვრისთვის გამოიყენება მეწარმეთა მხარდაჭერის შეფასების მანქანებელი – PSE, რომელიც აბსოლუტური გამოხატულებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის მომხმარებლებისა და გადასახადის გადამხდელების მიერ გადახდილ თანხებს გვიჩვენებს (ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაში მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის PSE-ს მონაცემები პროცენტობით).

PSE როგორც ინდიკატორი მოიცავს ყველა პოლიტიკურ ღონისძიებას, მიუხედავად მისი მიზნებისა და გავლენისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობასა და შემოსავლებზე.

პროტექციონისტული ღონისძიებებით, ყველა სახეობის პროდუქციის მიხედვით, ეკ-ის (PSE=43%), შვეიცარიისა და იაპონის შემდეგ, წამყვანი ადგილი უკავია. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ პროდუქციის არც თუ ისე დიდი ასორტიმენტი ძლიერად არის დაცული, ხოლო სხვა პროდუქტებზე პროტექციონისტული

ღონისძიებები თითქმის არ ვრცელდება. ასე, მაგალითად, ეკ-ში 2001 წელს პირუტყვის ხორცის მიხედვით PSE შეადგენდა 73%-ს, შაქარზე 44%-ს, მარცვლეულზე – 46%-ს, რძეზე – 41%-ს. ეს მაჩვენებელი ღორის ხორცზე კი მხოლოდ 20% იყო. სწორედ ცალკეულ პროდუქციაზე მხარდაჭერის ღონეებს შორის განსხვავება როგორც ეკ-ის შიგნით, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, სასაქონლო ნაკადების დამახინჯების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ურუგვაის რაუნდზე მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმებით PSE უმნიშვნელოდ შემცირდა. ეკ-მა დაიწყო საექსპორტო სუბსიდიების შემცირება (ვაჭრობის შეზღუდვის აღმოფხვრის წინააღმდეგ), აღინიშნა შემოსავლების დაცვისთვის მაღალი ფასების მხარდაჭერის პოლიტიკაზე უარის თქმის ტენდენციაც.

მეწარმეთა მხარდაჭერის შეფასების მაჩვენებელი (PSE) %%



ემო-ს წევრმა ქვეყნებმა 2000 წელს აიღეს ვალდებულება დაეწყოთ მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის შემდგომი ლიბერალიზაციის შესახებ. მართლაც 2001 წელს დოჰას რაუნდი დაიწყო (ყატარი, დოჰა, 9-14 ნოემბერი, 2001). დოჰას რაუნდის დეკლარაციის მიხედვით მის გრძელვადიან მიზანს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე სამართლიანი და საბაზრო ურთიერთობაზე დამყარებული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ამისათვის აუცილებელი იყო ბაზრებზე შესვლის თავისუფლების ხარისხის ამაღლება, ყველა საექსპორტო პროდუქციის სუბსიდიების თანდათანობით შემცირება ან სრულიად გაუქმება და ვაჭრობის შიგა მხარდაჭერის ღონისძიებების შემცირების გაგრძელება<sup>1</sup>.

ეკ-ი როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის მეორე მსხვილი ექსპერტიზის მსოფლიოში, ძალიან დაინტერესებულია საზღვარგარეთის ბაზრებზე შესვლის თავისუფლებითა და სოფლის მეურნეობის პროდუქციით მსოფლიო ვაჭრობაში თავისი ხვედრითი წონის შენარჩუნებით. ეკ-ის თვალსაზრისით სასურველი იქნებოდა აშშ-ის რძის ბაზარი ან ღორის ხორცის ბაზარი იაპონიაში გახსნილიყო (მსოფლიოში საბაჟო მოსაკრებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საშუალოდ დახლობით 40%-ს შეადგენს). ბაზარზე შესვლის გაუმჯობესების მიზნით ეკ-ის მოითხოვდა საბაჟო მოსაკრებლები 36%-ით, ხოლო თვითეული სატარიფო ხაზის მიხედვით არა ნაკლებ 15%-ით შეემცირებინათ. ეს მიგვანიშნებს, რომ ეკ-ის სურვილი აქვს, საბაჟო მოსაკრებლების შემცირებასთან ერთად, სხვადასხვა სახეობის პროდუქციაზე განსხვავებული რეაგირება მოახდინოს. საქმე ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო ტარიფები მოსაკრებლების განაკვეთების პროგრესული სტრუქტურით ხასიათდება, ეკ-ი საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები იზრდება საწარმოო ციკლის მიხედვით, გად-

<sup>1</sup> ემო მინისტრთა მეოთხე კონფერენცია, დოჰა 2001 წლის 9-14 ნოემბერი. სექართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენი, 2005.

ამუშავების ხარისხის გათვალისწინებით. ეკ-ის, შვეიცარიის, ნორვეგიისა და იაპონიის მოთხოვნა საბაჟო განაკვეთების შემცირებისას უბრალო საშუალო არითმეტიკული ყოფილიყო გამოყენებული, საბაჟო მოსაკრებლების არსებული სტრუქტურის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა. ეკ-ის მაღალი საბაჟო მოსაკრებლები, პირველ რიგში, ზღუდავს, შაქრის, უცხიმო რძის, ხილის, ბოსტნეულისა და პირუტყვის ხორცის იმპორტს.

საბაჟო მოსაკრებლების ეფექტიანი შემცირების მისაღწევად აშშ და ბევრი განვითარებული ქვეყანა შვეიცარიული ფორმულის გამოყენებას მოითხოვდა, რომლის მიხედვითაც მოსაკრებლის მაღალი განაკვეთები უფრო მეტ შემცირებას უნდა დაექვემდებაროს. განვითარებული ქვეყნების საბაჟო მოსაკრებლების პროგრესიული განაკვეთებით დაბევრის პრაქტიკა, უპირველეს ყოფლისა, ამ ქვეყნებს ექსპორტზე ორიენტირებული კვების მრეწველობის დარგების განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს. მაღალი განაკვეთების უფრო მეტად შემცირება კი ეკ-ის პროტექციონისტულ ბაზრებზე მთელ რიგ პრობლემას გამოიწვევდა (მაგალითად რძისა და შაქრის ბაზარზე).

მოლაპარაკებებზე ეკ-ი ასევე დიდ ყურადღებას არასატარიფო პრობლემების განხილვას უთმობდა. სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებთან ერთად, მას მომხმარებლების დაცვის ისეთი ასპექტებიც მიეკუთვნება (მაგალითად, საკვები პროდუქტების უსაფრთხოების, განსაკუთრებით ევროპაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ენცეფალიტის დაავადების კრიზისის შემდეგ), როგორცაა პროდუქტების მარკირება და მწარმოებელი ქვეყნის აღნიშვნა, რაც ვმო-ს მიერ ნაკლებად რეგულირდება.

„დოჰას რაუნდზე“ საკამათო საკითხს გენეტიკურად სახეცვლილი საკვები პროდუქტების ექსპორტი წარმოადგენდა. ამ კუთხით, პირველ რიგში, აღსანიშნავია აშშ-ს მსხვილი კონცერნები: „მონსანტო“ და „ნოვარტისი“, რომლებიც სათესლე მასალად სიმინდის, ხორბლისა და სოიოს გენეტიკურად მოდიფიცირებულ

თესლს იყენებენ. ამიტომ, აშშ-ს მთავრობა გენური ინჟინერიის პატენტების ურთიერთადიარებას არა მარტო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, არამედ თვლის, რომ ტრანსგენური საკვები პროდუქტებით ვაჭრობა არ უნდა შეიზღუდოს. ეკ-ი, იაპონია და მექსიკა სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას ამ საკითხის მიმართ, რის გამოც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი იძენს. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით ევროკავშირი თავის პოზიციებს დაიცავს.

დიდი მნიშვნელობა აქვს საექსპორტო სუბსიდიების საკითხს. მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გაცემული სუბსიდიების 90% ეკ-ზე მოდის. ამიტომ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ისეთი დიდი ექსპორტიორები, როგორცაა აშშ, „კერნის ჯგუფის“ ქვეყნები – ავსტრალია და ახალი ზელანდია, ასევე ზოგიერთი განვითარებული ქვეყნა, მაგალითად, ინდოეთი და ბრაზილია ეკ-სთან უახლოეს წლებში საექსპორტო სუბსიდიების სრულ გაუქმებას მოითხოვდნენ. ეკ-ი მზად არის მხოლოდ მისი ეტაპობრივი შემცირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დოჰაში მიღწეულია შეთანხმება საექსპორტო სუბსიდიების გაცემის შეწყვეტაზე, ეკ-ი დღემდე მაინც იკავებს უკომპრომისო პოზიციას და მიღებულ გადაწყვეტილებას სრულყოფილად არ ასრულებს.

ბაზრებზე შესვლის გაუმჯობესების და საექსპორტო სუბსიდიების გაუქმების დისკუსიებთან ერთად დოჰას რაუნდზე ასევე შიგა მხარდაჭერის შემცირების საკითხი განიხილებოდა. აშშ და „კერნის ჯგუფის“ ქვეყნები ასევე ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა ვაჭრობის შემზღუდველ სახელმწიფო სუბსიდიების რადიკალურ შემცირებას მოითხოვდა. ამის საპირისპიროდ, ეკ-ი მზად არის შეამციროს საექსპორტო სუბსიდიები 35%-ით AMS-თან შედარებით.

ეკ-ის გაფართოებამ აღმოსავლეთით, ვმო-ში მოლაპარაკებების დროს მის აგროპოლიტიკურ პოზიციაზე მოახდინა გავლენა.

საქმე ისაა, რომ ახალ წევრ – ქვეყანებს (ყველა არის ვმო-ს წევრი) აქვთ მოსაკრებლების ბმული განაკვეთების უფრო დაბალი დონე, ვიდრე ეკ-ს. 2001 წლის მარტში გამოქვეყნებულ ვმო-ს მონაცემებით, 2000 წელს საშუალო აგრარული მოსაკრებლები ეკ-ში შეადგენდა 62%, მაშინ როცა ის პოლონეთში – იყო 41%, უნგრეთში - 45%, ჩეხეთის რესპუბლიკაში -54%, სლოვაკეთში -27% და ლატვიაში – 25%. ახალმა წევრმა ქვეყნებმა ეკ-ში გაერთიანების შემდეგ უფრო მაღალი საბაჟო მოსაკრებლები მიიღეს. ვმო-ში არსებული პრინციპებიდან გამომდინარე საბაჟო და სავაჭრო ბარიერების ახალი ვალდებულებების მიღების შედეგად ვმო-ს სხვა წევრი ქვეყნებისათვის იგი უნდა იყოს – ‘მთლიანობაში დაბალი ან უფრო შემზღვეველი’, ვიდრე საბაჟო კავშირში ინტეგრაციამდე.

ვმო-ის დებულებით, მის წევრ ქვეყნებს მათი სავაჭრო ინტერესების დარღვევის პირობებში უფლება აქვთ მოითხოვონ კომპენსაცია სავაჭრო-პოლიტიკური დათმობების ფორმით. ასეთ შემთხვევაში ეკ-ი ვალდებულია შესაბამის ქვეყნებს განსაზღვრულ საქონელზე არსებულ საბაჟო მოსაკრებელზე და იმპორტის მოცულობაზე შეღავათები მისცეს.

ეკ-ის გაფართოება არ გამოიწვევს სუბსიდირებული ექსპორტის ზრდას, რადგან ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს ვმო-ს ჩარჩოში თითქმის ან საერთოდ არა აქვთ ვალდებულება საექსპორტო სუბსიდიების თაობაზე.

ეკ-ის გაფართოებამ შიგა მხარდაჭერის მოცულობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ასევე არ მოახდინა, რადგან ამ ქვეყნებს GATT-ის ფარგლებში განსაზღვრული სუბსიდირების ძალიან მცირე თანხები აქვთ. მაგალითად, ვმო-ს მონაცემებით, 2000 წელს პოლონეთში მთელი შიგა მხარდაჭერის 28,4% „ქარვის ყუთის“, ხოლო 71,6% – „მწვანე ყუთის“, ღონისძიებებზე მოდიოდა. ღონისძიებები რომლებიც მიეკუთვნება „ლურჯ ყუთს,“ საერთოდ არ სუბსიდირდებოდა. სლოვენიაში სუბსიდიები ნაწილდებოდა შემდე-

გნაირად: „ქარვის ყუთი“- 9%, „ლურჯი ყუთი“ –14%, „მწვანე ყუთი“-77% ; ლატვიაში: „ქარვის ყუთი“- 24%, „ლურჯი ყუთი“-0%, „მწვანე ყუთი“ –76%.

2002 წლიდან დოჰას რაუნდის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მინისტრების მე-5 კონფერენციაზე (კანკუნი, 10-14 სექტემბერი, 2003 წელი) დასაწყისშივე აღინიშნა აგრარული საკითხების შეთანხმების მნიშვნელობა მთლიანად მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაში, მაგრამ კონფერენციის მიმდინარეობის ხუთ დღეში ვერ მოხერხდა პოზიციების დაახლოება. მონაწილეებმა ისიც კი ვერ შეძლეს, რომ პირობებზე ანუ მოლაპარაკებების საფუძველზე შეთანხმებულიყვნენ. ამის ძირითად მიზეზს განვითარებადი ქვეყნების როლის გაძლიერება წარმოადგენდა, რომლებიც მოლაპარაკებების დაწყების წინ G-21 ჯგუფში გაერთიანდნენ. ამ პროცესს ხელმძღვანელობდნენ ბრაზილია, ინდოეთი და ჩინეთი. მათ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს მოთხოვეს ერთმნიშვნელოვნად გაეხსნათ თავიანთი ბაზრები და ამავდროულად განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებული უფლებები მიეცათ. ეკ-მა G-21 –ის წინადადება დაახასიათა როგორც „არადამაკმაყოფილებელი და დაუსაბუთებელი“.<sup>1</sup>

ასევე გამოვლინდა წინააღმდეგობები სხვა თემების მიხედვით (ე. წ. სინგაპურის თემები: ინვესტიციები, კონკურენცია, სახელმწიფო შეკვეთების გამჭვირვალობა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია), რის შედეგად ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოზიციების რაიმე მნიშვნელოვანი დაახლოება ვერ მოხერხდა. სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით მე-5 კონფერენცია უშედეგოდ შეწყდა. მინისტრების კონფერენციის მოულოდნელი შეწყვეტით ხელიდან იქნა გაშვებული მსოფლიო ვაჭრობის სისტემის შემდგომი განვითარების დიდი შესაძლებლობა.

ეკ-ი მოითხოვს მოლაპარაკებების სასწრაფოდ განახლებას და აგრარულ საკითხებში კომპრომისებზე მზადყოფნას აცხა-

<sup>1</sup> საქართველო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია. თბ., 2006.

დებს. მსოფლიო შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ (2003წლის ბოლოს) შეიქმნა საშიშროება, რომ ეკ-ს მოუწევს მრავალრიცხოვან ქვეყანასთან გრძელი მოლაპარაკებების წარმოება, რათა აღმოიფხვრას არსებული უთანხმოებები. ამიტომ, ეკ მსოფლიო შეთანხმების გაგრძელებითაა ძალიან დაინტერესებული. ამასთან, იგი მოითხოვს „ყუთების“ სისტემის შენარჩუნებას და ეწინააღმდეგება „ლურჯი ყუთის“ გაუქმების მოთხოვნას (პოლიტიკური შეხედულებით ეს ითვლება აუცილებლად სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციონალური როლიდან გამომდინარე). „ლურჯი ყუთის“ დონისძიებების გაუქმება ეკ-ს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შესაძლებლობების რადიკალურ შემცირებამდე მიიყვანს. ეკ-ში სოფლის მეურნეობის ძლიერი ღობის არსებობის პირობებში ასეთი აგროპოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელია. რეფორმების გაგრძელება გარდაუვალია არა მარტო იმიტომ, რომ მიიღწეულ იქნეს დათმობები მოლაპარაკებების სხვა მონაწილეებთან (უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებთან), არამედ იმიტომაც, რომ ეკ-ის ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები უზრუნველყოფილი იყვნენ გამართული მოქმედების წესებითა და სამართლიანი პოლიტიკური ჩარჩო პირობებით.

მოლაპარაკებების გაგრძელება და მისი შესაძლო წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოავლენენ მონაწილეები შემდგომში მრავალმხრივი პროცესების გაგრძელებაზე მნიშვნელოვან ძალისხმევას ან მისცემენ უპირატესობას ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებს.

სოფლის მეურნეობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში GATT-ის ჩარჩოებში მრავალმხრივი მოლაპარაკებების თემას საერთოდ არ წარმოადგენდა. პირველი ნაბიჯები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრების ლიბერალიზაციისთვის „ურუგვაის რაუნდის“ მართონულ მოლაპარაკებაზე (1986-1994წ) გადაიდგა, სა-

<sup>1</sup> გ. დოლონაძე – ვმო და საქართველოს აგრარული პოლიტიკა. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2006.

დაც სოფლის მეურნეობის შესახებ პირველ მრავალმხრივ შეთანხმებას მიაღწიეს. შეთანხმებაში განსაზღვრული იყო ვალდებულება საექსპორტო სუბსიდიების შემცირებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრებზე შესვლის გაუმჯობესების შესახებ.

ვმო-ს წევრმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება დაეწყოთ მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის შემდგომი ლიბერალიზაციის შესახებ. მართლაც 2001 წელს დოჰას რაუნდი დაიწყო. დოჰას რაუნდის დეკლარაციის მიხედვით გრძელვადიან მიზანს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე სამართლიანი და საბაზრო ურთიერთობაზე დამყარებული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ბაზრებზე შესვლის გაუმჯობესების და საექსპორტო სუბსიდიების გაუქმების დისკუსიებთან ერთად დოჰას რაუნდზე ასევე შიგა მხარდაჭერის შემცირების საკითხი განიხილებოდა. აშშ და „კერნის ჯგუფის“ ქვეყნები ასევე ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა ვაჭრობის შემზღვეველ სახელმწიფო სუბსიდიების რადიკალურ შემცირებას მოითხოვდა. ამის საპირისპიროდ, ეკ-ი მზად არის შეამციროს საექსპორტო სუბსიდიები 35%-ით AMS-თან შედარებით. 2002 წლიდან დოჰას რაუნდის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მინისტრების მე-5 კონფერენციაზე (კანკუნი, 10-14 სექტემბერი, 2003 წელი) დასაწყისშივე აღინიშნა აგრარული საკითხების შეთანხმების მნიშვნელობა მთლიანად მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაში, მაგრამ კონფერენციაზე ვერ მოხერხდა პოზიციების დაახლოება. მონაწილეებმა ისიც კი ვერ შეძლეს, რომ პირობებზე ანუ მოლაპარაკებების საფუძველზე შეთანხმებულიყვნენ.

მოლაპარაკებების გაგრძელება და მისი შესაძლო წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოავლენენ მონაწილეები შემდგომში მრავალმხრივი პროცესების გაგრძელებაზე მნიშვნელოვან ძალისხმევას ან მისცემენ უპირატესობას ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებს.

World Trade Organization Doha Round


G. Doghonadze, P. Koguashvili

In 2000 World Trade Organization member countries undertook an engagement to start negotiations about subsequent liberalization of agriculture. Indeed, Doha round started in 2001 (Qatar, Doha, November 9-4, 2001). According to Doha round declaration its long-term object was defined as the fair distribution of agriculture product on the market and the formation of trade system that would be based on market relations.

On Doha round there were reviewed discussions about market entering improvement and canceling export subsidies, also the question of shortening internal support. The USA, “KERN Group” countries and also some developing countries were demanding the radical decrease of state subsidies as the restrictive of trade. In contrast of this, EK is ready to decrease exporting subsidies by 35% in comparison with AMS.

From 2002 Doha round negotiation went in trouble. At the start of the fifth ministerial conference (Cancun, September 10-14, 2003) there was mentioned about the importance of agreement about agrarian issues as the end of successful negotiation, but during five days positions did not met.

The continuation of these negotiations and its possible success depends on the courage of the members of the negotiation of multilateral processes or prefer of bilateral trade agreement.



ეთერ სარგველაძე,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თსუ ასისტენტ-პროფესორი.  
დალი წულაია  
ტექნიკურ მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი

საქართველოსათვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად, გულისხმობს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, ვიდრე ეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებითაა გათვალისწინებული. ევროკავშირის ინტერნეტ-გვერდზე<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ “ევროკავშირი საქართველოს განიხილავს ე.წ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნად, რომელიც ევროკავშირის მხრიდან სარგებლობს დროებითი (AD-HOC) საბაზრო ეკონომიკური მიდგომით” (Market economy treatment).

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინტეგრაცია ევროპულ სავაჭრო ურთიერთობებში დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე, ხელს უწყობს მეტი კონკურენტუნარიანი კომპანიის წარმოქმნასა და განვითარებას, პოზიტიურად აისახება მომხმარებლის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვაზე, შემოსავლების დონესა და ცხოვრების ხარისხზე.

<sup>1</sup> www.europa.eu.int.

საქართველოს ხელისუფლებაც და ევროკავშირის წარმომადგენლებიც აღიარებენ, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკიდან საქართველო ყველაზე მეტად დაინტერესებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის განვითარებით, თუმცა, ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანამ ევროპის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს შიგა ბაზართან დაკავშირებული რეგულაციები<sup>1</sup>.

ევროკავშირის სავაჭრო სისტემაში მონაწილეობისათვის საქართველოს შექმნილი აქვს ხელსაყრელი პირობები. იგი არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი, ქვეყანა სარგებლობს ევროკავშირის შეღავათების განზოგადებული სისტემით (GSP) გათვალისწინებული სატარიფო შეღავათებით. GSP როგორც პოლიტიკური ჩარჩო, ასოცირებული შეთანხმების ფარგლებსაც კი სცდება და ქვეყანას ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებას თავაზობს, რაც ეკონომიკური ზრდისა და, შესაბამისად, სიღარიბის ეფექტიანად დაძლევის ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

ევროპული ინტეგრაცია საქართველოსათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსის შესანარჩუნებლად, ეკონომიკური ინტეგრაცია უადრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირი მოითხოვს პარტნიორი ქვეყნის ზოგიერთ სფეროში, ძალზე მკაცრი წესების დანერგვას, ეს არის:

- მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესების დანერგვა;

<sup>1</sup> ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი -პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა ფონდის ებერთის ფონდის (FES), Copyright ©, 2007, ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF) და ფონდის „ქორდეიდი“ (CORDAID) მხარდაჭერით.

- პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებისა და რეგლამენტების შემოღება.

ეს პოლიტიკა ევროკავშირის ერთიანი ბაზრის რეგულირების შემადგენელი ნაწილია და პირველ რიგში ევროკავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს.

ევროკავშირის ქვეყნები, რომელთაც აღნიშნულ სფეროებში რეგულაციური კონტროლის მაღალი დონე აქვთ, არ დაუშვებენ უვნებლობისა და უსაფრთხოების დაბალი სტანდარტების მქონე ქვეყნის პროდუქციის იმპორტს თავიანთ ბაზარზე.

გლობალიზაციის პირობებში ვაჭრობამ აჩვენა, რომ მესამე ქვეყნები<sup>1</sup> მეტნაკლები წარმატებით ახერხებენ ე.წ. სატარიფო, ანუ ადმინისტრაციული ბარიერების, მაგალითად, საბაჟო და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების გადალახვას, მაგრამ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ექმნებათ სწორედ არასატარიფო ბარიერების დაძლევის პროცესში<sup>2</sup>

ევროკავშირის არასატარიფო ბარიერები ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო აქტებისა და წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის შედეგია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ გზით მიღებული საკანონმდებლო ბაზა მუდმივად განახლების პროცესშია და, შესაბამისად, თუ მეწარმეს სურს ევროპულ

<sup>1</sup> მესამე ქვეყნებად იწოდება ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ (ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნები, ევროკავშირთან სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკავშირებული ქვეყნები, ა.შ.).

<sup>2</sup> არასატარიფო ბარიერში იგულისხმება ის ტექნიკური (მათ შორის, სანიტარული თუ ფიტოსანიტარული) სტანდარტები, რასაც პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის ბაზარზე შესაღწევად.

ბაზარზე მოხვედრა, ის მუდმივად უნდა იყოს მიმდინარე ცვლილებების საქმის კურსში.

მესამე ქვეყნების მეწარმეებმა პროდუქციის ექსპორტირებისათვის, პირველ რიგში, ეს ბარიერები უნდა გადალახონ და დააკმაყოფილონ სამიზნე ბაზრების მოთხოვნები სასურსათო პროდუქტების უვნებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, უზრუნველყონ საფრთხის მიკვლევალობა წარმოების მთელი ჯაჭვის პროცესში.

ზრდის ზოგადი ტენდენციის მიუხედავად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა მცირე და არასაკმარისად დივერსიფიცირებულია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს შეეხება. ევროპულ ექსპორტთა აზრით, არსებობს იმის შანსი, რომ ევროკავშირი, რიგ საკითხთან მიმართებით, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საქართველოსთან კომპრომისზე წავიდეს, მაგრამ შიგა ბაზრის დარეგულირება ის თემაა, რომელზეც ევროკავშირის პოზიცია უკომპრომისო იქნება.

ექსპორტის განვითარების პერსპექტივის მიხედვით, სურსათის ბიზნესი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორს, მაგრამ ეროვნული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე რეალიზაციისათვის აუცილებელია მან დააკმაყოფილოს ვმო-ს, *Codex Alimentarius*ის კომისიის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) და ევროკავშირის მოთხოვნები.

ამჟამად ევროკავშირის სასურსათო პროდუქტების პოლიტიკის ძირითადი მიზანია სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით და ამასთან ერთად (კულტურული განსხვავებების, მათ შორის ტრადიცი-

ული პროდუქტების წარმოების განვითარებით) “საქონლის ერთიანი ბაზრის” ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით ევროპის ბაზარს ესაჭიროება სტაბილური ხარისხის სურსათი, რომლის მიწოდება მოხდება ხელშეკრულებით დადგენილ დროში. წინააღმდეგ შემთხვევაში სავაჭრო პარტნიორობა არ შედგება.

“საქონლის ერთიანი ბაზრის” ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სურვილი ევროკავშირის შიგა ბაზარზე შექმნან სამართლიანი კონკურენციის პირობები, ანუ არ დაუშვან ისეთი პროდუქციის შემოსვლა ბაზარზე, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს, აქვს დაბალი თვითღირებულება, და შესაბამისად გარკვეული უპირატესობა.

ევროკავშირის ბაზრის დამცავი მექანიზმების შემუშავებისა და ეფექტიანი კონტროლის გაწევის თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ევროკომისიას ეკისრება.

ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის გენერალური დირექტორატი აყალიბებს სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების საერთო-ევროპულ სტანდარტებს და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული სასურსათო პროდუქტების მონიტორინგის წესებს.

ევროკავშირის ერთიანი ბაზარი, სახელწოდების მიუხედავად, არ ემორჩილება კანონმდებლობის ერთიან სისტემას და ერთობლივად რეგულირდება, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობის, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყანათა ეროვნული კანონმდებლობების მიერ. ამიტომ, ევროპის თითოეული სახელმწიფო იმპორტირებული პროდუქციისათვის შეიმუშავებს დამატებით მოთხოვნებს.

შესაბამისად, საქართველოს კომპანიებს ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის სარეალიზაციოდ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოუწევთ.

კერძოდ, ქვეყანამ, ვიდრე მას მიეცემა უფლება აწარმოოს კვების პროდუქტების ექსპორტი, უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნა ქვეყნის დონეზე.

1. ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებს;

2. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ სწრაფი და რეგულარული ინფორმირება მათ ტერიტორიაზე კონკრეტული ინფექციებისა და გადამდები დაავადებების გავრცელების შესახებ;

3. ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეფექტური კანონმდებლობა სხვადასხვა ნივთიერების (მაგალითად, ჰორმონალური, თირეოსტატიკური, ვეტერინალური პრეპარატების) გამოყენებისა, კერძოდ, ნივთიერების აკრძალვასა და სანქცირებასთან, მათ გავრცელებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით. ასევე კანონები, რომლებიც ითვალისწინებს მათ ადმინისტრირებასა და ინსპექტირებას;

4. ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს პროგრამა, რომელიც განახორციელებს კონკრეტული/ცალკეული ნივთიერების გამოყენების (მაგალითად, ვეტერინალური პრეპარატების) მონიტორინგს და შეამცირებს მათ შემცველობას იმ ცხოველებსა და ხორცპროდუქტებში, რომლებიც ექსპორტისთვის არის განკუთვნილი;

5. ქვეყანაში უნდა არსებობდეს კვალიფიციური ვეტერინარული სამსახური, რომელიც განახორციელებს საჭირო კონტროლს;

6. ქვეყანაში უნდა ტარდებოდეს ეფექტიანი ღონისძიებები კონკრეტულ ცხოველთა ინფექციური თუ გადამდები დაავადებების თავიდან ასაცილებლად (პრევენციისათვის).

თუ ეს მოთხოვნები<sup>1</sup> დაკმაყოფილებულია, ქვეყანა შევა იმ სახელმწიფოთა სიაში, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. ამასთან, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა გარანტია უნდა გასცენ, რომ საკვებად განკუთვნილი საქსპორტო პროდუქტები წარმოებულია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ხელი უნდა შეუწყონ, რომ დაწესებულებები, სადაც ხდება ამ პროდუქტების წარმოება პასუხობდეს ევროკავშირის ქვეყნების მსგავსი საწარმოების სტანდარტებს.

თუ მწარმოებელს სურვილი აქვს განახორციელოს საკუთარი პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში, მან უნდა მიმართოს თავის მთავრობას და მიიღოს მისგან შესაბამისი თანხმობა (სანქცია).

ამ სიძნელეების დაძლევისათვის აუცილებელია საქართველოს კანონების ევროკავშირის კანონებთან ჰარმონიზაცია. არსებულ ეტაპზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომელიც მას დაახლოებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულაცია (EC) № 178/2002-თან, რომელიც სურსათის შესახებ ევროკავშირის კანონის სახელითაა ცნობილი. რეგულაციაში აღნიშნულია:

„ევროკავშირში ბაზარზე განთავსების მიზნით იმპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები უნდა შეესაბამებოდეს სურსათის კანონის შესაბამის მოთხოვნებს ან, სულ მცირე, იყოს ევროკავშირის მიერ მიღებული პირობე-

<sup>1</sup> [http://www.parliament.ge/prs/ip/sursati\\_xarisxi.pdf](http://www.parliament.ge/prs/ip/sursati_xarisxi.pdf).

ბის ეკვივალენტური, ან ევროკავშირსა და ექსპორტიორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს“ (რეგულაცია 178/2002, მუხლი 11.)<sup>1</sup>

მსოფლიოს მასშტაბით მრავლისმომცველი ჰარმონიზებული სისტემების შექმნას და ამ კანონების პრაქტიკაში დანერგვას უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის.

წარსულში საერთაშორისო სამართალი აღიქმებოდა როგორც მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების იარაღი. იგი ადგენდა სახელმწიფოს მოქმედების წესებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, საერთაშორისო და რეგიონალური სამართლის ნორმები სულ უფრო დიდ წილს იკავებს შიგნითა სამართალში. ის უშუალოდ მიუთითებს სახელმწიფოს – რისი გაკეთება შეიძლება და რისი არ შეიძლება, არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ნაციონალურ დონეზეც. ამ პირობებში, ყველა ქვეყნისათვის, ნაციონალური და საერთაშორისო ნორმების ჰარმონიზაცია ხდება კანონმდებლობითი პროცესის განუყოფელი ნაწილი.

ამ მიზნით 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ”. კანონი არ იყო დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ იგი შეფასებულ იქნა როგორც სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოს საკანონმდებლო სივრცის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ კანონის მიღებით საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შემოვიდა სურსათის უვნებლობისადმი ახლებური მიდგომა – ე.წ. “ფერ-

<sup>1</sup> ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – Legislation, EU Regulations.

მიდან სუფრამდე”, თუმცა, კანონში 2006-2007 წლებში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები<sup>1</sup>, რის შედეგადაც საქართველოს საკანონმდებლო სივრცე დაშორდა ევროკავშირის 178/2002 რეგულაციის მოთხოვნათა ძირითად პრინციპებს და ამასთანავე შემცირდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯზე. შედეგად მოსახლეობა აღმოჩნდა სამომხმარებლო ბაზრის პირისპირ ყოველგვარი დაცვითი მექანიზმების გარეშე.

როგორც საქართველოს ხელისუფლება თვლის, ცვლილებების განხორციელება გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ ამ ეტაპზე შიგნით ბაზართან მიმართებით ევროკავშირის მოთხოვნების სრულად შესრულება, რაც სახელმწიფო რეგულაციის გაზრდასთან არის დაკავშირებული, შეაფერხებს ქვეყანაში ეკონომიკურ აქტივობას. დღეისათვის, ხელისუფლების ეკონომიკური განვითარების სტრატეგია დამყარებულია სახელმწიფო რეგულირების მაქსიმალურ შეზღუდვაზე, რაც ორი მიზეზით არის განპირობებული:

- მთავრობას ამჟამად არ შესწევს იმის უნარი, რომ ეფექტიანი კონტროლი განახორციელოს შიგნით ბაზარზე;
- ხელისუფლება კორუფციის შეზღუდვისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტად მიიჩნევს შიგნით ბაზარზე სახელმწიფოს როლის მაქსიმალურად შემცირებას.

სახელმწიფოს უმთავრესი პასუხისმგებლობა და სტრატეგიული ამოცანაა ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მინიმალური დონის უზრუნველყოფა და მის აღსრულებაზე სწორედ მან უნდა იზრუნოს, მაგრამ მისი მოქმედება არაეფექტიანი იქნება, თუ მის განხორციელებაში მონაწილეობას არ მიიღებს ყველა დაინტერესებული მხარე (სახელმწიფო, ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მომხმარებელი).

<sup>1</sup>პრეზიდენტის ბრძანებულება 29.12.2006 №4328; 29.06.2007 #3120.

„GEPLAK“-ის პროექტის ფარგლებში ჩვენს მიერ კავშირ „21-ე საუკუნე“-სთან ერთად ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა<sup>1</sup> აჩვენა, რომ:

1. ევროკავშირისა და დსთ-ს ყველა განხილულ ქვეყანაში (ჩეხეთი, ლიტვა, ესტონეთი, უკრაინა, მოლდავეთი, ყაზახეთი) მიკვლევადობის სისტემა ჰარმონიზებულია ევრორეგულაცია 178/2002-ის მოთხოვნებთან და დანერგულია პრაქტიკაში;

2. „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სურსათის წარმოების სფეროში მიკვლევადობის, საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო კრიტიკული წერტილების დადგენის წესი“ მიკვლევადობასთან დაკავშირებული ნორმები და კონცეფციები არ არის კალკირებული ევრორეგულაცია 178/2002-ის მოთხოვნებთან. ის ჰარმონიზებულია და ადაპტირებულია საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. მაგრამ, ამჟამად შეჩერებულია კანონის ძირითადი მუხლების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულება, რაც ეწინააღმდეგება ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის მოთხოვნებს;

3. ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვის შედეგების ანალიზის თანახმად დღევანდელ ეტაპზე მოსახლეობის ჯანმრთელობა სამომხმარებლო ბაზარზე დაუცველია. არ არსებობს არანაირი სახელმწიფო დაცვითი მექანიზმი და მომხმარებელი დამოკიდებულია მხოლოდ მეწარმეების კეთილ ნებაზე.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომელიც მას დაახლოებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულაცია (EC) № 178/2002-თან.

<sup>1</sup> „ჯეპლაკ“-ის პროექტი - საქართველოს კანონის „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ“ - შესაბამისობის დადგენა 178/2002 ევრორეგულაციასთან.

მიკვლევადობის და HACCP-ის სისტემების დანერგვა სურსათის ბიზნესში ხელს შეუწყობს:

- პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, გაზრდის მომხმარებელთა დაცვის ხარისხს, სტიმულს მისცემს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;

- თავის წვლილს შეიტანს ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში;

- დაეხმარება კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების განვითარებას, როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრებისათვის;

- აამაღლებს ქართული სასურსათო პროდუქციისადმი ნდობას, ხელს შეუწყობს სასურსათო სფეროში ევროკავშირ საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედებას;

- დაეხმარება საქართველოს მთავრობას დასახული რეფორმების რეალიზაციაში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაში, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი პრიორიტეტად არის მიჩნეული.

ევროპული ინტეგრაცია საქართველოსათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირი მოითხოვს პარტნიორი ქვეყნისაგან ზოგიერთ სფეროში, ძალზე მკაცრი წესების დანერგვას, ეს არის: მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სურსათის უვნებლობის, პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებისა და რეგლამენტების შემოღება.

უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით ევროპის ბაზარს ესაჭიროება სტაბილური ხარისხის სურსათი, რომლის მიწოდება მოხდება ხელშეკრულებით დადგენილ დროში. წინააღმდეგ შემთხვევაში სავაჭრო პერტნიორობა არ შედგება.

არსებულ ეტაპზე, მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც მას დაახლოებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულაცია (EC) № 178/2002 მოთხოვნებთან.

კანონის შეჩერებული მუხლებიდან მიკვლევადობის და HACCP-ის სისტემების დანერგვა სურსათის ბიზნესში ხელს შეუწყობს:

- პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, გაზრდის მომხმარებელთა დაცვის ხარისხს, პოზიტიურად აისახება მომხმარებლის ჯანმრთელობაზე, ხელს შეუწყობს მეტი კონკურენტუნარიანი კომპანიის წარმოქმნას. სტიმულს მისცემს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

- თავის წვლილს შეიტანს ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში;

- ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების განვითარებას, როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრებისათვის;

- აამაღლებს ქართული სასურსათო პროდუქციისადმი ნდობას, ხელს შეუწყობს სასურსათო სფეროში ევროკავშირ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედებას.

## The barriers in the free trade between Georgia and European Union

*E. Sardjveladze*

*D. Tsulaia*

European integration still remains one of the top priorities for Georgia. However, European Union requires the implementation of the strict rules and regulations regarding the consumer rights, food safety and establishing the standards for product quality assurance.

Food products on European market must meet the certain standards by their quality and safety. If these food products are not supplied in the amount of time provided by the agreement, the trade partnership will not be formed.

At this point, it is very important for us to make the necessary legislative amendments to resemble and approximate the regulation (EC) # 178/2002 of European Parliament and Council.

Introducing and establishing traceability clause of the law and HACCP systems in food product business:

- Will facilitate the development of partnership between the State and the business private sectors; improve the consumer safety and have a positive impact on consumer health; it will also help to create more competitive companies and will stimulate the economic development of the country;

- Will improve the quality of the local produce; Help with the production of the competitive goods for not only the local market, but for the export as well;

- Will enhance the reputation of Georgian made food products; expedite the activation of the food product free trade agreement between European Union and Georgia.

**ღამყუბ აუღალტრთა ზგაჲკუღუბი\***

სარეცენზიო წიგნი შედგება ექვსი განყოფილებისგან. პირველ განყოფილებაში ავტორი უწინარესად ისტორიულ წიაღსვლებს აკეთებს და ჩერდება აღრიცხვასთან დაკავშირებულ სტანდარტებზე.

განყოფილება მეორე ეძღვნება საგადასახადო კოდექსს საბუღალტრო საქმიანობაში. აქვე ნათლად და სრულად წარმოგვიდგენს გადასახადების ნაირსახეობას, აკეთებს საგულისხმო დასკვნებს.

მესამე გამყოფილებაში დაკვირვებითაა გადმოცემული საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, ძირითადი წესები, ბუღალტრთა უფლებები, მოვალეობანი, პასუხისმგებლობის საკითხები.

განყოფილება მეოთხეში საქმის ცოდნითაა გაშუქებული ორმაგი ჩაწერის წესი, ცნობილმა იტალიელმა, მრავალმხრივი განათლების ლუკა პაჩოლიმ რომ დაამკვიდრა და დღესაც აღრიცხვის ხერხემლად ითვლება.

აქვეა სრულყოფილად ახსნილი ბუღალტრული ბალანსის, ბრუნვითი უწყისის, ბუღალტრული გატარების, დოკუმენტაციის არსი.

წიგნის მეხუთე განყოფილება ეთმობა მზა პროდუქციის კალკულაციას. ავტორი აქაც საკითხის ცოდნას ავლენს.

სარეცენზიო ნაშრომის მეექვსე განყოფილებაში დამაჯერებელი მსჯელობაა საბუღალტრო პროგრამა „ორისზე“.

\* ვახტანგ დობორჯგინიძე, აღრიცხვისა და პრაქტიკის საფუძვლები დამწვები ბუღალტრებისათვის. რედ. პროფ. ნინო ბურკაძე. თბ., 2010, 246 გვ.

მოცემული წიგნის დასასრულს შემოთავაზებულია ბუღალტრების ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, რომელიც, მიგვაჩნია, ერთგვარ დახმარებას გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

წიგნის მიმართ შეიძლება გამოითქვას შენიშვნებიც:

მე-4 განყოფილება, რომელიც დაწერილია საბუღალტრო აღრიცხვის ერთ-ერთ უმთავრეს კატეგორიაზე - ბალანსზე, პირდაპირ იწყება ბალანსის მაკეტით და ამასთან დაკავშირებით მოსაზრებები ავტორს გამოთქმული აქვს შემდეგ. ვფიქრობთ, ეს არაა თხრობის მართებული ფორმა.

წიგნის დასასრულს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურული წყაროები, მაგრამ მათში არაა დასახელებული თეორიული ნაშრომები აღრიცხვის პრობლემებზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ ამ 246-გვერდიანი წიგნის დასტამბვით საბუღალტრო სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრმა დიდად სასარგებლო საქმე გააკეთა. წიგნი სარგებლობას მოუტანს არა მარტო დამწვებ ბუღალტრებს, თეორეტიკოსს, პრაქტიკოსს ბუღალტრებს, ის განსჯისთვის განაწყობს ეკონომისტ მეცნიერ-მუშაკებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჯეროვან დახმარებას გაუწევს ასევე ფინანსისტებსაც.

მიგვაჩნია, რომ სარეცენზიო წიგნი შეიძლება სამაგიდო იყოს დამწვები ბუღალტრებისთვის და არა მარტო მათთვის. ეს კი, უდავოდ მისასაღმებელია.

**მურმან ტურავა**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,**  
**პროფესორი**

**ინგლისურენოვანი ლაბორატორია სახელმძღვანელო  
ეკონომიკისა და ბიზნესში**

თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში ეჭვს არ იწვევს ინგლისური ენის როგორც ძირითადი საკომუნიკაციო ენის, დომინანტური როლი. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ბიზნესს, რომლის მასშტაბები სცილდება ეროვნულ საზღვრებს და საერთაშორისო, ანდა გლობალურ სახეს იძენს. ბიზნეს-კომუნიკაცია არაინგლისურენოვან ქვეყნებთანაც უმეტესად ინგლისურ ენაზე მყარდება. აქედან გამომდინარე, ბიზნეს-ინგლისურის სწავლება პრაქტიკული აუცილებლობითაა განპირობებული.

ბიზნეს-ინგლისურის შესწავლა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ძირითადად უცხოური სახელმძღვანელოებით (Pearson, Longman-ის გამოცემებით) მიმდინარეობს. ამ წიგნებში ძირითადი აქცენტი გადატანილია მიმდინარე ბიზნეს-პროცესებსა და ყოველდღიურ ბიზნეს-ოპერაციებში ინგლისური ენის გამოყენებაზე. ენის სწავლების თანამედროვე მეთოდის თვალსაზრისით ამ წიგნებს ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ ისინი ძირითადად განკუთვნილია ენის შესწავლის ნებისმიერი მსურველისათვის, მისი მშობლიური ენის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

ინგლისური ენის სწავლების თავისებურებებიდან გამომდინარე, უცხოურ სახელმძღვანელოებთან ერთად, საჭიროა ისეთი ორენოვანი სახელმძღვანელოს გამოყენება, რომელშიც ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის, თავისებურებები გათვალისწინებული იქნება. ეს განსაკუთრებით ეხება შესაბამისი ეკონომიკური ტერმინების შესწავლას, საერთაშორისო ბიზნესის დინამიკურ სფეროში წარმოქმნილი ახალი ინგლისური ტერმინებისათვის ადე-

\* გიორგი ყუფარაძე, ინგლისური ენა საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკისათვის, რედაქტორი თსუ ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი, თბ., 2010, 177 გვერდი.

კვატური ქართული შესატყვისების მოძებნას. ამ მიმართულებით არსებობს ქართულ ავტორთა რამდენიმე სახელმძღვანელო, მაგრამ მათში ძირითადად ყურადღება გადატანილია ან მხოლოდ ეკონომიკურ ტერმინებზე, ან იმ ბიზნეს- ტერმინებზე, რომლებიც, ასე ვთქვათ, ბიზნესის ყოველდღიურ ყოფაში გამოიყენება. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია დავეუფლოთ ისეთ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება. საქართველოს რატიფიცირებული აქვს ათეულობით საერთაშორისო ეკონომიკური ხელშეკრულება, რომელთა ავთენტიკური ტექსტი უმრავლეს შემთხვევაში ინგლისური ენაა; აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი ქართულ ენაზე სათანადოდ გადმოცემა დედანთან მაქსიმალური შესაბამისობით, ქართული ენის ნორმატივების დაცვით (მაგ: თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კაპიტალსა და შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და სხვა შეთანხმებები).

ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს მიმდინარე წლის მაისში გამოცემილი „რაიზის“ მიერ დაბეჭდილი სახელმძღვანელო – „ინგლისური ენა საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“. იგი განკუთვნილია ბიზნეს-ინგლისურის კურსების მსმენელთათვის; ასევე, იმ პირთათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და აქვთ საქმიანი ურთიერთობები ინგლისურენოვან ქვეყნებთან; სახელმძღვანელო საერთაშორისო ბიზნესის ყველა ძირითად თემას მოიცავს.

დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ლექსიკური სავარჯიშოები და სათარგმნი დავალებები, რაც შესწავლილი ტერმინებისა და ენობრივი ფორმების განმტკიცებისთვისაა განკუთვნილი.

სახელმძღვანელოს ერთვის: ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გავრცელებულ შემოკლებათა სია, მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული ვალუტების სახელწოდებები და მათი შემოკლებული აღნიშვნები.

პირველ თავებში ყურადღება გამახვილებულია საბაზო ეკონომიკური და ბიზნეს-ტემინოლოგიაზე. განსაკუთრებით საინტერესოა სარეცენზიო წიგნის მე-4, მე-6, მე-10, მე-11 თემები.

მე-4 თემაში განხილულია ბიზნესის სამართლებრივი ფორმები, საქართველოში კანონიერი წარმომადგენლობის დაარსების საკითხები, თითოეული სამართლებრივი ფორმის თავისებურებები, უპირატესობები და ნაკლოვანებები; ასევე განხილულია საქართველოს კანონმდებლობის თავისებურებები; მოყვანილია შესასწავლად აუცილებელი სამართლებრივი ტერმინები (ინგლისურ-ქართული შესატყვისები) როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის სამეწარმეო კანონმდებლობაზე დაყრდნობით; განხილულია ბიზნეს-გეგმის შედგენის თავისებურებები. აღნიშნული თემის შესწავლის შემდეგ სტუდენტი თავისუფლად შეძლებს ჩამოაყალიბოს ბიზნეს-გეგმა ინგლისურ ენაზე, განმარტოს და პარტნიორს წარუდგინოს ბიზნესის სამართლებრივი ფორმების არჩევანი საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

მე-6 თემაში განხილულია ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების თავისებურებები, განხილულია მიწოდების საბაზისო პირობები – Incoterms-2000; ძირითადი საკონტრაქტო პირობები შეპირისპირებულია შესაბამის ქართულ ტერმინებთან (E, F, C, D, ჯგუფები). თავს ერთვის შესაბამისი სათარგმნი დავალებები, რაც ინგლისურ ენაზე დადებულ ტიპურ კონტრაქტში შეიძლება შეგვხვდეს.

მე-10 თემაში მოცემულია საერთაშორისო დაბეგვრა, ყურადღებას იქცევს საერთაშორისო საგადასახადო ტერმინების განხილვა. განხილულია საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის თავისებურებები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები (ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ) საქართველოს გაფორმებული აქვს 20-ზე მეტ ქვეყანასთან; ავთენტიკურ ტექსტად კი ინგლისური ტექსტი ითვლება. ამდენად, ეს თავი ორმაგი დაბეგვრის პრობლემებზე მომუშავე საჯარო მოხელეებისათვისაც სასარგებლო იქნება.

მე-11 თემაში განხილულია გაყიდვის კონტაქტები, აქცეპტისა და ოფერტის სახეები. ამ თავის შესწავლით შესაძლებელია

ლია გარკვევა საერთაშორისო კომერციული სამართლის, საკონტრაქტო სამართლის ძირითად დებულებებში. აქვე შესაბამისი ქართული შესატყვისებით განხილულია კონტრაქტის ტიპური ფორმების ელემენტები, ოფერტის პირობები, მისი თანხმობისა და უარყოფის სამართლებრივი საფუძველი.

სახელმძღვანელოს ერთვის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, საერთაშორისო ბიზნესში გავრცელებულ შემოკლებათა სია, უცხოური ვალუტების სახელწოდებები ქვეყნების მიხედვით და მათი მიღებული აღნიშვნები სავალუტო ბაზრებზე.

ვფიქრობთ, გ. ყუფარაძის წიგნი სასარგებლო შენაძენი იქნება საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის.

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახ.  
თსუ ასოცირებული პროფესორი*

## პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე – 70

ნუგზარ ნიკოლოზის ძე პაიჭაძე დაიბადა 1940 წლის 22 ივნისს, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და კოპწია სოფელ გამოჩინებულში, სადაც დიდი ქართული ტრადიციების ოჯახში გაატარა მთელი ბავშვობა. იქვე 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა, ხოლო 1958 წელს – საჭამიასერის საშუალო სკოლის სრული კურსი. 1959-1962 წლებში საბჭოთა არმიის რიგებში გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1964 წელს ჩაირიცხა და 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 1965-1969 წლებში ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის ახალგაზრდულ ორგანიზაციას. ამავე წლებში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მუშაობაში, როგორც ფაკულტეტის (1966წ.) და უნივერსიტეტის (1970წ.) საამშენებლო რაზმების მეთაური.

1972 წელს წარმატებით დაამთავრა თსუ ასპირანტურა და 1973 წელს ასევე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (მეცნიერ-ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ირაკლი მიქელაძე და პროფესორი პავლე გარუჩაძე).

1972 წლიდან 2009 წლის სექტემბრამდე თსუ-ში ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, სადაც გაიარა ყველა სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობა – დაწყებული ასისტენტიდან, დამთავრებული პროფესორით.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია 1988, ხოლო პროფესორი 1989 წლიდან. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი ობიექ-

ტია შრომის ეკონომიკისა და ადამიანური რესურსების მართვის (პერსონალის მართვის) პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია და 5 სახელმძღვანელო.

პროფესორი ნ. პაიჭაძე არჩეულია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

ნ. პაიჭაძე უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აქტიურად უთავსებდა ადმინისტრაციულ მუშაობას. 1974-1979 წლებში იყო თსუ საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 1979-2005 წლებში – ამავე ფაკულტეტის (შემდგომ მენეჯმენტის ფაკულტეტის) დეკანი. 1999 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე მუშაობდა მენეჯმენტის კათედრის გამგედ. როგორც ცნობილია, აღნიშნულ წლებში მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების რეფორმა, რომლის განხორციელებაში იგი როგორც დეკანი და კათედრის გამგე, აქტიურად მონაწილეობდა. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფაკულტეტზე ბიზნესისა და მართვის მიმართულება, შეიქმნა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ისეთ სპეციალობებში, როგორცაა: მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (პერსონალის მართვა), განათლების ეკონომიკა და ა.შ.

ნ. პაიჭაძე ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით: 1979-2004 წლებში იყო თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ორჯერ (1980-1984წწ.; 1998-2006წწ.) იყო თსუ რექტორატთან არსებული ეკონომიკური ფაკულტეტების საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარის მოადგილე, წლების განმავლობაში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და მისი ეკონომიკური სექციის წევრი, ამავე სექციასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარის მოადგილე და სხვა; 1994-2006 წლებში ნ. პაიჭაძე თავჯდომარეობდა თსუ-თან არსებულ სადისერტაციო საბჭოს, სადაც სამეცნიერო ხარისხების დაცვა

ხდებოდა ისეთ სპეციალობებში, როგორცაა: მენეჯმენტი, შრომის ეკონომიკა, სექტორული ეკონომიკა, მიკროეკონომიკა და სხვა.

ნ. პაიჭაძე აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური პროფილის ჟურნალების მუშაობაში. იგი არის შემდეგი ჟურნალების რედაქციის წევრი: „ეკონომიკა და ბიზნესი“, „სოციალური ეკონომიკა“ (2008 წლამდე); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“ (ეკონომიკის სერია); „ეკონომიკა“ (მაკრო და მიკრო ეკონომიკა).

ნ. პაიჭაძე არის არაერთი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომების კრებულის, ლექსიკონის რედაქტორი, რედაქციის წევრი ან რეცენზენტი.

ნ. პაიჭაძე ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენითა და მედლით, მათ შორისაა: მედალი „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ (1966წ.); ორდენი „შრომითი მამაცობისათვის“ (1970წ.); „ღირსების ორდენი“ (1998წ.); „ივანე ჯავახიშვილის მედალი“ (2000წ.).

ნ. პაიჭაძე აღიარებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საუნივერსიტეტო ლექტორი, რომლის ლექციებიც გამოირჩევა მეცნიერული სიღრმითა და იმავდროულად სისადავით, მასალების სტუდენტთათვის გასაგები ფორმით მიწოდებით. მისი სემინარები თავისებური სადისკუსიო კლუბია, სადაც სტუდენტები თამამად აყენებენ მწვავე საკითხებს და ლექტორისაგან იღებენ ამომწურავ და სავსებით დამაჯერებელ ინფორმაციას მათთვის საინტერესო ყველა პრობლემაზე. ყველასათვის მისაბაძი და სანიმუშო იყო მისი მღვაწეობა ფაკულტეტის დეკანის, თუ კათედრის გამგის თანამდებობაზე. მას როგორც ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, ასევე სტუდენტობასთან ჰქონდა ჰარმონიული, მეგობრული, მაგრამ მკაცრად საქმიანი ურთიერთობა. იგი დაჯილდოებულია ამა თუ იმ სასწავლო თუ სხვა ორგანიზაციული პრობლემის სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტის, თან-

ამშრომელთა თუ სტუდენტთა საქმიანობის მიუკერძოებელი, ობიექტური შეფასების უნარით.

ნუგზარ პაიჭაძე ჩინებული მეოჯახეა, მისი მეუღლე ქ-ნი მარინე ბრწყინვალე მეოჯახე და მეურნეა, ასევე სამშობლოს ბედსა და მომავალზე მოფიქრალი. ყავს სამი შვილი – ერთიმეორეზე უკეთესები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილები და ამჟამად შესანიშნავი სპეციალისტები. ბატონი ნუგზარი მდიდარია შვილიშვილებითაც (ჯერ-ჯერობით – 5).

და ერთიც – იგი მეგობრობაში გამორჩეული პიროვნებაა, სიტყვისა და საქმის ერთიანობის კაცია. ამ პრინციპიდან არ გადაუხვევია და არც სხვას აპატიებს ამას.

70 წლის ნუგზარი მხნედ გამოიყურება, მტკიცეა და დარწმუნებული, რომ საქართველო მალე გაბრწყინდება და მზადაა თავისი წვლილი კვლავაც შეიტანოს ამ პროცესში.

**ელენე ხარაბაძე**  
**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის**  
**დეკანი, სრული პროფესორი,**  
**ვლადიმერ პაპავა**  
**აპთანდილ სილაგაძე**  
**ლეო ჩიქავა**  
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის**  
**წევრ-კორესპონდენტები,**  
**ელგუჯა მუჟაბიშვილი**  
**თსუ სრული პროფესორი,**  
**რეზა გომიანი**  
**ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი**  
**რედაქტორი, პროფესორი,**  
**ბრიგოლ თოღუა**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**  
**მირიან ტუხაშვილი**  
**თსუ სრული პროფესორი**

---

---

გადაეცა ასაწყობად - 10.07.2010  
ხელმოწერილია დასაბეჭდად - 20.07.2010  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 12, ტირაჟი - 150

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) (25-14-32)

დაიბეჭდა სტამბაში - „გეორგიკა“  
თბილისი, ჯიქიას 10.

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი